ეკონომიკურ დანაშაულებათა მასშტაბები კვლავ დიდია A4 | ავტომობილი A8 | "ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 6 მარტი, 2003 წელი. №63 (275)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### აფხაზეთის "გადმომბრუნებელი" არსად ჩანს

გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში ჰაიდი ტალიავინს ძალიან აღიზიანებს ის უარყოფითი შეფასებები, რომლებიც ქართველი პოლიტიკოსებისგან მისი მისიის მისამართით გაისმის. "მაშინ, ეძებეთ სხვა პარტნიორები მსოფლიო თანამეგობრობაში," - პასუხობს შვეიცარიელი დიპლომატი ოპონენტებს.

A3

## ეკონომიკა

### მთავრობას აფხაზეთის ქონების დაბრუნების იმედი აქვს

"ნებისმიერი ცენტი, რომელიც უცხოელებმა აფხაზეთში ჩადეს ინვესტიციის სახით ან სახელმწიფო ქონება შეისყიდეს, ჩათვალონ, რომ მათთვის დაკარგულია," – აცხადებს ქონების მართვის მინისტრის მოადგილე ზურაბ გარაყანიძე.

A4

## უცხოეთი

### ტერაქტი ისრაელში

გუშინ ისრაელის ქალაქ ჰაიფაში ძლიერი ტერორისტული აქტი მოხდა. ქალაქის საცხოვრებელ კვარტალში ადგილობრივი დროით 14:17 სამგზავრო ავტობუსი აფეთქდა, რომელიც ჰაიფას ცნობილ უნივერსიტეტში მიემართებოდა. ტერაქტის შედეგად 15 ადამიანი დაიღუპა და 40-ზე მეტი მძიმედ დაშავდა.

A5

## საზოგადოება

### ჩემი „ბაბილინა" ავტობუსი და გაყინული ოთახები მენატრება...

უკვე შვიდი წელია, რაც გერმანიაში ვცხოვრობ, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად მახსოვს ყველაფერი: ჩვენი სკოლის „ბაბილინა" ავტობუსი, რომელიც გზაში სულ ფუჭდებოდა, ჩემი ვახო, მაია და ნინო მასწავლებლები, ბავშვები, გაყინული საკლასო ოთახები. - ამბობს 14 წლის ნათია.

A6

## სამართალი

### მინისტრს სასამართლოში უჩივიან

გუშინ თბილისის საოლქო სასამართლო შეუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის, პოლიციის გენერლის, მავანთა მიერ "კახა თარგამაძის მოლარედ" მონათლული ვასილ დავითაიას სარჩელის განხილვას.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 12 |
| ქუთაისი | 16 |
| ბათუმი | 16 |
| სოხუმი | 16 |
| ფოთი | 16 |
| თელავი | 10 |
| ზუგდიდი | 17 |
| გორი | 7 |
| ახმეტა | 10 |
| ჭიათურა | 12 |
| გაგრა | 16 |
| სამტრედია | 15 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.3622 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4176 |
| რუბლი | 0.0681 |

# 50 წელი სტალინის გარეშე

## რამდენად რეალურია რუსეთში სტალინის ეპოქის აღორძინება?

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*



რუსეთმა ამ დღეებში ფართოდ აღნიშნა იოსებ სტალინის გარდაცვალების 50 წლისთავი. მოსკოვში გაიხსნა სტალინის ეპოქის დღემდე გამოუქვეყნებელი მასალების, გენერალსიმუსის პირადი ნივთების, უნიკალური დოკუმენტების, ფოტოებისა და ხელნაწერების დიდი ექსპოზიცია. ამ თარიღს გამოეხმაურა რუსეთის ტელევიზიის ყველა არხი. ნრგ-მ და რგყ-მა სპეციალური ფილმებიც კი მიუძღვნეს სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მისი გარდაცვალების დღემდე უცნობ დეტალებს.

4 მარტს, მოსკოვის მერიის კონფერენც-დარბაზში, პლეხანოვის სახელობის ფონდის (დირექტორი - მოსკოვის ყოფილი მერი გავრილ პოპოვი) ინიციატივით მოეწყო დისკუსია – "50 წელი სტალინის გარეშე", რომელსაც რუსეთის წამყვანი პოლიტოლოგები ესწრებოდნენ.

ცხარე კამათმა უჩვენა, რომ სტალინის ფიგურისადმი დღევანდელ პოლიტიკურ ელიტაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ერთნი ფიქრობენ, რომ სტალინის საქმეთა მონატრება ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა

გაგრძელება A2 გვერდზე

# პრეზიდენტმა ვეტოს დადება ვერ გარისკა

## "მინიმალური ხელფასის" ირგვლივ ბრძოლა გრძელდება

თამარ ხორბალაძე

*გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში საგანგებოდ მოწვეულ მთავრობის სხდომაზე, მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების საკითხზე უნდა ემსჯელათ. გამორიცხული არ იყო, რომ საქართველოს პრეზიდენტი ამ სხდომაზე გამოაცხადებდა კანონპროექტისთვის ვეტოს დადების გადაწყვეტილებას. ბოლო დღეებში გაჩაღებულმა საინფორმაციო ომმა, საქართველოს მთავრობას ის ქულები, რასაც კვირის დასაწყისში ელოდა, ვერ მოუტანა. პრეზიდენტმა ვერ შეძლო სათანადო ფონის შემზადება. ამ სიტუაციაში საპრეზიდენტო ვეტო ნამდვილად არ იქნებოდა აღქმული "მოსახლეობის საკეთილდღეოდ" და "ქვეყნის ეკონომიკური კატასტროფისგან დასაცავად" გადადგმულ ნაბიჯად. ამიტომ ედუარდ შევარდნაძემ გუშინ გადაწყვეტილების მიღება ვერ გარისკა.*

შესაბამისად, მთავრობის სხდომა გადაიდო, ოფიციალურად - დღევანდელი ვიზიტისთვის მზადების მოტივით. საქართველოს პრეზიდენტი დღეს საღამოს, სოჭში, რუსეთის პრეზიდენტთან შესახვედრად მიემგზავრება.

მანამდე კი, "მინიმალური ხელფასის საკითხის მოგვარების" მიზნით, ხელისუფლება სერიოზულ ქმედებებს გეგმავს:

გაგრძელება A3 გვერდზე

# რას არ იტყვის ადამიანის ენა

## სტალინის გარდაცვალების დღე გორში

ვასილ გულეური

სტალინის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გორში 5 მარტს ხელისუფლებამ და კომუნისტებმა ცალ-ცალკე აღნიშნეს. დილის 11 საათისათვის, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე და სტალინის გამზირზე მანქანების მოძრაობა შეწყდა. კომუნისტებმა თავმოყრა დაიწყეს სტალინის სახლ-მუზეუმთან, სადაც 12 საათზე მიტინგი იყო დაგეგმილი. სწორედ ამ დროს სტალინის მუზეუმს ეწვია ამ თარიღისათვის სპეციალურად შექმნილი დელეგაცია, რომელსაც შიდა ქართლის გუბერნატორი დავით ქობლიანიძე ხელმძღვანელობდა.

**"მიმაჩნია, რომ სტალინი იყო მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე და გორში განსაკუთრებით უნდა აღინიშნებოდეს მისი დაბადების, გარდაცვალების დღე,** - თქვა დავით ქობლიანიძემ, - **საერთოდ, ჩვენმა ახალგაზრდობამ, საზოგადოებამ მაქსიმალურად უნდა იცოდეს თავისი მამულიშვილების მიერ შექმნილი ისტორია. ძალიან ბევრია დამოკიდებული ძლიერ ადამიანებზე და დღეს, მაქსიმალურად სწორად უნდა გავაანალიზოთ განვლილი წლები, საქართველოს ისტორია და მომავალი ვაშენოთ იმ სიმართლით, რაც მიგვიყვანს გამარჯვებამდე."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჩეჩნები და კრემლი ახალ შუამავლებს ეძებენ

*მიუხედავად ოფიციალური განცხადებებისა იმის შესახებ, რომ არ სურს იქონიოს რაიმე კონტაქტები მეამბოხე ჩეჩნებთან, მოსკოვი მაინც ღიად ტოვებს მათთან კავშირის ზოგიერთ არხს. ადრე, ასლან მასხადოვი შევარდნაძესაც სთავაზობდა შუამავლობას, მაგრამ მოსკოვმა საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატურა შორს დაიჭირა...*

სანობარ შერმატოვა
IWPR-ის კორესპონდენტი

კრემლი, ერთი შეხედვით, მშვიდად ემზადება 23 მარტს დაგეგმილი რეფერენდუმისათვის, რომელიც ჩეჩნეთის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას ეხება და მოწოდებულია გააძლიეროს რესპუბლიკის ამჟამინდელი ლიდერის, ახმად კადიროვის პოზიციები. ამ რეფერენდუმმა ოფიციალურად უნდა დაადასტუროს ის ფაქტი, რომ ჩეჩნეთი რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სომხეთი პოლიტიკური არასტაბილურობის ზღურბლზე

A5



REUTERS

*სომეხი ამომრჩევლები.*

# სააკაშვილი ნარჩემაშვილის მოხსნით და საერთო სახალხო მღელვარებით იმუქრება

*"თუ ერთი თვის განმავლობაში, ქალაქში, კრიმინოგენული მდგომარეობა არ გამოსწორდა, ცენტრალურ ხელისუფლებას შინაგან საქმეთა მინისტრის კობა ნარჩემაშვილის დაუყონებლივ გადაყენებას მოვთხოვთ. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ამ მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ, საერთო-სახალხო მღელვარებას დავიწყებთ!" – ამგვარი განცხადება გააკეთა გუშინ საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც ამ საკითხზე კონსულტაციები უკვე ჰქონდა საკრებულოს სხვადასხვა ფრაქციებთან.*

ვერიკო თევზაძე

**"ქალაქის ქუჩებში გავლა აღარ შეიძლება. თბილისში კრიმინალების დიქტატურაა. 1992-1993 წლების შემდეგ ასეთი დაძაბული კრიმინოგენული სიტუაცია არ ყოფილა; იმატა მძიმე მკვლელობების რიცხვმა. ამას წინათ მოკლეს პედაგოგი ანა დარჩიაშვილი. აღარაფერს ვამბობ უსაზღვროდ გახშირებულ წვრილმან დანაშაულებზე, ჯიბის ქურდობებზე და ა.შ. დედაჩემის და ჩემი ცოლის მანქანა წინა კვირაში ექვსჯერ გატეხეს. რაც მთავარია, პოლიციის რეაგირება ნულის ტოლია. ძალოვნები დანაშაულის უმრავლესობას არ აღრიცხავენ."** სააკაშვილი თხოვნით მიმართავს ქალაქის მოსახლეობას, დარეკონ საკრებულოს ცხელ ხაზზე და თითოეული დანაშაულის შესახებ ქალაქის არჩევითი ხელისუფლება საქმის კურსში ჩააყენონ. ამით საკრებულოს ზუსტი წარმოდგენა შეექმნება, რა სახის დანაშაულს სჩადიან დედაქალაქში და თითოეულ მათგანს კონტროლზე აიყვანს.

გაგრძელება A7 გვერდზე

# "თბილგაზისთვის" ბრძოლაში ლეიბორისტებიც ჩაერთნენ?

მაია ურუშაძე

*დღეს თბილისის ქონების მართვის სამმართველომ "თბილგაზის" მართვის უფლებით გასაცემად გამოცხადებულ ტენდერზე შეტანილ წინადადებათა პაკეტები უნდა გახსნას. თავიდანვე საკმაოდ გაურკვეველ ვითარებაში გამოცხადებულ ტენდერზე შეტანილია სულ ორი განაცხადი - სააქციო საზოგადოება "საქტრანსგაზმრეწვისა" და ამხანაგობა "ახალი მენეჯმენტის". "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, "საქტრანსგაზმრეწვის" მიღმა – ლეიბორისტების, ხოლო "ახალი მენეჯმენტის" უკან კი საქართველოს გაზის კორპორაციის პრეზიდენტის ალეკო გოცირიძის ინტერესები იკვეთება. მას ქალაქის მერიაც უთანაგრძნობს. ამდენად, საკრებულოში სერიოზული არეულობაა მოსალოდნელი: ისედაც გაპარტახებული "თბილგაზი", შესაძლოა, წინასაარჩევნოდ, ნაღდი ფულის სერიოზულ წყაროდ იქცეს.*

"თბილგაზის" მართვის უფლებისთვის გამოცხადებულმა ტენდერმა ეჭვები თავიდანვე აღძრა. ამ ეჭვების საფუძველი კი ის გახდა, რომ სატენდერო პირობების მიხედვით, მმართველ კომპანიას არ ეკისრებოდა არავითარი ფინანსური ვალდებულება. გაზის მეურნეობის რეაბილიტაციისთვის კრედიტები ისევ "თბილგაზს" უნდა მოეძებნა მერიის გარანტიით. მაშინ ენერგოკრიზისის გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ჩუბინიშვილმა ამ საკითხს პრესკონფერენციაც დაუთმო და განაცხადა, რომ, მისთვის გაუგებარი იყო მერიის აჩქარება, რადგან "თბილგაზის" მართვის უფლებით გაცემა ამ ზამთრისთვის მაინც არ ესწრებოდა. **"ასეთ მცირე ვადაში, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რომელიმე ახალმა კომპანიამ მოამზადოს საკუთარი სატენდერო წინადადება. ასე რომ, ეს ტენდერი სხვა კონკრეტული ორგანიზაციისთვისაა გამიზნული,"** – ეჭვობდა მაშინ ჩუბინიშვილი.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ავტომობილი

B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სტილი | B8 სხვადასხვა

კულუარები

# ემოციური რჩეულიშვილი და ჭორბენაძის ზრახვები

ორი დღის წინ "ღამის კურიერში" პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა თავის კოლეგასთან, ასევე ვიცე-სპიკერ გიგი წერეთელთან გამართული დებატებისას, ერთი შეხედვით, საკმაოდ მოულოდნელი განცხადება გააკეთა – "საპარლამენტო არჩევნებამდე შორია და იგი გვიან გაიმართებაო". რამდენიმე წუთში რჩეულიშვილმა განმარტა, რომ სიტყვაში "გვიან" მან ნოემბრის თვე იგულისხმა, მაგრამ მას არც თავისმა ოპონენტმა და, ალბათ, არც მაყურებელთა დიდმა ნაწილმა დაუჯერა.

ეს გასაკვირი ნამდვილად არ არის. სახელისუფლებო კულუარებში დიდი ხანია, არჩევნების გადატანის გეგმაზე საუბრობენ - თუნდაც, ნახევარი წლით. იმის მიუხედავად, რომ სახელისუფლებო პარტიები ამ ინფორმაციას "აბსურდს" უწოდებენ, მათდა სამწუხაროდ, ინფორმაცია სახელმწიფო კანცელარიიდან მაინც ჟონავს (ეს კი კვლავ სახელისუფლებო წრეების პრობლემაა, რადგან ჩვენი ინფორმაციით, მათ ინტერესებში ნამდვილად არ შედიოდა ასეთი "გრანდიოზული" გეგმის ნაადრევად გახმოვანება).

საგულისხმოა, რომ ხელისუფლების გეგმის შესახებ ოპოზიციურმა ძალებმაც შესანიშნავად იციან. ორი კვირის წინ "24 საათს" ეს ინფორმაცია პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, "დემოკრატმა" გიგი წერეთელმა დაუდასტურა. მოვლენების ამდაგვარ განვითარებას არც "ახალი მემარჯვენეები" გამორიცხავენ.

ამ ფონზე ვახტანგ რჩეულიშვილის ემოციურ "წამოცდენას" მოულოდნელობის ეფექტი უკვე აღარ აქვს. სხვა საქმეა, რამდენად არის იგი გაცნობიერებული სახელწიფო მინისტრის გარემოცვის გეგმის დეტალებში და რა როლს შეასრულებს იგი მის განხორციელებაში.

სხვათა შორის, ბატონ რჩეულიშვილს არაერთხელ შეუსრულებია საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური დაკვეთა. თუნდაც რამდენიმე წლის წინ, როცა პარლამენტის ტრიბუნიდან მან სრულიად საქართველოს მოსახლოებას აჭარაში "ომის" დაწყება აუწყა, ხოლო "აგრესორად" ოფიციალური თბილისი დაასახელა.

თუმცა, ეს რამდენიმე წლის წინ იყო. ახლა ვახტანგ რჩეულიშვილი აღარც ასლან აბაშიძის კარზეა უწინდებურად მიღებული და ჯერ-ჯერობით ვერც პრეზიდენტის გარემოცვაში დაიკავა სათანადო, ანუ მისთვის სასურველი ადგილი. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ არჩევნების გადადების გეგმა მისთვის უშუალოდ არავის გაეზიარებინა. თუმცა, ეს სულაც არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მან ამ ინფორმაციის შესახებ რაღაც მაინც იცის. "ღამის კურიერში" წამოსროლილი სიტყვებიც, ალბათ, სწორედ საკუთარი ცოდნის დემონსტრირებას ემსახურებოდა.

ახლა უკვე ნამდვილად აღარა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რატომ გაახმოვანა რჩეულიშვილმა ეს გეგმა. მთავარი ის არის, რომ, ნებსით თუ უნებლიედ, ეს საიდუმლო უკვე სახელმწიფო მინიტრის მხურვალე მხარდამჭერმა გაახმოვანა.

*"24 საათი"*

# ვინ ცრუობს - „აღორძინება" თუ "ლეიბორისტები"?

ნებისმიერი არჩევნების წინ მედიისა და პოლიტიკით დაინტერესებული საზოგადოების ნაწილისათვის ყველაზე პოპულარული გართობა იმის გამოცნობა ხდება, თუ რომელი პარტია ვის, სად, რამდენად და რა ფორმით გაურიგდება.

გუშინ "აღორიძინებამ" ამ საქმით დაკავებულ საზოგადოებას სამკითხაოდ მორიგი ინტრიგა "გადაუგდო".

საქმე ის არის, რომ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ მედიას საპარლამენტო არჩევნებში მორიგი სავარაუდო პარტნიორის ვინაობა "გაუმხილა". მისი თქმით, ეს "ლეიბორისტული" პარტიაა, **"რომელთანაც თანამშრომლობის კონტურები უკვე გამოიკვეთა".** სანდრო ბრეგაძე იქვე დასძენს, რომ ეს თანამშრომლობა, შესაძლოა, ერთიანი საარჩევნო ბლოკის სახით გაფორმდეს. **"თუ არა, მაშინ ჩვენი პარტიები დამოუკიდებლად გადალახავენ საარჩევნო ბარიერს და უკვე შემდგომ, პარლამენტში მოსვლისას, ერთიან უმრავლსეობას შექმნიან,** - აცხადებს ბრეგაძე.

წესით, აქ სამკითხაო აღარაფერი უნდა იყოს. მაგრამ, როგორც გაირკვა, საქმე არც ისე მარტივად ყოფილა. თავად განსაჯეთ – ლეიბორისტები ბრეგაძის ამ გულახდილობამ სახტად დატოვა.

**"ჩვენი პარტიის ლიდერს ბევრჯერ განუცხადებია, რომ არჩევნებში არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან არც ბლოკს შევქმნით და არც ვითანამშრომლებთ. ამ სიტყვებს დღესაც ვიმეორებთ. ალბათ, სანრო ბრეგაძემ საკუთარი მოსაზრება და სურვილი გააჟღერა",** – ასეთია ლეიბორისტული პარტიის პრესცენტრის ოფიციალური განცხადება.

ასეთი განცხადებები, როგორც იტყვიან, "ჰაერზე" არ კეთდება. შესაძლოა, ორივე პარტიამ შეთანხმებას "გარკვეული თანამშომლობის" თაობაზე უკვე მიაღწია. არჩევნების პერიოდში კი "თანამშრობლობა" (თუკი მას ბლოკის სახე არ აქვს), ძალიან მარტივ რამეს – ფარულ გარიგებას ნიშნავს.

თუკი ეს სიმართლეა, მაშინ ნამდვილად არ არის გასაკვირი "ლეიბორისტების" პროტესტის ასეთი რადიკალური ფორმა. მით უფრო, რომ ხელისუფლებასთან ფარულ ალიანსში მრავალგზის მხილებული შალვა ნათელაშვილი მაინც ცდილობს დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის ლიდერის იმიჯის შენარჩუნებას.

"აღორძინებამ", როგორც ჩანს, ეს მომენტი არ გაითვალისწინა და მოლაპარაკებების თაობაზე ხმამაღლა განაცხადა. აქედან გამომდინარე, ნამდვილად არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ბრეგაძის ამ განცხადებას "ლეიბორისტების" მხრიდან საკმაოდ სერიოზული კულუარული გარჩევა მოჰყვება.

*"24 საათი"*

განცხადება

# შემცირებული ტარიფი მარტში გამოწერილ ქვითრებზე აისახება

ენერგიტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილების თანახმად, 1 მარტიდან დედაქალაქის მაცხოვრებლები ელექტროენერგიის საფასურს ახალი ტარიფით, 12.18 თეთრით გადაიხდიან. ახალი ტარიფით ქვითრების გამოწერა მარტიდან იწყება.

**გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მარტის პირველ ნახევარში "ეი-ი-ეს თელასის" მომხმარებლები იღებენ თებერვალში გამოწერილ ქვითრებს, რომლებშიც მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური პირველ მარტამდე არსებული ტარიფით არის დაანგარიშებული.**

"ეი-ი-ეს თელასი" მარტის დასაწყისიდან ერთი თვის განმავლობაში ახალი ტარიფის მიხედვით გადაიანგარიშებს 6 იანვარიდან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს. განსხვავება, ანუ 0.22 თეთრი თითოეულ კილოვატსაათზე, მომხმარებლებს კრედიტში დაუჯდებათ და შესაბამისად აისახება მათ ბარათებზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ "ეი-ი-ეს თელასის" ბიზნეს-ცენტრს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

**"ეი-ი-ეს თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე დღეს გაემგზავრება სოჭში, სადაც ერთ-ერთ სახელმწიფო აგარაკზე მოკლევადიან შვებულებაში მყოფი რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ისვენებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტი ვალერი არშბა დარწმუნებულია, რომ ვლადიმირ პუტინისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრაზე ქართული მხარე ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე დათანხმდება რუსი სამშვიდობოებისათვის მანდატის გაგრძელებას და საბოლოოდ გადაწყდება სოჭი-თბილისი-ერევნის სარკინიგზო მაგისტრალზე მიმოსვლის აღდგენის საკითხი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**მოსკოვი**. რუსეთის ცენტრალური ბანკის დელეგაცია მარტის განმავლობაში თბილისს ეწვევა, რათა საქართველოს ეროვნულ ბანკთან ხელი მოაწეროს შეთანხმებას საკორესპოდენტო ანგარიშების გახსნის თაობაზე, რომელიც ქვეყანაში დისლოცირებულ რუსულ ბაზებს მოემსახურება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი. "საერთაშორისო თანამეგობრობა დაინტერესებულია საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩრდილოეთ მონაკვეთზე ეუთოს დამკვირვებელთა მიერ მონიტორინგის გაფართოებითა და გაგრძელებით",** - განაცხადა საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტარი ვასილ მაღლაფერიძე მიიჩნევს, რომ შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ სამი პოლიტიკური ცენტრი – "დემოკრატიული ფრონტი", "სახელისუფლებო ბლოკი" და ბათუმური დაჯგუფება ჩამოყალიბდება. შესაბამისად ყველა პარტია ამ "ორბიტებზე" იმოძრავებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საარჩევნო სისტემებთან დაკავშირებით პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილ სპეციალურ ქვეკომისიაში ახალი საარჩევნო ადმინისტრაციის მოწყობის რამდენიმე ვარიანტია შესული. ამ კომისიის წევრის, პარლამენტარ ვახტანგ ხმალაძის აზრით, არც ერთი არ არის სრულყოფილი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "თანადგომის" წევრი მანანა გიგინეიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში მოსახლეობა იმ ძალას მიემხრობა, რომელიც ქვეყნის კურსს არ შეცვლის. მას ოპოზიციური ორგანიზაციების ნაწილი "იმ ძალების მართულად" მიაჩნია, "ვისაც საქართველოს ერთიანობა ხელს არ აძლევს". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური ორგანიზაცია "ახალი მემარჯვენეები" მარტის ბოლოს, მთლიანად დაასრულებს საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ანკეტირების პროცესს, რომელიც ზუსტი საარჩევნო სიების დადგენის მიზნით, "ახლებმა" 15 იანვრიდან დაიწყეს. **პრაიმ-ნიუსი**

# რამდენად რეალურია რუსეთში სტალინის ეპოქის აღორძინება?

პირველი გვერდიდან

და სოციალურმა გარემომ გამოიწვია, რასაც დაემატა პოლიტიკური წრეების სრული უმწეობა. პოლიტოლოგებმა, დეპუტატებმა და სტალინის დღემდე ცოცხალმა თანამებრძოლებმა თეორიულ-მეცნიერულად გაიაზრეს სტალინის ეპოქის რუსეთის იმპერიის ისტორიული გამოცდილება. მაგალითად, ნიკოლოზ ბაიბაკოვმა - სსრკ "გოსპლანის" სტალინისდროინდელმა უფროსმა, რომელიც სტალინის გუნდში ყველაზე ახალგაზრდა მინისტრი იყო - განაცხადა, რომ მთავრობის არც ერთ სხდომაზე სტალინის ყვირილი არ ისმოდა, ხოლო ხალხს სინამდვილეში იგი კი არა, ბერია და კაგანოვიჩი ხოცავდნენ.

თანამედროვე რუსეთი იმედგაცრუებულია და კვლავ მიმართა სტალინს. ამ მხრივ საქმე ერთგვარ რენესანსთან გვაქვს – ქვეყანაში მიმდინარეობს სტალინის სახელისა და საქმეების რეაბილიტაცია. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა იკამათეს, თუ რას ნიშნავს სტალინის პიროვნების რეაბილიტაცია. პოლიტოლოგ ვიაჩესლავ ნიკონოვის აზრით, ისტორიულად დღევანდელი დღე 1949 წელს ჰგავს, როცა პრესა და მოსახლეობა სტალინის დაბადების დღეს აღნიშნავდა. ხოლო საბჭოთა რეჟიმის ფალსიფიკაცია იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს დღეებში ხელისუფლება აშკარად მართავს დიქტატორის რეაბილიტაციის პროცესს.

ამის წინააღმდეგ მრგვალ მაგიდასთ-



რუსული სევდა დიდებულ წარსულზე.

ან მხოლოდ ვლადიმირ ჟირინოვსკიმ გაილაშქრა და დემონსტრაციულად დახია გაზეთ 5 მარტის "პრავდაში" გამოქვეყნებული სტალინის უზარმაზარი პორტრეტი.

დღეს მოსკოვის პოლიტელიტაში ბევრი ფიქრობს, რომ რუსეთის მსხვილი კრიმინალური კაპიტალი სტალინისტურ ხასიათს ატარებს, ამიტომ მასაც სჭირდება "რკინის ხელი" იმპერიის სათავეში - თავისუფლად მოაზროვნეებთან ანგარიშსწორებისთვის. მეორენი ფიქრობენ, რომ **"სინამდვილეში საქმე არავითარ რენესანსთან არ გვაქვს. უბრალოდ, რუსეთში მხოლოდ კომუნისტური წყობა ამართლებს, რომ მოსალოდნელი არჩევნების შედეგები უკვე გლებ პავსლოვსკის მაგიდაზე უდევს და რომ რუსი მღვდლები კგბ-ს ყოფილი თანამშრომლები არიან"**(ჟირინოვსკი).

რუსი საზოგადო მოღვაწეების ერთი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ **"სტალინი დღეს რუსეთში საკმაოდ პოპულარულია საიმისოდ, რათა პიროვნების ახალი კულტი გაჩნდეს. ამ მხრივ საზოგადოება ვლადიმირ პუტინის მძევალია, კაცისა, რომელიც დახურული პიროვნებაა და, სამწუხაროდ, თვითონაც არ იცის, თუ საით მიჰყავს ქვეყანა"** ( მწერალი ვიქტორ ეროფეევი).

**"მადლობა ღმერთს, რომ 50 წელი სტალინის გარეშე ვიცხოვრეთ!"**- ასეთი იყო "მრგვალი მაგიდის" მონაწილე, შედარებით პროგრესულად მოაზროვნე პოლიტოლოგების ერთსულოვანი დასკვნა.

# რას არ იტყვის ადამიანის ენა

პირველი გვერდიდან

საქართველოს ერთიანი კომპარტიის ლიდერს პანტელეიმონ გიორგაძეს ხელისუფლების მიერ სტალინის გარდაცვალების დღის აღნიშვნა ფარისევლობად მიაჩნია. **"როგორ შეიძლება გუბერნატორებმა, გამგებლებმა აღნიშნონ სტალინის გარდაცვალების დღე?** – აღშფოთება ვერ დამალა მან ჩვენთან საუბარში, – **ისინი ხომ სტალინის მტრები არიან. ეს ფარისევლობაა, პოპულიზმია. მათ ხალხის ეშინიათ და უნდა აჩვენონ, რომ სტალინს პატივს სცემენ. მუზეუმში კი არ უნდა დადიოდნენ, არამედ ხალხში უნდა იყვნენ და თქვან – გვაპატიეთ, დავანგრიეთ ყველაფერი, რაც სტალინმა ააშენა... ესენი "პადხალიმები" იყვნენ სტალინის სიცოცხლეშიც და "პადხალიმები" არიან ახლაც!"**

კომუნისტების მიტინგი სახლ-მუზეუმთან უკვე დაწყებული იყო, რომ ხელისუფლებამ ტერიტორია დატოვა. კომუნისტებმა და მათმა მომხრეებმა სტალინის პიროვნების შესახებ ისაუბრეს. ვახტანგ გოგუაძემ საკუთარი შეცოდებები გაიხსენა და ცოდვებს ცოდვა დაამატა: **"ახალგაზრდობაში მე მქონდა სტალინის წინაშე შეცოდება – მე იგი ათეისტი მეგონა. დიდი ხანია ბოდიში მოვიხადე და რაღაც გამოკვლევებიც მაქვს. სტალინი იყო ღმერთზე ნაკლები და კაცზე მეტი. ბეთლემი, სადაც ქრისტე იშვა, პატარა სოფელი იყო, როგორც გორი. გორსა და ბეთლემს შორის დიდი კავშირია. დღევანდელ დღეს გილოცავთ, როგორც ქრისტეს აღდგომას ულოცავენ ერთმანეთს, რადგან სტალინიც იყო "სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი".**

პანტელეიმონ გიორგაძემ აღნიშნა, რომ სტალინის სახელს ყველა საკუთარი მიზნებისათვის იყენებს და საქართველოს



სტალინისტთა მსვლელობა გორში.

პრეზიდენტს, პარლამენტარებს და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ მოუწოდა, დატოვონ სავარძლები. ამის შემდეგ კომუნისტები და მათი მხარდამჭერები ხელისუფლების კვალზე გაეშურნენ და სტალინის ძეგლი გვირგვინებით შეამკეს. მიტინგი ძეგლთანაც გაიმართა, სადაც კომპარტიის გორის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ალეკო ლურსმანაშვილმა წინასაარჩევნო განცხადება გააკეთა - **"მოდის არჩევნები. კიდევ ერთხელ არ მოტყუვდეთ. არც ნაციონალისტები, არც დემოკრატები, არც აღორძინება – არ არიან დღევანდელი ხელისუფლების ოპოზიციონერები. გაყევით იმ ადამიანებს, ვინც არ იცვლის პოლიტიკურ შეხედულებებს. მხარი დაუჭირეთ სოციალისტური იდეებისა და რუსეთთან მეგობრობის მომხრეებს."**

კომუნისტების მიტინგი დამთავრებული იყო, როდესაც გორს პოლიტიკური გაერთიანება "ერთობის" ლიდერები ჯუმბერ პატიაშვილი და ალექსანდრე ჭაჭია ეწვივნენ. პატიაშვილმა სტალინის სახლ-მუზეუმს საჩუქრად გადასცა მხატვარ ნალბანდიანის მიერ 1950 წელს შესრულებული სტალინის პორტრეტი, რომელიც მათ კერძო კოლექციიდან შეუძენიათ. ამ დროისათვის, თავისი ოჯახის წევრებთან ერთად, გორში ჩამოვიდა სტალინის შვილიშვილი ევგენი ჯუღაშვილიც, რომელმაც პაპის სახლ-მუზეუმი მოინახულა.

იმ დროს, როცა სტალინის თაყვანისმცემლები ბელადის ხსოვნას ცალ-ცალკე მიაგებდნენ პატივს, გორის კულტურის ცენტრში სტალინის ფენომენის შემსწავლელი საერთაშორისო სამეცნიეროკვლევითი ცენტრის სამეცნიერო კონფერენცია მიმდინარეობდა.

# "აფსუს!" - ამბობენ სტალინის თაყვანისმცემლები

ბელა მახარაძე

*სტლინის თაყვანისმცემელმა საზოგადოებამ "დედაენის ბაღში" ბელადის გარდაცვალებიდან 50 წლისთავი აღნიშნა. "აფსუს,"- თვალცრემლიანმა ჩაილაპარაკა მზესუმზირის გამყიდველმა მოხუცმა, რომელიც მომღიმარი სახით შესცქეროდა ბელადის სურათს.*

"დედაენის ბაღში" საქართველოს ოფიცერთა კავშირის წევრებმა დიდი ბელადის უკვდავსაყოფად მიტინგი გამართეს. მომიტინგეები თვალზე ცრემლმომდგარნი იხსენებდნენ მათი საყვარელი ბელადის დამსახურებებს საქართველოს წინაშე, კითხულობდნენ სტალინისადმი მიძღვნილ ლექსებს, მადლობას უხდიდნენ მას. შეხვედრას დაახლოებით ორმოცდაათამდე ადამიანი ესწრებოდა.

**"სტალინის სახემ და სტალინის სიტყვამ შეიძლება გააერთიანოს მთელი საქართველო, მხოლოდ ამ შემთხვევაში აყვავდება საქართველო, ჩვენ მოვუწოდეთ ყველა პარტიას გაერთიანებისაკენ,"** - აცხადებს საქართველოს ოფიცერთა კავშირის თავმჯდომარე იური ნებიერიძე. როგორც გაირკვა, ისინი არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, სავარაუდოდ, "აღორძინებასთან" ერთად აპირებენ.



მიტინგი "დედაენის" ძეგლთან.

მიტინგის მსვლელობისას მცირე უთანხმოებასაც ჰქონდა ადგილი, როდესაც ერთმა შემთხვევითმა გამვლელმა მომიტინგეებისთვის არასასურველი სიტყვები თქვა სტალინზე. "პროვოკატორი" საყვედურებით აავსეს და მალევე გაარიდეს იქაურობას.

**"ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, როცა მეხუთე კლასის მოსწავლემ გორში პირადად ვნახე სტალინი, მაშინ არ ვიცოდი, თუ ამხელა კაცს ვხედავდი. ეს ჩემი ტკბილი მოგონებაა დიდ ბელადზე,"**- იგონებდა ოფიცერთა კავშირის ბედნიერი წევრი, კაპიტანი ზურაბ მამულაშვილი.

# გამახარია ნადარეიშვილის წინააღმდეგ და პირიქით

*აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თამაზ ნადარეიშვილისა და ფრაქცია "21-ე საუკუნის" წევრის ჯემალ გამახარიას შორის სასამართლო გარჩევები კვლავაც გრძელდება. სოხუმის საქალაქო და რაიონულ სასამართლოში შეტანილი სარჩელით გამახარია, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის მოტივით, ნადარეიშვილისგან ბოდიშის მოხდასა და 50000 ლარს ითხოვს.*

ლელა მჭედლიძე

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აცხადებს, რომ აფხაზეთის დაცემის შემდეგ, გამახარიას, ლამის ტაშ-ფანდური ჰქონდა გამართული და შესაბამის განცხადებებსაც აკეთებდა. გუშინ დაკითხულ მოპასუხე მხარის მოწმეთა ჩვენებიდან დადასტურდა, რომ 1993 წლის ოქტომბერში იგი საქართველოს ხელისუფლების დამხობისა და რამდენიმე ქალაქის ჩეჩნების დახმარებით აღების მოწოდებით გამოდიოდა ზუგდიდში გამართულ მიტინგზე (მოწმე ქეთევან ჯობავა). მიტინგზე მსგავსი ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლებით იხილა თავისი კოლეგა დეპუტატმა ჯანსულ ეზუგბაიამ. მართალია, მიტინგისას მას ჩეჩენი ეროვნების ადამიანები არ შეუნიშნავს, მაგრამ, მოგვიანებით მაინც იხილა "ბეემპეთი" მდგარი ჩეჩნების გარემოცვაში გამახარია. ეზუგბაია მიიჩნევს, რომ გამახარიას გამოსვლები ზვიდ გამსახურდიას მომხრის პოზიციის გამოხატულება გახლდათ. იგი არსებული ხელისუფლების დამხობას გამსახურდიას ხელისუფლების აღდგენის მოტივით თხოულობდა. სასამართლოზე მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ვიდეოკასეტების განხილვა გუშინ დაიწყო. პროცესი დღეს უნდა განახლდეს.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# აფხაზეთის "გადმობრუნებელი" არსად ჩანს

გიორგი ასანიშვილი

*გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს საქართველოში ჰაიდი ტალიავინს ძალიან აღიზიანებს ის უარყოფითი შეფასებები, რომლებიც ქართველი პოლიტიკოსებისგან მისი მისიის მისამართით გაისმის. "მაშინ, ეძებეთ სხვა პარტნიორები მსოფლიო თანამეგობრობაში," - პასუხობს შვეიცარიელი დიპლომატი ოპონენტებს, რომლებიც გუშინ მრავლად იყვნენ აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე. ტალიავინზე არანაკლებ გაღიზიანებულები ჩანდნენ ქართველი კანონმდებლებიც, რადგან თითქმის ნებისმიერ შეკითხვაზე გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელისგან მხოლოდ ერთი პასუხი ესმოდათ: "ეს საკითხი მე არ მეხება, ეს საკითხი გაერო-ს ფორმატში არ შედის."*


ლევან ხერხეულიძის ფოტო
*ეს გაერო-ს კომპეტენცია არ არის - ასე პასუხობდა შეკითხვებს ჰაიდი ტალიავინი.*

ყველა, ვინც მოელოდა, რომ პარლამენტში სტუმრად მიწვეული ჰაიდი ტალიავინისგან, აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით, რაიმე კონკრეტულს შეიტყობდა, გაწბილებული დარჩა. აუდიტორიის განწყობა თავად ტალიავინმაც იგრძნო. **"მეც ვიცი, რომ იმედი გაგიცრუეთ,"** - აღნიშნა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა მას შემდეგ, როდესაც კომისიის სხდომაზე "საგანმანათლებლო სამუშაო" დაასრულა. ეს სამუშაო კი, ძირითადად, იმის კონსტანტირებაში გამოიხატა, თუ როგორი პროცედურით ხდება გაერო-ს უშიშროების საბჭოზე საკითხების განხილვა და როგორია საკოორდინაციო საბჭოს არსებობის თითქმის ექვსწლიანი ისტორია. დიპლომატმა ქალბატონმა წაიკითხა, აგრეთვე, საკმაოდ ვრცელი ამონარიდი აფხაზეთის საკითხთან მიმართებაში გაერო-ს მიერ მიღებული ბოლო რეზოლუციიდან, რომლის შინაარსი დამსწრე საზოგადოების უმრავლესობამ, ისედაც ლამის ზეპირად იცოდა.

**"იმეორებთ მხოლოდ იმას, რასაც თქვენი წინამორბედები ამბობდნენ. თქვენი საქმიანობაც ისევე უშედეგო იქნება, როგორიც მათი იყო,"** - ამ არცთუ სასიამოვნო შეფასებასა და პროგნოზს, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, ტალიავინს პირში ეუბნება პარლამენტარი დიმა ჯაიანი.

**"ერთ შემთხვევას მაინც თუ გაიხსენებთ, როდესაც რომელიმე საკითხთან დაკავშირებით აფხაზურმა მხარემ კონსტრუქციულობა გამოიჩინა?"** - გუშინ გივი ლომინაძის "ცნობისმოყვარეობაც" დაუკმაყოფილებელი დარჩა. ძნელი სათქმელია, დიპლომატიური სტატუსი არ აძლევს ტალიავინს აფხაზ სეპარატისტებზე აუგის თქმის უფლებას, თუ მართლა ვერ იხსენებს, სოხუმის დე-ფაქტო ხელისუფლების მხრიდან კეთილგანწყობის გამოვლენის შემთხვევას. ყოველ შემთხვევაში, გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი მხოლოდ იმას აფიქსირებს, რომ 18-19 თებერვალს ჟენევაში საქართველოს "მეგობარი ქვეყნების" წარმომადგენელთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებზე აფხაზური მხარისგან ოფიციალური პასუხი ჯერ არ მიუღია.

ტალიავინი გარკვევით ასევე ვერაფერს ამბობს დეპუტატ გია გვაზავას ინფორმაციაზე, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთში ჩასვლისას, საერთაშორისო დამკვირვებლებს დოკუმენტებში ურტყამენ შტამპს წარწერით - "აფხაზეთის რესპუბლიკა". გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელი აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის ბრალეულობისთვის შეფასების მიცემისგანაც თავს იკავებს და მხოლოდ იმას დასძენს, რომ **"საქართველოს ხელისუფლებამ მოსკოვთან საერთო ენა უნდა გამონახოს."**

**"გვეუბნებიან, რუსეთთან საერთო ენა გამოძებნეთო. მაშინ, რაში გვჭირდება ე.წ. "მეგობართა ჯგუფი" და საერთაშორისო ორგანიზაციები? რუსების მიერ კონფლიქტის მოგვარებისა რომ მჯეროდეს, შევადგენდი დელეგაციას, გავაგზავნიდი მოსკოვში და, ისე ჩავეხუტებოდი და ისეთ საერთო ენას გამოვნახავდი ჩრდილოელ მეზობელთან, რომ ამ ეგრეთ წოდებულ "მეგობრებს" არც კი დაესიზმრებოდათ,"** - ირონიანარევი გაოცებით განაცხადა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა მას შემდეგ, როდესაც ტალიავინმა გუშინდელი ღონისძიება დატოვა.

აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების ხელმძღვანელის თქმით, სულ ცოტა ხანში ისევ დადგება დღის წესრიგში რუსი სამშვიდობოებისთვის ვადის გაგრძელების საკითხი, გაერო-ში დაიწყება მუშაობა ახალი არაფრისმთქმელი რეზოლუციის მისაღებად და ა.შ. **"მაშინ უკვე რა მოხდება, კაცმა არ იცის. მითუმეტეს, წინასაარჩევნო პერიოდში აფხაზეთის თემატიკა წინა პლანზე წამოიწევს და დევნილებს ველარავინ შეაჩერებს,"** - ერთგვარი მუქარის ტონი შეინიშნება ნადარეიშვილის განცხადებაში.

აფხაზეთის საკითხში რომ ყველაფერი ყირამალაა, საპარლამენტო კომისიის გუშინდელ სხდომაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა. როდის "ამობრუნდება" კონფლიქტი და როდის დადგება ყველაფერი თავის ადგილზე, გარკვევით ვერავინ ამბობს. ვერც ისინი, ვის ხელშიც დადგა ყველაფერი თავდაყირა და ვერც ისინი, ვისაც საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის "გადმოსაბრუნებლად" "დაუმეგობრდა".

# ვახტანგ რჩეულიშვილმა "სალდატსკი პრიჩინა" იპოვა

ვიცე-სპიკერ ვახტანგ რჩეულიშვილის თქმით, მან "სალდატსკი პრიჩინა" უპოვა პარლამენტის მიერ ამასწინათ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც 1 ივლისიდან მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდას ითვალისწინებს. სოციალისტური პარტიის თავმჯდომარის მტკიცებით, 28 თებერვლის პლენარული სხდომა რეგლამენტის დარღვევით ჩატარდა, ვინაიდან პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ვიცე-სპიკერ გიგი წერეთლისთვის სხდომის წაყვანის უფლება ოფიციალურად არ მიუცია. აღნიშნულთან დაკავშირებით, ვახტანგ რჩეულიშვილი იხსენებს 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს მომხდარ შემთხვევას, როდესაც პარლამენტში მომხსენებლად ფინანსთა მინისტრის მირიან გოგიაშვილის დანიშვნის თაობაზე ოპოზიციამ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ოქმის წარმოდგენა მოითხოვა.

28 თებერვლის სხდომის "მავნე შედეგის აღმოფხვრის" მიზნით, რჩეულიშვილი გუშინ მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა პარლამენტის ბიუროს სხდომის მოწვევას, თუმცა, მისი ძალისხმევა უშედეგოდ დასრულდა.

**"პარლამენტმა არია საქმე და მდგომარეობა მანვე უნდა გამოასწოროს,"** - ფარ-ხმალის დაყრა არ სურს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელიც ჯოხის გადატეხვას მთლიანად თავის კოლეგებზე აპირებს.

რაც შეეხება თავად საკანონმდებლო გადაწყვეტილების მიღების ფაქტს, ვახტანგ რჩეულიშვილი მას მთავრობის მიმართ დეპუტატების უკმაყოფილებით ხსნის.

*"24 საათი"*

# პრეზიდენტმა ვეტოს დადება ვერ გარისკა

პირველი გვერდიდან

მაგალითად, დღეს საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა უნდა იმსჯელოს ამ გადაწყვეტილების მიღების კანონიერებაზე. საკითხის შესწავლა კომიტეტმა გუშინწინ დაიწყო "სოციალისტების" ინიციატივით. კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძე გუშინ ირწმუნებოდა, რომ **"კომიტეტი მეტისმეტად ობიექტური იქნება"** და ჯერ კიდევ არ საუბრობდა იმაზე, თუ როდის იქნება საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული. ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ აღნიშნული კომიტეტის დასკვნა სახელისუფლებო ძალებს სწორედ საქართველოს პრეზიდენტისთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით სჭირდებათ.

ამის შესახებ საკმაოდ ღიად განაცხადა კიდეც გუშინ "მოქალაქეთა ფრაქციის" ლიდერმა ვიტალი ხაზარაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ:

**"თუ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტი კენჭისყრისას სხვისი პულტების გამოყენების ფაქტს დაადასტურებს, მაშინ მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდასთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, პრეზიდენტს წინადადებებით შემოსვლა არ დასჭირდება, რადგან პარლამენტის მიერ კანონში შეტანილი ცვლილებები ბათილად ჩაითვლება".**


*ზურაბ ჟვანიას შეხვედრა მედიკოსებთან.*

საინტერესოა, რომ "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, დღეს სახელისუფლებო აქტიურობა მხოლოდ საპარლამენტო კომიტეტში დაგეგმილი განხილვით არ შემოიფარგლება.

უკვე გუშინ უნივერსიტეტის დერეფნებში გამოჩნდნენ "აგიტატორები", რომლებიც სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს პარლამენტის წინ შეკრებისკენ მოუწოდებდნენ, რათა საკუთარი პროტესტი დაეფიქსირებინათ მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების თაობაზე.

ხოლო მანამ, სანამ მთავრობა თავად მოსახლეობას ათქმევინებს კატეგორიულ უარს ხელფასების მომატებაზე, "გაერთიანებული დემოკრატები" მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებენ და საკუთარ პოზიციას საზოგადოების სხვადასხვა ფენას აცნობენ. გუშინ ასეთი შეხვედრა გაიმართა თსუ-ს კლინიკურ ("მიხაილოვის") საავადმყოფოში, სადაც ექიმებმა ჟვანიას უთხრეს, რომ საერთოდ უარს იტყვიან ძველი სახელფასო დავალიანებების აღებაზე, თუ ხელფასი 115 ლარამდე გაეზრდებათ.

მეორე შეხვედრა "გაერთიანებული მეწარმეების" ინიციატივით შედგა. მასში მონაწილეობა, ზურაბ ცქიტიშვილთან ერთად, საშუალო და წვრილი ბიზნესის წარმომადგენლებმა მიიღეს და კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ სახელფასო მინიმუმის გათანაბრება საარსებო მინიმუმთან, გაზრდის მოთხოვნას, შესაბამისად, წარმოებას წაახალისებს და არა - პირიქით...




# ჩეჩნები და კრემლი ახალ შუამავლებს ეძებენ

პირველი გვერდიდან

ამავე დროს, უფრო დეტალური დაკვირვებით ჩანს, რომ სიტუაცია განსხვავებულია და რუსეთის ხელმძღვანელობა არ წყვეტს მცდელობებს, შეთანხმებას მიაღწიოს ჩეჩნეთის მეამბოხე ლიდერთან ასლან მასხადოვთან.


*მასხადოვი*

ალსანიშნავია, რომ მოსკოვის თეატრში მძევლების აყვანამდე, რუსეთში მაღალ დონეზე განიხილებოდა მასხადოვისთვის წინასწარი პირობების გარეშე დათმობის იდეა.

თეატრის მოვლენებმა, რომლებსაც 120 მძევლის და ყველა ტერორისტის სიკვდილი მოჰყვა, ამ იდეას ხაზი გადაუსვა. თუმცა, უკანასკნელ დღეებში კრემლმა, "ყოველი შემთხვევისთვის", განაახლა მოლაპარაკებების არხები. ერთ-ერთი საკონტაქტო პირი სალამბეკ მაიგოვი გახდა.

მოსკოვის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების პრესტიჟული ინსტიტუტის ასპირანტმა, 36 წლის მაიგოვმა თავად წარუდგინა თავი საზოგადოებას და განაცხადა, რომ უფლებამოსილია იმ რუს პოლიტიკოსებთან მოლაპარაკებებისათვის, ვინც მზადაა ილაპარაკოს მშვიდობის დამყარების შესახებ.


*მაიგოვი*

ამის შემდეგ კვლავ გამოჩნდა მასხადოვის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ვახა არსანოვი, რომლის შესახებაც არაფერი იყო ცნობილი ჩეჩნეთის მეორე კამპანიის შემდეგ, 1999 წლის შემოდგომიდან. 50 წლის ვახა არსანოვმა (წარსულში ჩეჩნეთში საგზაო პოლიციის თანამშრომელმა) მოუწოდა ბოევიკებს, უარი თქვან ჩეჩნეთის ამჟამინდელი მილიციის თანამშრომელთა მკვლელობების პრაქტიკაზე და ფედერალურ ცენტრს საკუთარი თავი შესთავაზა შუამავლად.

რას ნიშნავს ამ პირთა ჩეჩნურ სცენაზე გამოჩენა?

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არსანოვი დამოუკიდებელ თამაშს თამაშობს, ვინაიდან სამი წლის წინათ იგი მასხადოვმა ჩამოაშორა ხელმძღვანელ თანამდებობას და მოქმედ ბოევიკებს შორის დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობს. არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ არსანოვი დაკავშირებულია პრომოსკოვურად განწყობილ ახმად კადიროვთან. შესაძლოა არსანოვს მიაჩნია, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი, რათა მან მასხადოვი შეცვალოს.

უფრო საინტერესოა რუსეთში წარმომადგენლად სალამბეკ მაიგოვის დანიშვნა. რატომ ჩათვალა ძებნაში გამოცხადებულმა მასხადოვმა, რომ რომელიმე რუსი პოლიტიკოსი კონტაქტზე წავა მის წარმომადგენელთან? პუტინის უკანასკნელი განცხადებები და კრემლის ქმედებები მიანიშნებენ, რომ აღებულია მკაფიო კურსი ჩეჩნეთში კონსტიტუციის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებაზე. გამოდის მარტივი სცენარი - რეფერენდუმი, კონსტიტუციის მიღება, პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევა. და ამ სცენარში სეპარატისტების ადგილი არ არის.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩეჩნეთის პოლიტიკა, საზოგადოებისგან დაფარული საიდუმლო ნაწილითაც ხასიათდება. ორმა განსხვავებულმა წყარომ აცნობა IWPR-ს, რომ დუბროვკაზე, თეატრში მძევალთა აყვანამდე ერთი დღით ადრე, ჩრდილო კავკასიაში, ჩეჩნეთის მახლობლად, მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ასლან მასხადოვთან. ამასთანავე, ძებნაში მყოფ იჩქერიის პრეზიდენტთან კონტაქტი იმდენად მაღალი რანგის რუსმა ჩინოვნიკმა დაამყარა, რომ მასხადოვთან კავშირისათვის, რუსი სამართალდამცავებისგან რაიმე უსიამოვნების არ ეშინოდა. მაგრამ დუბროვკაზე მომხდარმა შემთხვევამ და კოპენჰაგენსა და ლონდონში მასხადოვის სპეცწარმომადგენლის ახმედ ზაკაევის სისხლის სამართლებრივმა დევნამ ჩაშალეს სამშვიდობო მოლაპარაკებებისათვის მზადება.


*არსანოვი*

მასხადოვი სრულ ნომენკლატურულ ვაკუუმში აღმოჩნდა. პირველი ჩეჩნური კამპანიის დროს ცნობილი შუამავალი, მასხადოვის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი კაზბეკ მახაშევი, ძებნაში გამოცხადდა. ხოლო ისინი, ვისაც ტერორისტობა არ დაბრალდა, სხვა მიზეზით ამოვარდნენ თამაშიდან.

ანალიტიკოსთა თქმით, ცნობილი ჩეჩენი პოლიტიკოსი, პროფესორი რუსლან ხაზბულატოვი, რომელსაც მასხადოვის რწმუნება გააჩნდა და რომელმაც მშვიდობიანი მოწესრიგების თავისი გეგმა შეიმუშავა, საკუთარი შეცდომის მსხვერპლი გახდა. მას შემდეგ, რაც იგი გასულ წელს, ლიხტენშტეინში გამართულ არაფორმალურ მოლაპარაკებებზე დაეთანხმა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების ყოფილ მრჩეველს ზბიგნევ ბჟეზინსკის იმაში, რომ ჩეჩნეთში საერთაშორისო ძალების შეყვანაა აუცილებელი, მოსკოვმა იგი, როგორც მოლაპარაკებებში შუამავალი, დაასამარა.

შესაძლოა ახალი ადამიანების ძიებამ აიძულა მასხადოვი, გაეჩერებინა თავისი არჩევანი სალამბეკ მაიგოვზე. იგი, ერთის მხრივ, მოსკოვისთვის მისაღები უნდა იყოს, რადგან ფედერალური ძალების წინააღმდეგ არ ომობდა, მეორეს მხრივ კი, პოზიციებით სეპარატისტებს უახლოვდება. მაიგოვი, ისევე როგორც ბოევიკები, 23 მარტს დაგეგმილი რეფერენდუმის წინააღმდეგ გამოდის, რადგან მიაჩნია, რომ რეფერენდუმი არა თუ გადაჭრის ომის პრობლემას, არამედ გააძლიერებს ჩეჩნეთის საზოგადოებაში არსებულ განხეთქილებას.

და მაინც, მოსკოვი რეფერენდუმის ჩატარებას აპირებს. ამ თამაშში მასხადოვის წარმომადგენელი, როგორც ჩანს, სათადარიგო მოთამაშედაა შეყვანილი, რომელსაც მინდორზე მაშინ გამოუშვებენ, როდესაც სიტუაცია საამისოდ მომწიფდება.

საკითხავი კი ისაა, თუ როდის მომწიფდება სიტუაცია მოლაპარაკებებისათვის? რა შეიძლება მოჰყვეს რეფერენდუმს? ამ შეკითხვას, ნაწილობრივ, უმარ ავტურხანოვმა გასცა პასუხი, რომელიც 1994 წელს მოსკოვის მხარდამჭერ ოპოზიციას ლიდერობდა და დუდაევის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას უძღვებოდა.

იგი, ისევე, როგორც ვახა არსანოვი, მივიწყების შემდეგ მოულოდნელად გაჩნდა პოლიტიკურ ასპარეზზე. 1995 წელს დაიშალა პრორუსული "დროებეთი საბჭო", რომელსაც ავტურხანოვი ხელმძღვანელობდა. თავად იგი, გადასახადებისა და მოსარგებლეების ფედერალურ სამსახურში გადავიდა სამუშაოდ და მის შემდეგ მის შესახებ არავის სმენია. თუმცა ამ დღეებში, ავტურხანოვი, მოსკოვის პრესტიჟული სასტუმრო "როსიას" ოქროს დარბაზში გამართული ჩეჩნების მრგვალი მაგიდის ორგანიზატორად მოევლინა საზოგადოებას.

ავტურხანოვმა განაცხადა, რომ იანვრის ბოლოს ინგუშეთში, კარაბულაკეში მოლაპარაკებები გამართა სეპარატისტთა წარმომადგენლებთან და მათ ერთობლივად შექმნეს ჩეჩნეთის რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს საორგანიზაციო კომიტეტი. საბჭოს მიზანი, მისი თქმით, მებრძოლებთან ერთად ომის დასრულების გზების ძიებაა.

უმარ ავტურხანოვის თქმით, პირველ რიგში აუცილებელია ამნისტიის შესახებ კანონპროექტის შემუშავება. უსაფრთოების საიმედო გარანტიების გარეშე ბოევიკები მშვიდობიან ცხოვრებას არ დაუბრუნდებიან.

მაგრამ ეს უკვე შეკითხვებს ბადებს. არც ერთ კანონს არ შეუძლია ბოევიკებისათვის უსაფრთხოების გარანტიების მიცემა, სანამ იქ ფედერალური ძალები მოქმედებენ. ამას ის შემთხვევებიც მოწმობს, როდესაც ზოგიერთი დაბრუნებული უგზოუკვლოდ იკარგებოდა ან საჯაროდ იხვრიტებოდა. ასე რომ, ჩეჩნების შემორიგება უკავშირდება ჯარების გაყვანის და ხელისუფლების სამოქალაქო ორგანოებისთვის გადაცემის პრობლემას - იმ საკითხებს, რომელთა მოგვარებას სამხედრო ხელმძღვანელობა აფერხებს.

ავტურხანოვი გამოდის ჩეჩნეთში რწმუნებულის ინსტიტუტის შექმნის ინიციატივით, რომელსაც სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება დაემორჩილება, ხოლო თავად იგი მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული. ცხადია, რომ რწმუნებულის თანამდებობაზე იგი საკუთარ კანდიდატურას სთავაზობს ხელისუფლებას.

თავად ავტურხანოვის თქმით, იგი არ აპირებს პრეზიდენტობას; ასე რომ, მას სრული თავისუფლება აქვს: იგი მზადაა მოლაპარაკებებისათვის იმათთან, ვინც დღეს კუთხეშია მიმწყვდეული - შამილ ბასაევთან და ისლამისტ რადიკალებთან, რომლებსაც ვაჰაბიტებს უწოდებენ.

განხორციელდება თუ არა ეს გეგმები? მშვიდობისმყოფელობა რუსეთში, როგორც ამას გამოცდილება გვიჩვენებს, საშიში პროფესიაა. ალბათ ისიც მართალია, როცა ამბობენ, რომ ავტურხანოვის უკან ვლადიმირ პუტინის ხელახალ არჩევაში დაინტერესებული ფედერალური უშიშროების სამსახურის გარკვეული დაჯგუფებები და ოლიგარქთა ნაწილი დგანან, მაგრამ ეს, ჯერ კიდევ, გამარჯვების გარანტია არ არის. ძალების შედარება 23 მარტის შემდეგ მოხდება.

# „გაზპრომი„ ბუნებრივი აირის მოპოვებას ზრდის

მსოფლიოს უდიდესმა გაზის მომპოვებელმა კომპანიამ "გაზპრომმა" განაცხადა, რომ 2004 წელს დაახლოებით 542 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მოპოვებას გეგმავს. ეს მაჩვენებელი ორი პროცენტით აღემატება 2003 წლის გეგმიურ მაჩვენებელს.

"გაზპრომის" მუშაობის მაჩვენებლებს დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანად რუსული ეკონომიკისთვის. თავად განსაჯეთ: "გაზპრომზე" მოდის რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) რვა პროცენტი, გარდა ამისა, ქვეყნის საბიუჯეტო და სავალუტო შემოსავლების 25 და 20 პროცენტი.

ინვესტორებმა კომპანიის ეს განცხადება ოპტიმისტურად მიიღეს და განაცხადეს, რომ ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ნავთობის ფასების დინამიკაზე. თუმცა, ინვესტორთა აზრით, "გაზპრომის" განცხადებები რეალისტურია, განსაკუთრებით ადრინდელი პროგნოზის გათვალისწინებით.

ნავთობზე ფასების არასტაბილურობის გათვალისწინებით გაზპრომის 2004 წლის შემოსავლების პროგნოზირება ჯერჯერობით, ნაადრევია. ცნობილია, რომ ბუნებრივ აირზე ფასები ნავთობის ფასების დინამიკას 6-9 თვის ვადით იმეორებენ.

## მოკლედ

**თბილისი.** გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიაში ხუთწლიანი მართვის უფლებით PA Consulting შედის. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ცნობით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კონტრაქტორი PA Consulting მეთვალყურეობას გაუწევს კომპანიის მართვას. კომპანიაში თანამედროვე მენეჯმენტის განსახორციელებლად და მანქანადანადგარების შესაცვლელად USAID-ი 35 მილიონ დოლარს გამოყოფს. აქედან 15 მილიონი დოლარი ჰესების ახალი დანადგარებით აღჭურვას მოხმარდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს „შაჰდენიზის“ გაზის საბადოს ასათვისებლად აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიისათვის 170 მილიონ- დოლარიანი საკრედიტო ხაზის გახსნა აქვს განზრახული. აზერბაიჯანში ბანკის წარმომადგენლის თომას მოზერის ინფორმაციით, აზერბაიჯანული ნავთობკომპანიის დაკრედიტების საკითხი ბანკის დირექტორთა საბჭოზე, 2003 წლის ივნისში საბოლოოდ გადაწყდება. კასპიის „შაჰდენიზის“ საბადოს დამუშავების პროექტი 3.2 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სს „ჩელიაბგიპრომეზი“ რუსთავის მეტალურგიული კომბინატის რეკონსტრუირების გენერალური დამპროექტებელი იქნება. ამის შესახებ გადაწყვეტილება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ახალ მფლობელთან - იტალიურ კომპანიასთან „Angelo Corn“ და მეტალურგიული დანადგარების მიმწოდებელთან - გერმანულ კომპანიასთან „First Alpine Fuks“ ერთად იქნა მიღებული. ჩელიაბინსკელმა დამპროექტებლებმა, რომლებიც გერმანული „First Alpine Fuks“-ის დიდი ხნის პარტნიორები არიან, ქარხნის რეკონსტრუქციის პროექტი მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა მოამზადონ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცნობილი გახდა კავშირგაბმულობის დარგში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამსახურის უფროსის და ორი სპეციალისტის ვინაობა. კონკურსის შედეგად სამსახურის უფროსის თანამდებობა იურისტმა ლია მუხაშავრიამ დაიკავა, სამსახურის ორი სპეციალისტის თანამდებობაზე გაიმარჯვეს ანა მიქელაძემ და ალექსანდრე აბესაძემ. **მედია ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი და "რელასის" გენერალური დირექტორი გიორგი ენდელაძე ერთმანეთს უპირისპირდებიან. ტყეშელაშვილი, რუსთავის ენერგომომარაგებაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, "რელასის" ხელმძღვანელებს ადანაშაულებს. მისი თქმით, მოსახლეობაც და ორგანიზაციებიც მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს იხდიან, მაგრამ ეს ფული, "რელასის" ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა ჯიბეებში ილექება და დანიშნულების ადგილს ვერ აღწევს. **ინტერ-პრესი**

## მონიტორინგი

გაზეთი "24 საათი" და საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე" იწყებენ საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის რეგულარული ანალიზის ერთობლივ პროექტს.

ფირმის პარტნიორები და თანამშრომლები, ყოფილი ფინანსთა მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის ხელმძღვანელობით და გაზეთის ჟურნალისტები შემოგთავაზებენ ეკონომიკური განვითარების ანალიზს, მთავრობისა და პარლამენტის მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზსა და კომენტარებს, კორპორატიულ ინფორმაციას.

დღეიდან გაზეთი იწყებს პროექტის პირველი ნაწილის გამოქვეყნებას. თქვენს წინაშეა ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგის მასალები. გაზეთი ყოველდღიურად შემოგთავაზებთ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგებს, კვირაში ერთხელ, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგებსა და ინფორმაციას იმავე პერიოდში გაწეული ხარჯების შესახებ, შესაბამისი ანალიზითა და კომენტარებით, თვეში ერთხელ კი, თქვენს წინაშე წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების უფრო დეტალური ანალიზი.

### სახაზინო ვალდებულების განთავსება

თარიღი 05.03.03

| დასახელება | პირველი კვარტლის პროგნოზი | შესრულება | % | 4 მარტი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 252.46 | 117.65 | 47% | 0.95 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 186.38 | 81.42 | 44% | 0.35 |
| საგადასახადო შემოსავლები | 151.98 | 77.37 | 51% | 0.28 |
| სოციალური ფონდი | 53.84 | 30.77 | 57% | 0.32 |
| საგზაო ფონდი | 12.23 | 5.46 | 45% | 0.28 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | | 37.03 | | |

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 4 მარტისთვის

მლნ. ლარებში

| აუქციონის N | 9 |
|---|---|
| ემისიის ვადა | 119 დღე |
| ემისიის ოდენობა | 2,500,000 |
| მოთხოვნა | 3,742,700 |
| დისკონტის პროცენტი | 34% |
| ბიუჯეტის შემოსავალი | 2,249,774 |
| დასაფარი თანხა | 5,000,000 |
| ბალანსი | -2,750,226 |

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 28 თებერვალი - 6 მარტის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.627 | 0.6879 | 0.0053 |
| US$ | 1.595 | | 1.0968 | 0.0085 |
| €uro | 1.4539 | 0.9117 | | 0.0078 |
| ¥en | 187.41 | 117.52 | 128.88 | |

### 2003 წლის 6 მარტიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.3622 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4176 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.6198 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1500 | ლარი |
| თურქული ლირა | 10 | 1.3346 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0681 | ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1834 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4386 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3650 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0307 | ლარი |

# მთავრობას აფხაზეთის ქონების დაბრუნების იმედი აქვს

სოფო კვინტრაძე

სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე, ქონების მართვის მინისტრის მოადგილემ ზურაბ გარაყანიძემ, აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფოს კუთვნილი ქონების გაყიდვის ფაქტების შესახებ კომენტარი გააკეთა. გარაყანიძე აცხადებს, რომ ჯერჯერობით დაუზუსტებელი ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე იყიდება სანატორიუმები, რომლებიც ადრე სახელმწიფოს კუთვნილებაში იყო. ცნობილია ისიც, რომ ამ შენობა–ნაგებობებს დსთ-ს ქვეყნების კერძო და იურიდიული პირები და სხვადასხვა უწყებები ყიდულობენ. ქონების მართვის სამინისტროს არ გააჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ქონებას ფლობს აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო. როგორც გარაყანიძე აცხადებს, საომარი მოქმედებების დროს აფხაზეთში უამრავი შენობა დაინგრა და განადგურდა. საჭიროა ხელახალი ინვენტარიზაცია და აღწერა, რასაც ქონების მართვის სამინისტრო, გასაგები მიზეზების გამო, ვერ აკეთებს. მიუხედავად ამისა, მინისტრის მოადგილე



ზურაბ გარაყანიძე

დარწმუნებულია, რომ აფხაზეთში დაბრუნების შემდეგ საქართველო სრულად დაიბრუნებს კუთვნილ სახელმწიფო ქონებას. **"ნებისმიერი ცენტი, რომელიც უცხოელებმა აფხაზეთში ჩადეს ინვესტიციის სახით ან სახელმწიფო ქონება შეისყიდეს, ჩათვალონ, რომ მათთვის დაკარგულია,"** – აცხადებს გარაყანიძე. მისი თქმით, პრივატიზაციის ყველა აქტი, რაც კი აფხაზეთში გაფორმდება, უკანონოა, რადგან საქართველოს კანონი პრივატიზაციის შესახებ განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ქონების განკარგვისა და გაყიდვის უფლება მხოლოდ ქონების მართვის სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიულ ორგანოებს გააჩნიათ. ზურაბ გარაყანიძის თქმით, საქართველო მიერთებულია ბიშკეკის 1994 წლის ხელშეკრულებასთან, რომელიც დსთ-ს წევრ ქვეყნებს შორის პრივატიზაციის საკითხებს არეგულირებს.

მოსკოვში აფხაზეთის წარმომადგენელმა იგორ აჰბამ კი "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და თავად გადაწყვეტს, ვისთან დაამყაროს სავაჭროეკონომიკური კავშირები და ვის რა მიჰყიდოს.

# "თბილგაზისთვის" ბრძოლაში ლეიბორისტებიც ჩაერთნენ?

პირველი გვერდიდან

საბოლოოდ, ეჭვები დადასტურდა და ამ დოკუმენტაციის მომზადება მართლაც "მოახერხა" ამხანაგობა "ახალმა მენეჯმენტმა", რომლის სახელითაც, "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, გაზის კორპორაციის პრეზიდენტი ალეკო გოცირიძე მოქმედებს.

"თბილგაზით" დაინტერესებულთა ნუსხაში ალეკო გოცირიძის სახელმა პირველად მაშინ გაიჟღერა, როდესაც "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს - "იტერა-ჯორჯიას" შექმნის პროექტი ჩაიშალა და "თბილგაზი" ქონების მართვის სამინისტრომ დაიბრუნა, შემდეგ კი ენერგეტიკის სამინისტროს გადასცა. სწორედ მაშინ გაჟღერდა პირველად, რომ ენერგეტიკის სამინისტროს "თბილგაზის" სამართავად გაზის საერთაშორისო კორპორაცია უნდა მოეწვია. მაშინ ეს შეთანხმება არ შედგა, ვინაიდან "თბილგაზის" დაფინანსების საკითხი ჯერ ბოლომდე გარკვეული არ იყო. თანაც, "იტერა" პერმანენტულად იმუქრებოდა გაზის გათიშვით და გაზმომარაგების პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე მთავრობის კისერზე "დამოკლეს მახვილივით" ეკიდა. ამიტომ, "თბილგაზი" სასწრაფოდ დაუბრუნეს მერიას, რომელსაც "იტერასათვის" დახარჯული გაზის საფასურის გასასტუმრებლად ორჯერ მოუწია კრედიტის აღება კომერციული ბანკებიდან (პირველად - 4, მეორედ კი - 6 მილიონი ლარის ოდენობით). გეგმა მარტივი იყო: ზამთრის გასვლისთანავე, როცა დაძაბულობა გაივლიდა, გაზის მოხმარება შემცირდებოდა და, შესაბამისად, გაზმომარაგებისაკენ მიპყრობილი საერთო ყურადღებაც მოდუნდებოდა, გაზის კორპორაცია ტენდერის მეშვეობით, ერთობ შეღავათიანი პირობებით შევიდოდა "თბილგაზში". საკრებულოს წევრის კობა ბექაურის ხელთ არსებული ინფორმაციით, გოცირიძეს ზურგს უმაგრებს "გეოინჟინერინგიც". ეს კომპანია პარლამენტარ ზაქარია ქუცნაშვილის მამას ეკუთვნის. სხვათა შორის, სწორედ ამ კომპანიის რეკომენდაციითა და საკონსულტაციო კომპანია "ფი-ეი ქონსალთინგის" მხარდაჭერით, ზაქარია ქუცნაშვილის ძმა ივერი ქუცნაშვილი "თბილგაზში" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რანგში მოღვაწეობდა.

ბექაურის თქმით, ალეკო გოცირიძეს ტოლი არ დაუდეს ლეიბორისტებმაც, ისარგებლეს შექმნილი ვითარებით და სასწრაფოდ დაუკავშირდნენ "საქტრანსგაზმრეწვის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ვანო ზაზაშვილს, რომელსაც, სხვათა შორის, დიდი ხანია, რაც "თბილგაზზე" თვალი უჭირავს. **"ის, რომ ლეიბორისტები ზაზაშვილს უთანაგრძნობენ, საკრებულოს მდივნის ზურაბ ჟვანიასა და ზაზაშვილის ძველი თანამშრომლობიდანაც ჩანს,"** – აცხადებს ბექაური.

როგორც გაირკვა, ლეიბორისტებისა და "საქტრანსგაზმრეწვის" მეგობრობა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც საკრებულოს მდივანმა ზურაბ ჟვანიამ მას "საქგაზთან" დავისას აღმოუჩინა იურიდიული დახმარება. **"ახლა რა ხდება ამ საქმესთან დაკავშირებით, არ ვიცი,"** – ამბობს საკრებულოს მდივანი დღეს, თუმცა, "საქგაზისთვის" 20 მილიონის დაკისრების საქმეს თავისი ადვოკატობის პრაქტიკიდან იოლად იხსენებს.

მაშინ "საქტრანსგაზმრეწვი" "საქგაზს" ძველ ვალს, 60 მილიონ ლარს ედავებოდა. ეს დავალიანება "საქგაზს" ჯერ კიდევ "იტერას" ხელში გადასვლამდე, 1998 წელს დაუგროვდა ზაზაშვილის კომპანიის მიმართ. ვალები კი შემდეგნაირად დაგროვდა: სახელმწიფო "დეპარტამენტ საქგაზისა" და ასევე სახელმწიფო "ტრანსგაზმრეწვის" სამართალმემკვიდრე - "საქტრანსგაზმრეწვი" საქართველოში გაზის იმპორტს ახორციელებდა. ქვეყნის შიგნით კი ამ გაზს ახლად შექმნილი კომპანია "საქგაზი" ანაწილებდა. 1998 წელს "საქტრანსგაზმრეწვი" ფინანსური ჯაჭვიდან ამოაგდეს: მაშინდელმა მფლობელმა დავით ბეჟუაშვილმა "საქგაზი" "იტერას" მიჰყიდა, "იტერამ" გაზის მოწოდება უშუალოდ თავისი შვილობილი კომპანიის ხელით დაიწყო, "საქგაზმა" კი "საქტრანსგაზმრეწვს" გაზის დაგროვილი დავალიანება აღარ გადაუხადა. 2002 წლის ივნისში უზენაესმა სასამართლომ "საქგაზს" "საქტრანსგაზმრეწვისთვის" ძველი ვალიდან - 60 მილიონიდან - 20 მილიონის გადახდა დააკისრა, თუმცა ამან ზაზაშვილი არ დააკმაყოფილა და ეს დავა ახლაც გრძელდება. **"თუ ეს დავა მოვიგეთ და თან "თბილგაზში" შევედით, მაშინ ამ თანხით "იტერას" ვალების გაქვითვა გახდება შესაძლებელი,"** – ირწმუნება ზაზაშვილი, თუმცა იქვე დასძენს, რომ კანცელარიის სიმპათიები ამ ტენდერში აშკარად გოცირიძისკენ იხრება. **"გოცირიძე ღიად ამბობს, სანამ ცოცხალი ვარ, ალტერნატიულ გაზს ვერავინ შემოიტანსო,** - აცხადებს ზაზაშვილი, - **არადა, "იტერა" სულაც არ არის გაზის უალტერნატივო მომწოდებელი. ჩვენ გაზის შემოტანა ირანიდანაც შეგვიძლია."**

ზაზაშვილის ინფორმაციით, მის ამ განწყობას სათავისოდ იყენებს გოცირიძე. კანცელარიის კულუარებში უკვე დაიწყეს იმის მტკიცება, რომ ზაზაშვილი გამარჯვების შემთხვევაში "იტერას" გაზის ფულს აღარ გადაუხდის და ვალის გაქვითვას მოსთხოვს, ხოლო ამით განაწყენებული "იტერა" გაზის მოწოდებას შეწყვეტს.

კულუარებში საუბრობენ ზაზაშვილსა და გოცირიძეს შორის სავარაუდო გარიგებაზეც. კულუარული ინფორმაციით, ზაზაშვილის დადუმებას გოცირიძე "ქეშით" – საკმაოდ სოლიდური თანხით აპირებს. როგორც საუბრობენ, ლეიბორისტებთან გარიგების შემდეგ ზაზაშვილს ამ "ქეშის" გაყოფა მათთვისაც მოუწევს. შედგება თუ არა ეს გარიგება მხოლოდ მას შემდეგ გაირკვევა, რაც სატენდერო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს. როგორც თბილისის ქონების მართვის სამართველოდან გვაცნობეს, ეს ორი კვირის ვადაში უნდა მოხდეს.

# ეკონომიკურ დანაშაულებათა მასშტაბები კვლავ დიდია

ნინო ნარჩემაშვილი

საერთაშორისო ორგანიზაციები და საფინანსო ინსტიტუტები თავიანთი რეკომენდაციების ძირითად პუნქტებში საქართველოს მიუთითებენ ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის აუცილებლობაზე. ეკონომიკურ დანაშაულებათა მასშტაბები კი საკმაოდ დიდია.

ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის მიერ გასული კვირის განმავლობაში სამართალდარღვევის 178 ფაქტია გამოვლენილი. მხოლოდ აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულმა თანხამ 26 215 ლარი შეადგინა. სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული შპს "არი"-ს ხელმძღვანელების მიმართ, რომლებმაც ტვირთი საბაჟო წესების დარღვევით, ყალბი დოკუმენტაციის გამოყენებით შემოიტანეს და სახელმწიფო ბიუჯეტს 1 193 ლარის ზარალი მიაყენეს: მოქალაქე ნიკოლოზ ტაბატაძის მიმართ, რომელმაც საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის შედეგად თავი აარიდა ბიუჯეტში 6 113 ლარის გადახდას; მოქალაქე ზურაბ ზაალიშვილის მიმართ, რომელმაც მსგავსი დარღვევით 10 007 ლარით აზარალა ბიუჯეტი. რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს, გამოვლენილია: სამეწარმეო საქმიანობის, ნავთობის დისტილატების რეალიზაციის, ტრანსპორტირებისა და შენახვის წესის, საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვების, რეალიზაციისა და გადაზიდვის, ვაჭრობის და საკონტროლო-საკასო აპარატების გამოყენების წესების დარღვევათა 152 ფაქტი. აღნიშნულ პერიოდში საგანგებო ლეგიონის მიერ ასევე გამოვლინდა აღურიცხავი 91 940 ლიტრი დიზელის საწვავისა და 560 ლიტრი ბენზინის უკანონო ბრუნვა. ამოღებულია 6 849 კოლოფი არამარკირებული სიგარეტი. ამავე პერიოდში, ფოთში, თბილისში, გორისა და მცხეთის რაიონებში დაფიქსირებულ სამართალდარღვევათა გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა ნუსხიდან, რომლებიც გენერალურ პროკურატურას გადაეგზავნა, აღსანიშნავია ინდივიდუალური მეწარმის გურამ ლიფონავას მიერ გადასახადისათვის თავის არიდების ფაქტი, რის შედაგადაც მეწარმეს სახელმწიფო ბიუჯეტში 3 253 ლარის გადახდა დაეკისრა. ასევე, შპს "გადამზიდველის" მიერ ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და მათი გამოყენების ფაქტი, რომლის შედეგადაც შპს-ს ხელმძღვანელობამ თავი აარიდა 13 817 ლარის გადახდას. პროკურატურას გადაეცა თამბაქოს არამარკირებული ნაწარმისა და ხის მასალის გადაზიდვა-რეალიზაციის უამრავი ფაქტიც.

საგანგებო ლეგიონს, ჯერჯერობით, გამოვლენილ სამართალდარღვევათა ბოლომდე მოძიების უფლებამოსილება არ გააჩნია. ამიტომაც მის სტრუქტურაში ფინანსური პოლიციის შექმნის აუცილებლობის შესახებ მსჯელობენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სტრუქტურათა ასეთი შერწყმა დიდ ეფექტს იძლევა. დღეისათვის საქართველოში არსებული ეკონომიკურ დანაშაულთა სურათი მსგავსი რეფორმის გატარების საჭიროებაზე მეტყველებს.

# მთავრობა და "ეი-ი-ეს თელასი" საბოლოოდ მორიგდნენ

*გუშინ "ეი-ი-ეს თელასში" სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის წერილი მიიღეს. როგორც ამერიკულ კომპანიაში აცხადებენ, წერილმა დააკმაყოფილა "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი და მან სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შეწყვეტა გადაიფიქრა. მოლაპარაკების პროცესში ვითარება, ცოტა არ იყოს, დაძაბა გუშინ დილით სომხეთთან დამაკავშირებელ ხაზ "ალავერდზე" მომხდარმა ავარიამაც, რის გამოც 150 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტი სომხეთიდან დროებით შეწყდა. გუშინ საღამოსვე კი "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტმა ირაკლი მელაშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ "საქართველოს მთავრობასთან შეთანხმება მიღწეულია". ამასობაში, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა კვლავ ხაზგასმით აფიქსირებს, რომ "ეი-ი-ეს თელასთან" მხოლოდ მიმოწერა იყო გამართული და არავითარი იურიდიული დოკუმენტი არ გაფორმებულა.*

მაია ურუშაძე

წინააღმდეგობა "ეი-ი-ეს თელასსა" და მთავრობას შორის გასულ პარასკევს წარმოიშვა, როცა "ეი-ი-ეს თელასსა" და ავთანდილ ჯორბენაძეს შორის დაიდო სიტყვიერი შეთანხმება სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მექანიზმების შესახებ. ირიბარენმა მთავრობის სიტყვიერი დაპირება საკმარისად არ მიიჩნია და მთავრობას თავისი პირობის დოკუმენტალურად გაფორმებაც მოსთხოვა. ურთიერთშეთანხმების ოფიციალურ დოკუმენტში საუბარი უნდა ყოფილიყო იმ კონკრეტულ ფინანსურ ვალდებულებებზე, რომელთა შესრულებასაც "ეი-ი-ეს თელასი" საქართველოს მთავრობისგან ელის. სიტყვიერი შეთანხმების მიხედვით, "ეი-ი-ეს თელასმა" სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის საფასური მხოლოდ შეწონილი ტარიფით უნდა გადაიხადოს, ხოლო თანხის დარჩენილი ნაწილი საბითუმო ბაზარმა უნდა დაფაროს. მთავრობამ ამერიკული კომპანიისთვის 2 მილიონი დოლარის სასწრაფოდ გადახდა საბითუმო ბაზარსაც მოსთხოვა. გარდა ამისა, "ეი-ი-ეს თელასს" საბიუჯეტო დავალიანების სამი თვით გადავადებაც აღუთქვა. თავის მხრივ, მთავრობამაც მოსთხოვა "ეი-ი-ეს თელასს" პირობა, რომ ის ამ თანხით მეცხრე ენერგობლოკისთვის საჭირო გაზს შეისყიდდა.

**"ჩვენი ძველი საუბრების შემდეგ, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა მთავრობისა და "ეი-ი-ეს თელასის" შეთანხმების წერილებში,"** – აცხადებდა ირიბარენი ჯერ კიდევ გუშინ, მოლაპარაკების პროცესში. სწორედ ამ "ცვლილებების" გამო, გუშინწინ "ეი-ი-ეს თელასმა" სომხეთს ელექტროენერგიის იმპორტის შეწყვეტის თაობაზე შეტყობინებაც კი გაუგზავნა. **"იმის გამო, რომ 2002 წლის ბოლოს კანონმდებლობა შეიცვალა და დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები დაგვეკისრა, იმპორტისთვის თანხები აღარ გვყოფნის. ჩვენთვის საზარალოა ტარიფის შემცირებაც. ჩვენ აქ ბიზნესს ვაწარმოებთ და არა ქველმოქმედებას. სომხური დენის ღირებულება 2,45 ცენტია. ეს ორჯერ აღემატება საშუალო შეწონილ ტარიფს. გამოდის, რომ ზამთრის თვეებში ჩვენ ყველაზე ძვირ ენერგიას ვყიდულობთ ამ ქვეყანაში,"** – ბობოქრობდა ირიბარენი.

ირიბარენის დაშოშმინებას საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისიც ცდილობდა და ირწმუნებოდა, რომ საბითუმო ბაზარი თავის ვალდებულებებს შეასრულებს. იგი აცხადებს, რომ "ეი-ი-ეს თელასს" მალე გადაუხდის იმ 2 მილიონ დოლარს, რომელიც კომპანიას მეცხრე ბლოკისთვის გაზის შესასყიდად სჭირდება. თუმცა, სოლისის თქმით, სომხური დენის იმპორტთან დაკავშირებით **"მთავრობასთან არავითარი შეთანხმება გაფორმებული არ ყოფილა."**

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, დაერქმევა თუ არა ავთანდილ ჯორბენაძის წერილს "იურიდიული დოკუმენტი", არც სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდება და არც მეცხრე ენერგობლოკი გაჩერდება, რადგან მთავრობამ "ეი-ი-ეს თელასისთვის" აღთქმული დოკუმენტის – სახელმწიფო მინისტრის ოფიციალური წერილის გაგზავნა მოახერხა.

# სომხეთი პოლიტიკური არასტაბილურობის ზღურბლზე


სტეპან დემირჭიანი


რობერტ კოჩარიანი

რევაზ ბახტაძე
ერევნიდან

"ამ არჩევნებს სამართლიანს უკვე ვეღარ უწოდებ. ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, რომ მეორე ტური გაყალბებით მიმდინარეობს", - განაცხადა პრეზიდენტობის კანდიდატმა, სახალხო პარტიის ლიდერმა სტეპან დემირჭიანმა.

5 მარტს დილის რვა საათზე სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური დაიწყო. საარჩევნო დღე ოპოზიციის ბრალდებებით გამოირჩეოდა.

პირველი ტურის მსგავსად, რობერტ კოჩარიანი და სტეპან დემირჭიანი თავ-თავიანთ საარჩევნო უბნებზე ერთდროულად 11 საათისათვის გამოცხადდნენ.

სტეპან დემირჭიანის თქმით, არსებობს უამრავი ცნობა ხმების მასობრივი გაყალბებისა და ბიულეტენების ჩაყრის შესახებ. "თუმცა, მეტ-ნაკლებად სამართლიანი არჩევნების პირობებშიც კი მე გავიმარჯვებ", - აბსოლუტურად დარწმუნებულმა თქვა დემირჭიანმა.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, რას მოიმოქმედებს სახალხო პარტიის ლიდერი, თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია გამარჯვებულად კოჩარიანს გამოაცხადებს, დემირჭიანმა უპასუხა, რომ "საგნებს თავის სახელს დაარქმევს".

აღსანიშნავია, რომ ზუსტად ორი კვირის წინ, 19 თებერვალს საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის დროს "24 საათის" ანალოგიურ შეკითხვაზე, დემირჭიანმა ზუსტად იგივე პასუხი გასცა. "საგნებს თავისი სახელი" კი დემირჭიანმა ყოველდღიურად მრავალათასიანი მიტინგების მეშვეობით დაარქვა და, ფაქტობრივად, აიძულა ხელისუფლება, მეორე ტური დაენიშნა.

საარჩევნო უბანზე მისულმა რობერტ კოჩარიანმა განაცხადა, რომ "ოპოზიცია სულ პროტესტის შესახებ მღერის". კოჩარიანის თქმით, იგი "შესანიშნავ განწყობაზეა" და მხარს უჭერს "თავისუფალ, სამართლიანსა და გამჭვირვალე არჩევნებს".

"მეორე ტური რომ არ ყოფილიყო, მაინც შევქმნიდი მას", - ასე უცნაურად გამოხატა რობერტ კოჩარიანმა თავისი თავდაჯერებულობა.

კოჩარიანმა გადაჭრით უარყო არჩევნების წინა დღით საარჩევნო ოლქებში დემირჭიანის წარმომადგენლების დაპატიმრების ფაქტი და ჟურნალისტებს დეტალების დასაზუსტებლად პოლიციაში მისვლა ურჩია.

არჩევნების დროს მოსალოდნელი დარღვევები ეუთო-სა და ევროპის საბჭოს საგანგებო განცხადებების გაკეთების საფუძველი გახდა. არჩევნების წინა დღეს ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა სომხეთის ხელისუფლებას და ოპოზიციას თავისუფალი არჩევნების ჩატარებისაკენ მოუწოდა.

ამავდროულად, შვიმერმა ურჩია ხელისუფლებას, გაათავისუფლოს ყველა დაკავებული დემონსტრანტი, თავი შეიკავოს მედიის მუშაობაში ჩარევისაგან და პატივი სცეს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციას.

აღსანიშნავია, რომ სტეპან დემირჭიანი ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელს პიტერ აიხერსა და ევროპის საბჭოს დელეგაციის ხელმძღვანელს ლორდ რასელ ჯონსტონს არჩევნების დღეს რამდენჯერმე შეხვდა და არჩევნების დროს მომხდარი დარღვევების თაობაზე მიაწოდა ინფორმაცია.

ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა საგანგებოდ მოუწოდა სომხეთის შეიარაღებულ ძალებს, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამომჟღავნებას მოერიდონ.

რობერტ კოჩარიანის საარჩევნო შტაბის უფროსი და ქვეყნის თავდაცვის მინისტრი სერჟ სარქისიანი არჩევნების დღეს საგანგებოდ გამოეხმაურა არმიის მისამართით გაკეთებულ განცხადებებსა და სომხურ პრესაში ბოლო დღეებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, რომლის თანახმად, მთიანი ყარაბაღიდან ელიტარული ნაწილები სომხეთში იქნა გადმოსროლილი, რომლებსაც არეულობის შემთხვევაში გამოიყენებენ.

სარქისიანმა ამ ცნობას ყალბი უწოდა. მისი თქმით, ყარაბაღში კონტრაქტით მომუშავე, სომხეთის მოქალაქე სამხედროები ჩამოვიდნენ, რათა ხმა მიეცათ. სერჟ სარქისიანის ინფორმაციით, საარჩევნო უბნები მთიან ყარაბაღში არ იყო გახსნილი.

"სწორი დათვლა და სრული და გამჭვირვალე შედეგების გამოქვეყნება ხელს შეუწყობს სომხეთი, მიმართ ნდობის აღდგენას", - ნათქვამია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ გაკეთებული განცხადების ბოლოს.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვართან ოსკანიანმა ევროპის საბჭოს განცხადებას "ოდნავ გაზვიადებული უწოდა". ოსკანიანმა მოუწოდა ოპოზიციას, რომ "საარჩევნო პროცესი თავიანთი ვიწრო ინტერესებისათვის არ გამოიყენონ, რადგან სასწორზე სომხეთის საერთაშორისო რეპუტაცია დევს".

აღსანიშნავია, რომ დემირჭიანის საარჩევნო შტაბის პრეს-მდივნის რუზანა ხაჩატრიანის თქმით, იგი ვერ აუდის დარღვევების შესახებ შემოსული ინფორმაციის აღრიცხვას.

ხაჩატრიანმა წინასწარ დაბეჭდილი ბიულეტენი წარმოგვიდგინა, რომელზეც კოჩარიანის გვარი იყო შემოხაზული. ამგვარი ბიულეტენების უმრავლესობა სამხედროებს ჰქონდათ. პრეს-მდივნის თქმით, აღნიშნული ბიულეტენები მათ ერთ-ერთი საარჩევნო უბნის კომისიის წევრმა მოუტანა, ოღონდ წინასწარ გადაშალა უბნის ნომერი, რათა მასზე ეჭვი არ მიეტანათ.

"ჩვენ ვერაფრით ვერ დავადგინეთ საარჩევნო ბიულეტენების ზუსტი რაოდენობა", - თქვა რუზანა ხაჩატრიანმა. მისი ინფორმაციით, იყო ცნობები იმის თაობაზეც, რომ რეგიონებში მოქალაქეები რეგისტრირებულნი არ იყვნენ საარჩევნო სიებში.

"ჩვენ მივიღეთ მსგავსი შეტყობინება. ცესკო-ს თავმჯდომარე (არტაკ საჰრადიანი) დაუკავშირდა პოლიციას და ახლა მათ პასუხს ელოდება", - განუცხადა "24 საათს" ცესკო-ს იურიდიული განყოფილების უფროსმა ნუნე ჰოვანისიანმა.

ჰოვანისიანის თქმით, წინასწარ დაბეჭდილი ბიულეტენები, თუკი არსებობს, ოპოზიციამ, კანონის თანახმად, გენერალურ პროკურატურას უნდა გადასცეს.

საარჩევნო უბნების დახურვამდე ერთი საათით ადრე, სტეპან დემირჭიანის საარჩევნო შტაბმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 76 სარჩელი წარადგინა. "ჩვენ სისხლის სამართლის საქმესაც აღვძრავთ ცესკო-ს წინაღმდეგ, რადგან ისინი ორგანიზებას უწევდნენ ყოველივეს", - აღნიშნა რუზანა ხაჩატრიანმა "24 საათთან" სატელეფონო საუბრისას.

დღეს სომხეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინასწარი შედეგები უნდა გამოაცხადოს. სომხეთის საერთაშორისო რეპუტაცია და პოლიტიკური სტაბილურობა სწორედ დღეს გამოიცდება.

გვიან ღამით, ცნობილი გახდა სომხეთის ცესკო-ს მიერ გამოქვეყნებული წინასწარი შედეგები: კოჩარიანი - 69 პროცენტი, დემირჭიანი - 30 პროცენტი.

# ტერაქტი ისრაელში


ტერაქტის ადგილზე.

გუშინ ისრაელის ქალაქ ჰაიფაში ძლიერი ტერორისტული აქტი მოხდა. ქალაქის საცხოვრებელ კვარტალში ადგილობრივი დროით 14:17 სამგზავრო ავტობუსი აფეთქდა, რომელიც ჰაიფას ცნობილ უნივერსიტეტში მიემართებოდა. ტერაქტის შედეგად 15 ადამიანი დაიღუპა და 40-ზე მეტი მძიმედ დაშავდა. აქედან ათი ადამიანი უკიდურესად რთულ მდგომარეობაში იმყოფება და მათი გადარჩენა ეჭვს იწვევს.

დაღუპულთა და დაჭრილთა უმრავლესობას ჰაიფას უნივერსიტეტის სტუდენტები წარმოადგენენ. თვითმხილველთა თქმით, აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ დარტყმის ტალღამ ავტობუსის წინა მხარე მთლიანად მოგლიჯა და ჰაერში აისროლა. პოლიციის ვარაუდით, ავტობუსის დაზიანების ხარისხი მოწმობს, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობა სალონში იმყოფებოდა. თავად ავტობუსის მძღოლი მძიმედ არის დაჭრილი და ჰოსპიტალიზირებულია. ამის მიუხედავად, მან სამართალდამცავებს პირველი ჩვენება მისცა. მისი თქმით, ტერაქტი კამიკაძემ განახორციელა. **"ის საკმაოდ თანამედროვედ იყო ჩაცმული,"**- აცხადებს ავტობუსის მძღოლი მარვან დამოუნი. მისი თქმით, აფეთქების ხმა იმ დროს გაისმა, როცა მან მორიგ გაჩერებაზე ავტობუსის კარები გახსნა და რამდენიმე მგზავრი ჩასვლას აპირებდა. **"ამ დროს მე აფეთქების ხმა გავიგე. ვცდილობდი, შემოვბრუნებულიყავი, რათა დამენახა, რა მოხდა, ვინ დაიჭრა, მაგრამ ვერ შევძელი,"**- ამბობს იგი.

ისრაელის სპეცსამსახურების ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებით, საუბარია ე.წ. "მძინარე" კამიკაძეზე, რომელიც ისრაელის ტერიტორიაზე რამდენიმე კვირის წინ შევიდა, სადაც მიიღო ასაფეთქებლი მოწყობილობა და დაელოდა თავისი ხელმძღვანელობის ბრძანებას. ის კარგად და სოლიდურად იყო გამოწყობილი და ვერავინ შეძლო ეჭვის შეტანა. პოლიციის თანამშრომელთა განცხადებით, ასაფეთქებელი მოწყობილობის სარტყელი 50-60 კილოგრამს იწონიდა.

მომხდარზე პასუხისმგებლობა, ჯერჯერობით, არც ერთ ტერორისტულ დაჯგუფებას არ აუღია თავის თავზე. მიუხედავად ამისა, ისლამური ორგანიზაცია "ჰამასის" წარმომადგენელმა აბდელ აზიზ რანტისმა დაჯგუფების სახელით განცხადება გააკეთა და კამიკაძის მოქმედებას მაღალი შეფასება მისცა. **"ჩვენ წინააღმდეგობას არ შევწყვეტთ. ჩვენ არ ვაპირებთ, შევეგუოთ პალესტინელების ყოველდღიურ მკვლელობებს,"**- განაცხადა მან. შეგახსენებთ, რომ ისრაელში ბოლო ტერაქტი, დაახლოებით, ორი თვის წინ მოხდა, როცა თელ-ავივში 23 ადამიანი დაიღუპა.

## ინფორმაცია

### სახელმწიფო დეპარტამენტი მიესალმება შაჰ-დენიზის პროექტის დაწყებას

"სახელმწიფო დეპარტამენტი მიესალმება იმ ფაქტს, რომ ბიზნეს-პარტნიორებმა მიაღწიეს შეთანხმებას შაჰ-დენიზის ბუნებრივი გაზის პროექტის თაობაზე," – ნათქვამია რიჩარდ ბაუჩერის მიერ გაკეთებულ განცხადებაში. შეთანხმების მიღწევის შემდეგ პროექტი უკვე მშენებლობის ფაზაში შედის.

სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში ხაზგასმულია სამი მიზეზი, რის გამოც ამერიკის მთავრობა მხარს უჭერს ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის პროექტს:

გაზსადენი ხელს შეუწყობს აზერბაიჯანის ეკონომიკურ განვითარებას უახლოესი ათწლეულების განმავლობაში;

მიწოდების დივერსიფიცირების გზით, უზრუნველყოფს საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას;

თურქეთს საიმედო და კონკურენტუნარიანი გაზით უზრუნველყოფს.

### დნესტრისპირელი სეპარატისტების ლიდერებს ევროპასა და ამერიკაში შესვლა აეკრძალათ

27 თებერვალს შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირის ქვეყნებმა ერთობლივად განაცხადეს, რომ მოლდოვას სეპარატისტული რეგიონის, დნესტრისპირეთის 17 ხელმძღვანელ პირს ევროპის კავშირისა და შეერთებული შტატების ტერიტორიაზე შესვლა აეკრძალა. ამ პირებს შორის არიან სეპარატისტთა ლიდერი სმირნოვი, მისი ორი ვაჟი, უახლოესი მრჩევლები და მინისტრები.

განცხადების თანახმად, შეზღუდვა შეეხო იმ ადამიანებს, ვინც "პირველ რიგში არის დამნაშავე სამშვიდობო პროცესისათვის დაბრკოლებების შექმნაში".

განცხადებაში ასევე ნათქვამია: "სეპარატისტული დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობა განუწყვეტლივ ადასტურებს თავის ობსტრუქციონიზმსა და წინააღმდეგობას სტატუს-ქვოს ცვლილებისადმი და აბრკოლებს არსებითი მოლაპარაკებების დაწყებას".

ეს კონფლიქტი, - აცხადებენ აშშ და ევროკავშირი, - სერიოზულ საშიშროებას უქმნის ევროპის ამ რეგიონის უსაფრთხოებას და იგი მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის სრული დაცვით უნდა გადაწყდეს.

სმირნოვმა "ახსნა-განმარტებისათვის" მოლდოვაში რუსეთის საელჩოს მიმართა. მისი თქმით, 17-ვე პიროვნება რუსეთის მოქალაქეა და აშშ-მ და ევროკავშირმა რუსეთის მოქალაქეთა გადაადგილების თავისუფლება შეზღუდეს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-მდივანმაც ამ გადაწყვეტილებას არაკონსტრუქციული უწოდა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ზეწოლას სეპარატისტებზე, თანდათანობით, შედეგებიც მოაქვს. როგორც მოლდოვაში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა უილიამ ჰილმა განაცხადა, მხარეებმა უკვე მიაღწიეს პრინციპულ შეთანხმებას მოლდოვის ფედერალური სახელმწიფოს კონსტიტუციის პროექტის შემუშავების შესახებ.

# ნატო საქართველოდან და მოლდოვადან რუსეთის ჯარების გაყვანას ითხოვს

შოთა უტიაშვილი

"სანამ რუსეთი ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე ნაკისრ ვალდებულებებს არ შეასრულებს, ნატო-ს არც ერთი ქვეყანა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების (ეჩშძ) რატიფიცირებას არ მოახდენს," – განაცხადა აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ შეიარაღების კონტროლის საკითხებში სტივენ რედმეიკერმა.

1999 წლის ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე რუსეთმა აიღო ვალდებულება, თავისი სამხედრო ბაზები საქართველოდან და მოლდოვადან გაეყვანა. ამ ვალდებულების შესრულება კი, პრაქტიკულად, აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების ძალაში შესასვლელად. "ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულება" აწესებს შეზღუდვებს თითოეულ ქვეყანაში განთავსებული შეიარაღებისა და ცოცხალი ძალის რაოდენობაზე.

"საქართველოსა და მოლდოვასთან დაკავშირებით, რუსეთმა აიღო ვალდებულება, გაეყვანა ამ ქვეყნებში დისლოცირებული რუსული ჯარები, – განუცხადა რედმეიკერმა "ვაშინგტონ ფაილის" კორესპონდენტს, – საქართველოს შემთხვევაში საუბარია ორ სამხედრო ბაზაზე, რომლის დახურვაზეც რუსეთს, მიუხედავად სტამბოლში აღებული ვალდებულებისა, ჯერ თანხმობა არ განუცხადებია". რუსეთს, " სამხედრო აღჭურვილობის გამოტანასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემების გამო", ასევე არ შეუსრულებია ვალდებულება, 2002 წლის 31 ოქტომბრამდე მთლიანად გამოეყვანა თავისი ჯარები მოლდოვადან. "სანამ ეს ორი საკითხი არ გადაწყდება, ნატო-ს არც ერთი ქვეყანა არ მოახდენს ეჩშძ-ის რატიფიცირებას,"- განაცხადა რედმეიკერმა.

აპირებს თუ არა რუსეთი, შეასრულოს აღებული ვალდებულებები, კვლავაც უცნობია.

ერთი მხრივ, რუსეთი აცხადებს, რომ მისთვის ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლა უაღრესად მნიშვნელოვანია. როგორც რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, სერგეი ივანოვმა მიუნხენის კონფერენციაზე განაცხადა, მოსკოვისათვის სრულიად აუცილებელია, რომ ხელშეკრულება ამოქმედდეს და მას ბალტიისპირეთის სახელმწიფოებიც შეუერთდნენ. ხელშეკრულებასთან ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის მიერთების შემთხვევაში, ნატო ვეღარ შეძლებს რუსეთის საზღვრებთან ახლოს დიდი ოდენობით შეიარაღებისა და ჯარების განლაგებას.

ამავე დროს, რუსეთი უხეშად არღვევს სტამბოლის ვალდებულებებს საქართველოსა და მოლდოვაში და, ასევე, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ჩეჩნეთის ომის გამო, დისლოცირებული ჯარებისა და შეიარაღების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ეჩშძ-ით დასაშვებ ზღვრულ რაოდენობას.

მიუხედავად ამისა, რუსეთის თავდაცვის მინისტრი საერთაშორისო ფორუმებზე წარბშეუხრელად ამტკიცებს, რომ რუსეთს ხელშეკრულების ყველა პუნქტი 100 პროცენტით აქვს შესრულებული.

# გაერო-ს საიდუმლო გეგმა ერაყის მომავალი მოწყობის თაობაზე

*ერაყის კრიზისის ირგვლივ, საერთაშორისო არენაზე, დიპლომატიური მანევრები კვლავ გაცხოველებულად მიმდინარეობს. აშშ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლების და ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდი, რომ ვაშინგტონის მიერ შემუშავებულ რეზოლუციას უშიშროების საბჭო ხმათა უმრავლესობით დაამტკიცებდა და რუსეთი ვეტოს არ გამოიყენებდა, არ გამართლდა. ამას, თან დაერთო, თურქეთის პარლამენტის გადაწყვეტილება, რომელიც აშშ-ს ერაყთან საომრად თავისი ქვეყნის ტერიტორიის გამოყენების უფლებას არ აძლევს. ყოველივე ეს, ერაყში საომარი ოპერაციების მარტის თვეში დაწყებას ეჭვის ქვეშ აყენებს. ყველაფერი ამის პარალელურად, ბრიტანული გამოცემა "ტაიმსი" სენსაციურ ინფორმაციას ავრცელებს, რომელიც პოსტ-სადამისეულ ერაყში გაერო-ს გეგმების განხორციელებას შეეხება.*

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ ცნობილი გახდა გაერო-ში შემუშავებული კონფიდენციალური გეგმის შესახებ, რომელიც გაზეთმა "ტაიმსმა" მოიპოვა. 60-გვერდიანი საიდუმლო დოკუმენტის შექმნა, გაერო-ს გენერალური მდივნის კანადელი მოადგილის ლუის ფრეჩეტის შეკვეთით განხორციელდა. დოკუმენტზე ექვსი კაციანი სპეცჯგუფი მუშაობდა. **"დოკუმენტი ნათელს ხდის გაერო-ს გეგმებს, რომლის განხორციელებაც, დაახლოებით, სამ თვეში, ერაყის დაპყრობის შემდეგ დაიწყება და, ავღანეთის მსგავსად, ქვეყანაში თვითმმართველობის ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად,"**- ნათქვამია "ტაიმსის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ გუშინდელ სტატიაში.

გეგმა ცალსახად ეწინააღმდეგება ბრიტანეთის მიზნებს, რომლის თანახმადაც ერაყის მმართველობა მთლიანად გაერო-ს უნდა გადაეცეს. დოკუმენტში ასევე ცალსახად ნათქვამია, რომ გაერო-მ თავიდან უნდა აიცილოს პასუხისმგებლობა ერაყის ნავთობის პირდაპირ გაკონტროლებაზე. გაერო ასევე არ აპირებს ერაყელი ჩინოვნიკების შემოწმებას იმის თაობაზე, ჰქონდათ თუ არა მათ კავშირი პრეზიდენტ ჰუსეინთან და არ აპირებს არჩევნების ჩატარებას ამერიკული სამხედრო ოკუპაციის პირობებში. ამის სანაცვლოდ, შესაძლებელია ერაყში "დახმარების მისიის" შექმნა, რომლის მთავარ ფუნქციადაც ერაყში ახალი მთავრობის ფორმირების პროცესში მონაწილეობა განისაზღვრება.

**"გაერო-ში იმედოვნებენ, რომ გეგმის რეალიზაცია იმ შემთხვევაშიც გახდება შესაძლებელი, თუკი აშშ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის გარეშე დაიწყებს საომარ ოპერაციებს. გეგმის შემქმნელები გაერო-ს აძლევენ რეკომენდაციას, რომ უახლოეს მომავალში დანიშნოს კოორდინატორი, რომელიც ომის შემდგომ ერაყში გაერო-ს სპეციალური წარმომადგენელი იქნება,"**- ნათქვამია სტატიაში. ამასთანავე, უკვე ცნობილი გახდა ამ თანამდებობაზე სავარაუდო კანდიდატურაც. გაერო-ში თვლიან, რომ ამ ფუნქციას საკმაოდ კარგად გაართმევს თავს ლაჰდარ ბრაჰიმი – გაერო-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი კონფლიქტების დარეგულირების ხაზით, რომელიც მანამდე ალჟირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. წარსულში ბრაჰიმი ანალოგიურ მისიას ასრულებდა ავღანეთში და მონაწილეობას იღებდა ამ ქვეყნის მთავრობის ფორმირებაში. **"68 წლის ბრაჰიმი, ალბათ, ამ თანამდებობის მიღების სურვილით არ იწვის. თუმცა, როგორც მოსალოდნელია, თუ გაერო მას თავის სპეციალურ წარმომადგენლად დანიშნავს ერაყში, ის უარს არ იტყვის. ამ მომენტში ბაღდადში მისი ქალიშვილი – ტელეკომპანია "სი-ენ-ენ"-ის კორესპონდენტი მუშაობს,"**- წერს სტატიის ავტორი ჯეიმს ბოუნი. აქვე ნათქვამია, რომ ერაყის მომავალი მთავრობის შემადგენლობის განხილვით, იმ დროს, როცა ერაყი გაერო-ს კანონიერი წევრია, გეგმის ავტორებმა ორგანიზაციის წესდების ერთ-ერთი პუნქტი დაარღვიეს, რომელიც გაერო-ს წევრი ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევას კრძალავს.

"ტაიმსის" მიერ მოპოვებული დოკუმენტი ამტკიცებს, რომ უშიშროების საბჭოში არსებული მკვეთრი განხეთქილების მიუხედავად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ომის შემდგომ ერაყში მაინც უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს. **" დაგეგმვის ჯგუფი თვლის, რომ კონფლიქტის შემთხვევაში, ქვეყნის სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციაზე პასუხისმგებლობა კოალიციის ძალებმა უნდა აიღონ, თუმცა გაერო-ს წონადი როლის არგათვალისწინება ერაყში გარდამავალ პერიოდში (3 თვის შემდეგ) არ შეიძლება. როდესაც კოალიციური ძალების მიერ კონტროლის დამყარება ცხადი გახდება, უშიშროების საბჭო და კოალიციური ძალები მიხვდებიან, რომ გარკვეულ სფეროებში გაერო-ს მონაწილეობა სასურველია,"**- ნათქვამია კონფიდენციალურ დოკუმენტში.

აღსანიშნავია, რომ საკმაოდ განსხვავებულია დიდი ბრიტანეთის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ოფიციალური ლონდონი, რომელიც ერაყის ოკუპაციის იდეას არ ეთანხმება ამ ქვეყანაში თავისი კოლონიალური ისტორიის გამო, მოითხოვს, რომ ერაყში გაერო-ს სრულფასოვანი ადმინისტრაცია შეიქმნას, დაახლოებით ისეთი, როგორიც კოსოვოსა და აღმოსავლეთ ტიმორში მოქმედებს და ამავე ადმინისტრაციამ ერაყის ნავთობის კონტროლიც განახორციელოს. ამის საპირისპიროდ კი, გაერო აცხადებს, რომ მმართველობის ხელში აღებისათვის შესაბამისი საშუალება არ გააჩნია იმ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიაც 33-ჯერ აღემატება აღმოსავლეთ ტიმორის ფართობს.

ამის სანაცვლოდ, როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, გაერო თავის თავზე იღებს ერაყში პოლიტიკური პროცესების ორგანიზებას. **"გაერო-სათვის უფრო მისაღებ ვარიანტს დახმარების მისიის შექმნა, პოლიტიკური ხელშეწყობა, კონსესუსის ძებნა, ნაციონალური შერიგება და მმართველობის დემოკრატიული იდეების და კანონის განმტკიცება წარმოადგენს. საბოლოო მიზანი – კი ერაყში სრული თვითმმართველობის დამყარებაა, რაშიც გაერო-ს აქტიური მონაწილეობა საჭირო არ არის,"**- აცხადებენ დოკუმენტის შემქმნელი ექსპერტები.

"ტაიმსში" გაერო-ს საიდუმლო გეგმის გამოქვეყნება, რასაკვირველია, საერთაშორისო არენაზე ერაყის კრიზისის ირგვლივ არსებულ დაპირისპირებას ვერ შეცვლის. არც ის არის გამორიცხული, ამ დოკუმენტით ომის მომხრე ძალები ცდილობდნენ იმის დამტკიცებას, რომ ისინი ერაყის ოკუპაციას მუდმივად არ აპირებენ - სადამის დამხობის შემდეგ, მოკლე ხანში, ერაყის დამოუკიდებლობა კვლავ აღდგება და კიდევ უფრო განმტკიცდება. გარდა ამისა, თავად ასეთი დოკუმენტის არსებობა პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ ერაყში საომარი ოპერაციების დაწყება გარდაუვალია და ამას გაერო-ც აღიარებს.

# უნომრომანქანიანი პარლამენტარი, რომელმაც ძროხის მოწველა იცის

*გუშინ, ისევე როგორც წინა ოთხშაბათს, კლუბ „სარდაფში“ გაიმართა მორიგი შეხვედრა „აპოლიტიკური ოთხშაბათი“. გასულ კვირას კლუბმა რეზო შავიშვილს უმასპინძლა, გუშინ - „ტრადიციონალისტ“ მაია ნადირაძეს.*

ზურაბ ჭამასპიშვილი

სტუმარმა გვიამბო ბიოგრაფია დაბადებიდან დღემდე. ბავშვობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფელში ჰქონია გატარებული და, ზოგიერთი პარლამენტარი ქალისგან განსხვავებით, იცის ძროხის მოწველა და ყველის ამოყვანა.

პოლიტიკაში მოსასვლელად, როგორც თვითონ განაცხადა, განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია. ეს ნაბიჯი მის ცხოვრებაში განპირობებული იყო იმ მიზეზითა და სურვილით, რომ უნდოდა ეკეთებინა ის, რაც უყვარს და რაზეც გული შესტკივა.

სტუმარი რომანტიკული პიროვნება აღმოჩნდა. თავისუფალ დროს, ძირითადად, მარტოობაში ატარებს, თუ აუცილებელი არ არის, არ დადის „სვეტსკი ტუსოვკებზე“, ძალიან უყვარს წიგნების ჯერ თვალიერება და შემდეგ კითხვა.

„ოთხშაბათობების“ ტრადიციის მიხედვით, შეხვედრის ბოლოს მაია ნადირაძემ აირჩია ნარინჯისფერი ქაღალდი, რომელზეც დატოვა ხელის ანაბეჭდი ავტოგრაფთან ერთად. რაც შეეხება პროგნოზს, მან თქვა, რომ ერთსულოვნების გარეშე არაფერი გამოვაო, დიდი სიყვარული გამოხატა მომავალი თაობის მიმართ და საუკეთესო სურვილებით დაგვემშვიდობა.

სასიამოვნო საუბრის შემდეგ პარლამენტარს უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა: კლუბიდან გასულ მაია ნადირაძეს საკუთარ ავტომობილზე ნომრები მოხსნილი დახვდა.

მომავალ კვირას კლუბი გიორგი თარგამაძეს უმასპინძლებს.

## ინფორმაცია

### ტესტირება-ტურნირი

დემირელის სახელობის კოლეჯისა და რ. შაჰინის სახელობის მეგობრობის ლიცეუმი, საქართველოს განათლების სამინისტროს ნებით, ატარებს მე-5 ტრადიციულ რესპუბლიკურ ტესტირება-ტურნირს მე-6 კლასის მოსწავლეთათვის.

ტესტირება-ტურნირი გაიმართება 2003 წლის 8 მარტს, 10 საათზე თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, თელავში, რუსთავში, კასპში, ხაშურში, გორში, ზუგდიდში და ფოთში სკოლებისა და რაიონული ცენტრების განათლების დირექტორების დახმარებით.

ტესტები შედგენილია მე-6 კლასის სასწავლო პროგრამების მიხედვით ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში და ბოტანიკაში.

გათვალისწინებულია აგრეთვე კითხვები ლოგიკური აზროვნების უნარის გამოსავლენად.

ტესტირება-ტურნირი ჩატარდება - თბილისში: დემირელის სახ. კერძო კოლეჯი. ორთაჭალა, გრიშაშვილის ქ. 51. ტელ. 75 44 94, 75 24 58;

ბათუმში: რ. შაჰინის სახ. მეგობრობის ლიცეუმი. ხიმშიაშვილის ქ. 19. ტელ. 7 64 09

რაიონებში: განათლების განყოფილებებში ან მათ მიერ შერჩეულ სკოლებში.

### ჯანმრთელობისთვის ცუდი ამბები

ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დასაფინანსებლად წლეულს 6,4 მილიონი ლარია გამოყოფილი. სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განცხადებით, ჯანდაცვის პროგრამების წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად, ბიუჯეტით 600 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული, ფაქტობრივად კი 540,5 ათასი ლარი გამოიყო. წლეულს, იანვარში, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად, გეგმით, 6,2 მილიონი ლარის გამოყოფა იყო გათვალისწინებული, მაგრამ მხოლოდ 2,05 მილიონი ლარით, ანუ, დაახლოებით, 30 პროცენტით დაფინანსდა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის პროგრამისთვის, 342 ათასი ლარის ნაცვლად, 189 ათასი ლარია გამოყოფილი. ჯანდაცვის პროგრამების თებერვლის დაფინანსება ჯერაც არ დაწყებულა. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, რომელსაც სამედიცინო სტატისტიკის ცენტრი შეუერთდა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან კერძო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდა. **ინტერ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის გარემოს დაცვის კომიტეტი უახლოეს მომავალში დედაქალაქის ხუთივე რაიონში, საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარე ტერიტორიებზე მიკროსკვერებს მოაწყობს. დაირგვება ახალი ნერგები და ყვავილები, სკვერებში დამონტაჟდება საბავშვო მოედნები. **ინტერ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელის განცხადებით, მალე თბილისს ევროსტანდარტების დონეზე მოწყობილი რამდენიმე მიწისქვეშა გადასასვლელი ექნება. გადასასვლელების შესარჩევად პროექტები მუშავდება, სამუშაოები კი ქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ დაიწყება. **ინტერ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, ახალ, 500-მილიმეტრიან წყალსადენს აშენებენ. „წყალკანალრემმშენის“ დირექტორის განცხადებით, ამ რაიონში არსებული ძველი, 300-მილიმეტრიანი მაგისტრალური წყალსადენი მწყობრიდან ხშირად გამოდიოდა და სასმელ წყალზე უბნის მოსახლეობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დედაქალაქის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ლიფტების შესაკეთებლად ტენდერი გამოცხადდება. დედაქალაქში სულ 7.000-მდე ლიფტია. მათგან მხოლოდ 4.000-მდე ფუნქციონირებს, დანარჩენი კი გაძარცულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თებერვლის პენსიების დაფინანსება, ჯერჯერობით, მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დაიწყო. ქვეყნის მასშტაბით, დასრულებულია 2002 წლის ნოემბრის პენსიების დაფინანსება. 8,6 მილიონი ლარია გამოყოფილი დეკემბრის პენსიებითვის, თუმცა, დავალიანების დასაფარავად 9 მილიონ ლარზე მეტია საჭირო. იანვრის პენსიები, 11 მილიონი ლარის ნაცვლად, 7,4 მილიონი ლარით დაფინანსდა. **მედია-ნიუსი**


კონკურსი
კოლხეთის ეროვნული პარკის ლოგოს შესაქმნელად

6 მარტი,2003

კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია (საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი), მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტის" ფარგლებში აცხადებს კონკურსს ეროვნული პარკის ლოგოს შესაქმნელად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროფესიონალ დიზაინერებს, რომელთაც გააჩნიათ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება.

ლოგოს წარმოდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის 31 მარტი,18:00.

დ ახურული კონვერტებით გამართული კონკურსის გამარჯვებულს გამოავლენს დამოუკიდებელი კომისია.

გამარჯვებულ დიზაინერთან ტექნიკური და ფინანსური წინადადების საფუძველზე გაფორმდება კონტრაქტი ლოგოტიპის სრული პაკეტის დასამუშავებლად.

ტექნიკური დავალების, საკონკურსო მასალებისა და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად (სამუშაო დღეებში, 10-დან 13 საათამდე) მიმართეთ "საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვის პროექტს" ან ეროვნული პარკის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართებზე (კონკურსის მასალები მოიძიეთ ინტერნეტშიც):

ელ. ფოსტა: PHASIS@ICZM.org.ge
ინტერნეტი: www.ICZM.org.ge

ელ. ფოსტა: KNP@KNP.ge
ინტერნეტი: www.KNP.ge


# ჩემი „ბაბილინა“ ავტობუსი და გაყინული ოთახები მენატრება...

ჭიმშერ ბედიანაშვილი
*გერმანიის მწერალთა კავშირის წევრი გერმანიიდან*



*კვირას, 2 მარტს, გერმანიის ქალაქ მინდენში, ქართული საკვირაო სკოლა გაიხსნა. გახსნაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ქართულ-გერმანულ კულტურულ ურთიერთობათა ხელშემწყობი საზოგადოება „ოქროს საწმისის“ თავმჯდომარემ, რეჟისორმა მერაბ ჯაფარიძემ, მაქს პლანკის მსოფლიო და საერთაშორისო სისხლის სამართლის პრობლემების შემსწავლელი ინსტიტუტის პროექტ-თანამშრომელმა, ქალაქ ფრაიბურგში არსებული ქართული საზოგადოებისა და სამხრეთ გერმანიის გერმანელ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, ელიკო წიკლაური-ლამეხმა და საზოგადოება „ოქროს საწმისის“ საორგანიზაციო განყოფილების გამგემ, ფილოლოგმა, შალვა წიკლაურმა, რომელმაც საქართველოდან ჩამოტანილი, ნაკურთხი სანთელიც დაანთო, ყველასთან ერთად ილოცა, ბოლოს კი ომახიანი „მრავალჟამიერიც“ შემოსძახა.*

ქალბატონმა ელიკომ ახლად გახსნილ სკოლას საჩუქრად გადასცა ქართული მოძრავი ანბანი და კლასიკური ქართული ხალხური ზღაპრები. ყველაფერს სადღესასწაულო ელფერი დაჰკრავდა, ბავშვები მოუთმენლად ელოდნენ ნანატრი გაკვეთილის დაწყებას. როგორც იქნა, საზეიმო გახსნა დასრულდა, მშობლებმა ოთახი დატოვეს და გაკვეთილი დაიწყო.

შალვა მასწავლებელმა ბავშვებს სათითაოდ გამოჰკითხა, თუ ვინ სად და როდის შეისწავლა ქართული ენა, შემდეგ „დედაენა“ გადაშალა და მათთან ერთად შეუდგა კითხვას. როდესაც რომელიმე ბავშვი ვერ იგებდა წიგნში ამოკითხულ ამა თუ იმ სიტყვას, მას მაშინვე მეორე წამოეშველებოდა და ცდილობდა, მისი მნიშვნელობა გერმანულად განემარტა. ყველა ბავშვი, განურჩევლად ასაკისა, ცდილობდა, თავი მოეწონებინა ქართულის ენის ცოდნითა და ლექსის თქმის ოსტატობით შალვა მასწავლებლის წინაშე. კლასში, ყველაზე უმცროსი მოსწავლე ოთხის, ხოლო ყველაზე უფროსი 17 წლისაა.

„სიმართლე გითხრათ, ამ სკოლის გახსნა მარტო ჩემი იდეა არ გახლავთ. როდესაც ქართველები ერთად ვიკრიბებოდით საზოგადოება „ოქროს საწმისის“ შეხვედრებსა და თუ ოჯახებში, ხშირად ვსაუბრობდით ჩვენს პრობლემებზე. განსაკუთრებით მტკივნეულად განვიცდიდით იმას, რომ ბევრ ბავშვს, არათუ უჭირდა წერა-კითხვა, არამედ ზოგიერთმა საერთოდ არ იცოდა ქართული. სწორედ ამიტომ გაჩნდა ქართული საკვირაო სკოლის დაარსების იდეა და მე, როგორც პედაგოგმა, მიუხედავად იმისა, რომ, უკვე დიდი ხანია, სკოლასთან აღარაფერი მაკავშირებს, მაინც გადავწყვიტე, ჩემს თავზე ამეღო ამ დიდი, საშვილიშვილო მისიის შესრულება. მას შემდეგ, რაც არაერთხელ გამოვთქვი ჩემი მზადყოფნა ამ სკოლაში უანგაროდ მოღვაწეობის შესახებ, საზოგადოება „ოქროს საწმისის“ წლიურ შეკრებაზე გადაწყდა, გახსნილიყო საკვირაო სკოლა. საზოგადოებამვე იზრუნა საკლასო ოთახის გამოყოფაზე. გამოგიტყდებით, აღფრთოვანებული ვარ ამ ბავშვებთან მუშაობის პირველი დღით. ზოგი კარგად კითხულობს, მაგრამ აზრის გამოტანა უჭირს, რადგან სიტყვების მნიშვნელობას ვერ იგებს, მაგრამ ეს მათი კი არა, პირველ ყოვლისა, ჩვენი, მშობლების ბრალია, რომ დროზე ვერ ვიზრუნეთ მსგავსი სკოლის დაარსებაზე. თუმცა, ამ ბავშვების მონდომების შემყურე, დარწმუნებული ვარ, ეს პრობლემა მალე მოგვარდება,“ - გვითხრა გაკვეთილის დამთავრების შემდეგ აღელვებულმა 56 წლის შალვა წიკლაურმა. იგი გატაცებით საუბრობდა სკოლაზე, ბავშვებზე, სამომავლო გეგმებზე და ერთხელაც კი არ დაუწუწუნია იმაზე, რომ არც ისე დიდი ხნის წინ გადატანილი მძიმე ტრავმის შემდეგ თავს ჯერ კიდევ შეუძლოდ გრძნობდა და გაკვეთილების ჩასატარებლად, სკოლაში ჩამოსასვლელად, 80 კილომეტრის გავლა უწევდა.

„ჩემს წმიდათაწმიდა მოვალეობად მიმაჩნია, ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ ამ ბავშვებს არ გაუნელდეთ სიყვარული ყოველივე ქართულის მიმართ და, როცა საქართველოში შეწყდება ადამიანების დისკრიმინაცია, სამართლიანობა აღდგება და სხვადასხვა მიზეზით განდევნილ ადამიანებს სამშობლოში დაბრუნების რეალური შესაძლებლობა გაუჩნდებათ, ეს ბავშვებიც ღირსეულ ქართველებად დაუბრუნდნენ მამულს“, - გააგრძელა წამიერი დუმილის შემდეგ ბატონმა შალვამ.

„სწორედ ამ მიზეზით ჩამოვიყვანე ჩემი ექვსი წლის შვილიშვილი, ეკატერინე, ასი კილომეტრის სიშორიდან, - საუბარში ჩაერთო ქალბატონი ნანული წერეთელი, - მე ძალიან მაშფოთებს ის ფაქტი, რომ ბავშვი, რაც უფრო კარგად დაეუფლა გერმანულს, მით უფრო დაკარგა ქართული ენისადმი ინტერესი. ამის უმთავრეს მიზეზად ის მიმაჩნია, რომ, ძირითადად, გერმანელ ბავშვებთან უწევს ურთიერთობა. იმედი მაქვს, ამ სკოლაში ის ჭეშმარიტად ქართული სულისკვეთებით გაიზრდება და ჩვენს დიდ და უძველეს კულტურას ეზიარება. ეკატერინემ უკვე იცის ქართული ანბანი და ათზე მეტი ლექსი. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ დიდებული იდეის განხორციელებაში“.

იქვე შევნიშნე 14 წლის ნათია ბ. და გავესაუბრე.

„ძალიან მიხარია, რომ ისევ ქართულ სკოლაში დავდივარ. თავდაპირველად, საქართველოში, რუსთავში წავედი სკოლაში. უკვე შვიდი წელია, რაც გერმანიაში ვცხოვრობ, მაგრამ ჯერ კიდევ კარგად მახსოვს ყველაფერი: ჩვენი სკოლის „ბაბილინა“ ავტობუსი, რომელიც გზაში სულ ფუჭდებოდა, ჩემი ვახო, მაია და ნინო მასწავლებლები, ბავშვები, გაყინული საკლასო ოთახები. ხანდახან იმდენი შეშაც არ გვქონდა, რომ ოთახი კარგად გაგვეთბო. აქ, გერმანიაშიც, გიმნაზიაში დავდივარ. ძალიან კარგი საკლასო ოთახები გვაქვს, მაგრამ მე მაინც ის, ცივი ოთახები მენატრება“, - მითხრა და თვალები ოცნებით გაუბრწყინდა.

სულ ბოლოს ქალბატონ ელიკო წიკლაურს ვთხოვე, შთაბეჭდილებები გაეზიარებინა.

„დღევანდელი დღე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გერმანიაში ჩემი ცხოვრების პერიოდში, - თქვა მან, - ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ სკოლის გახსნას, რადგან საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაშია, რაც გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებს ქართულ ენასა და კულტურას. დღევანდელი დღე მაგალითი უნდა უნდა იყოს ყველასთვის, რათა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სადაც თუნდაც ორი-სამი ქართველი ბავშვი მაინც ცხოვრობს, მოეწყოს ქართული ენის სწავლების კერები.

მთელი გაკვეთილის განმავლობაში საკლასო ოთახში დავრჩი და ბავშვების რეაქციას ვაკვირდებოდი. არ დავმალავ, ნამდვილად კმაყოფილი და უსაზღვროდ ბედნიერი ვბრუნდები სახლში, რადგან აშკარად ვხედავ, რომ ქართული ენის სწავლება მარტო მშობლების ინიციატივა და მონდომება კი არ არის, ბავშვებსაც აქვთ ამის დიდი სულიერი მოთხოვნილება. ეს კი კარგი პერსპექტივის ნიშანია“.

# „გირჩას“ ერჩიან

ნანა ქადაგიშვილი

*საკრებულოს თავმჯდომარის კატეგორიული განცხადებების შემდეგ, - ამიერიდან თბილისის არც ერთ ბაღსა თუ სკვერს არავის დავაჩაგვრინებო, - ნიკოლაძის ქუჩის მობინადრეებს გული მოეცათ და მათ მეზობლად კაფე “გირჩაში” მიმდინარე მშენებლობის შეჩერება განიზრახეს.*

რამდენიმე წლის წინათ ვერაზე, მელიქიშვილისა და ნიკოლაძის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სკვერის უკან საცხოვრებელი სახლის დანგრევის შემდეგ, ეს ტერიტორია გაიყიდა და პატარა ფარდული აშენდა. მაშინ ფარდულის მეპატრონეებმა მეზობელი კორპუსის მობინადრეებს ხელწერილიც დაადებინეს, რომ მშენებლობას არ ეწინააღმდეგებოდნენ. შემდეგ ამ ტერიტორიის მფლობელმა ფარდულის ნაცვლად კაფე მოაწყო და სკვერში ქოლგები ჩადგა. სხვათა შორის, გასულ ზაფხულს ეს ღია კაფე კლიენტებს, უფრო კი ახალგაზრდებს, განსაკუთრებით იზიდავდა. მეპატრონემ გადაწყვიტა, კაფე ზამთარშიც სარფიანი გაეხადა და 2002 წლის დეკემბერში დაიწყო რეკონსტრუქცია, რასაც სკვერი შეეწირა.



*„გირჩა“ დღეს*

“გირჩას” მეზობლად მდებარე კორპუსის მობინადრენი ამოშენებულმა კედლებმა შეაშფოთა. “სკვერს ვინლა ჩივის, საძირკველს ეტყობა, რომ მრავალსართულიან შენობას აგებენ. ის ჩვენს კორპუსს დაჩრდილავს და სუნთქვის საშულება აღარ გვექნება. სააკაშვილმა რომ თქვა, სკვერებსა და ბაღებში მშენებლობის უფლებას არავის მივცემო, გული მოგვეცა, ჯერ მერიას მივმართეთ, თვითონ ვანო ზოდელავასველაპარაკეთ, მერე საკრებულოსაც დავუკავშირდით, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. პოლიტიკოსებმა მხოლოდ ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი იციან, საქმე საქმეზე რომ მიდგება, დაპირებები ავიწყდებათ”, – ჩივიან ქალაქის ხელმძღვანელობის უყურადღებობით აღშფოთებული ვერელები.

როგორც არქიტექტურის დეპარტამენტის დღევანდელი ხელმძღვანელი ირაკლი როსტომაშვილი აცხადებს, მოსახლეობას შეშფოთების მიზეზი არა აქვს. “გირჩას” რეკონსტრუქციის ნებართვა დეპარტამენტის წინა ხელმძღვანელობამ გასცა, მაგრამ ამ საქმეს მეც გადავხედე და ყველა საბუთი წესრიგშია. ტერიტორია პრივატიზებულია, პროექტი - ნორმალური და დეპარტამენტთან შეთანხმებული. მშენებლობა მხოლოდ იმ ტერიტორიაზე მიმდინარეობს, რაც ადრე ღია კაფეს ეკავა. კაფეს ზამთარში გადახურავენ, ზაფხულში კი ისევ გახსნიან. მოსახლეობას ტყუილად ეშინია, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, აქ ერთ სართულზე მეტი არ აშენდება”, - გვარწმუნებს ირაკლი როსტომაშვილი. მართალია, “გირჩას” რეკონსტრუქციის პროექტი არქიტექტურის დეპარტამენტის ძველი ხელმძღვანელობის დროს არის შეთანხმებული, მაგრამ საკუთარ დაპირებაზე უკვე როსტომაშვილი აგებს პასუხს. მას პასუხისმგებლობა არ აშინებს. თუმცა, დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელს ერთი ფაქტისთვის არ მიუქცევია ყურადღება. როგორც მერიის გარემოს დაცვის სამმართველო აცხადებს, “გირჩას” მეპატრონემ სკვერი ისე გადათხარა, პროექტი ამ სამსახურისთვის არ შეუთანხმებია. წესით, არქიტექტურის დეპარტამენტმა გარემოს დაცვის სამსახურის უნებართვო პროექტი არ უნდა შეითანხმოს, მაგრამ მსგავსი “ლაფსუსები” უკვე არავის აკვირვებს.

ნიკოლაძის ქუჩის მობინადრეთა საჩივარი რეკონსტრუქციის შესაჩერებლად საკმარისი არ აღმოჩნდა და თუ “გირჩას” მფლობელი წესსა და რიგს არ დაიცავს, გარემოს დაცვის სამმართველო საკუთარი უფლებების დაცვას, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც აპირებს და სასამართლოს მიმართავს.

# მსოფლიო ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ

ლელა მარგიანი

*სიღარიბის ფენომენმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ქალზე, როგორც პიროვნებაზე. საქართველოს კანონმდებლობით ფორმალურად დაცულია თანასწორობის უფლება, მაგრამ “მშვენიერი” კანონები მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, “კანონი უნდა მუშაობდეს, თორემ უფსკრულისკენ მივექანებით და შემდეგ ველარაფერი გვიშველის,”- ითქვა გუშინ აჭარის წარმომადგენლობაში.*

სახალხო დამცველის მოადგილემ თეიმურაზ ლომსაძემ აჭარის წარმომადგენლობაში შეკრებილთ ამცნო, რომ სამი დღეა, რაც ვაშინგტონიდან დაბრუნდა, სადაც ჩატარდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული მსოფლიო ფორუმი.

ლომსაძის თქმით, “მთავარი ამ ფორუმზე იყო განწყობა, რომ მსოფლიოს აწუხებს ადამიანებით ვაჭრობა, რადგან ეს პრობლემა სულ უფრო დიდ მასშტაბებს იძენს. უკანასკნელი ინფორმაციით, ტრეფიკინგიდან შემოსული არალეგალური შემოსავალი უკვე 8 მილიარდი დოლარი გახდა. შეიძლება თქმა, რომ იგი არის ყველაზე მომგებიანი არალეგალური ბიზნესი”.

მსოფლიო ფორუმზე ქვეყნები სამ პოზიციად დაიყო: მიმწოდებელ, მომხმარებელ და ტრანზიტულ ქვეყნებად. თუ რამდენიმე წლის წინ საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მხოლოდ ტრანზიტულ ქვეყნად მიაჩნდათ, ახლა საგანგაშო მდგომარეობაა და საქართველო სამივე კატეგორიაში თანაბრად მოიაზრება.

მსოფლიო ფორუმმა საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთ გზად მიიჩნია “მომხმარებლების დასჯის კანონის” მიღება მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვის - ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპისთვის, რომლებიც მიჩნეულია ძირითად მომხმარებელ ქვეყნებად.

პარლამენტარმა ჰამლეტ ჭიპაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ “ჩვენი პრეზიდენტი და მისი გარემო არ ფიქრობს ტრეფიკინგზე, ბავშვებით ვაჭრობაზე და მთავრობის არც ერთ სხდომაზე არ განხილულა ეს საკითხები”.

# სააკაშვილი ნარჩემაშვილის მოხსნით და საერთო სახალხო მღელვარებით იმუქრება

პირველი გვერდიდან

საკრებულოს თავმჯდომარის განცხადებით, კრიმინოგენული ვითარება თბილისში ბოლო ორი თვის განმავლობაში განსაკუთრებულად დამძიმდა. მიზეზი მატერიალური დაინტერესებაა. **„ხალხს, არ აღრიცხო და ფული აიღო. ნებისმიერ დანაშაულზე "ტაქსაა" დაწესებული. თუ გადაიხდი, გაგიშვებენ. განყოფილების წინ პოლიციელები მანქანაში კრიმინალებთან ერთად სხედან და ფულის შარიშური ისმის..."**

სააკაშვილი თარგამაძისდროინდელ შსს-ს იხსენებს და მიუხედავად მასთან არსებული "თბილი და ტკბილი" ურთიერთობისა, აღიარებს: **"დღეს სიტუაცია ბევრად უფრო უარესია, ვიდრე თარგამაძის პერიოდში იყო. პოლიციის გახრწნა, რა თქმა უნდა, კახა თარგამაძის მინისტრობის დროს დაიწყო და დღეისთვის პიკს მიაღწია. თუ ერთი თვის განმავლობაში თბილისში სიტუაცია არ გამოსწორდა, ხუთ აპრილს ქალაქის საკრებულო სპეციალურ სხდომას გამართავს და ცენტრალურ მთავრობას შინაგან საქმეთა მინისტრის დაუყოვნებლივ გადაყენებას მოსთხოვს. ჩვენი მოთხოვნის უგულებელყოფის შემთხვევაში მოსახლეობას საერთო-სახალხო მღელვარებისკენ მოვუწოდებთ."**

მიხეილ სააკაშვილი უარს არ ამბობს პოლიციის დაფინანსებაზე, თუმცა დღეისთვის ეს საკითხი მთავარ პრობლემად არ მიაჩნია. **"წარმოგვიდგინონ კონკრეტული გეგმა, როგორ აპირებენ მუშაობის გაძლიერებას. სხვათა შორის, მე მათ უკვე შევთავაზე დაფინანსება და ასე მითხრეს - არ ვიცით, ჯერ არ მოგვიფიქრებია, რაში გვჭირდება ეს ფულიო. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ წარმოდგენა არ აქვთ, როგორ ებრძოლონ დანაშაულს. ასე რომ, ცუდი მუშაობის მიზეზად დაუფინანსებლობის დასახელება ბლეფია."**



მიხეილ სააკაშვილი

**"არსებობს ინფორმაცია, რომ შევარდნაძე კობა ნარჩემაშვილის მოხსნას აპირებს, თქვენი განცხადება ამ მოსალოდნელ საკადრო ცვლილებას ხომ არ უკავშირდება?"** - საკრებულოს თავმჯდომარემ ჟურნალისტების მიერ გამოთქმულ ამგვარ ეჭვზე მხრები აიჩეჩა: **"მინდა გითხრათ, რომ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ. თანაც, ეჭვი მეპარება, რომ შევარდნაძე ვინმეს მოხსნას აპირებდეს. რეალობა გვიჩვენებს, რომ მინისტრებმა და სხვა თანამდებობის პირებმა პრეზიდენტის გასათავისუფლებელი კბილები უკვე დიდი ხანია მოიცვალეს."**

# ადამიანის უფლებათა დამცველებმა საპროცესო კოდექსში ახალი დარღვევა აღმოაჩინეს

*საკონსტიტუციო სასამართლოში, ადამიანის უფლებების დამცველთა გამარჯვების თანამონაწილე არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი", იმავე სასამართლოს ხვალ კიდევ ერთ სარჩელს წარუდგენს.*

სოფიკო ჩხაიძე

როგორც ცნობილია, პიროვნების დაკავებიდან მის ეჭვმიტანილად ცნობამდე დადგენილი 12-საათიან ვადაში, დაკავებული ადვოკატის მომსახურებით ვერ სარგებლობდა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამ მუხლის ანტიკონსტიტუციურად ცნობას, საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად, "კონსტიტუციის 42-ე მუხლიც" ითხოვდა და მიაღწია კიდეც სასურველს. ამჯერად არასამთავრობო ორგანიზაცია საკონსტიტუციო სასამართლოსგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 146-ე მუხლის რამდენიმე ქვეპუნქტის ანტიკონსტიტუციურად ცნობას ითხოვს, რადგან, მათი აზრით, ეს დებულებები ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრულ ვადებს.

საქმე ის გახლავთ, რომ კონსტიტუციის ამ მუხლის მე-3 ნაწილი ხაზგასმით ამბობს, რომ **"დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს".** იმავე მუხლის მე-6 ნაწილში ვკითხულობთ: **"დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს".**

მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ პირი დაკავებულად ითვლება არა იმ მომენტიდან, როცა მას თავისუფლებას შეუზღუდავენ, არამედ მას შემდეგ, რაც პოლიციის განყოფილებაში მისი დაკავების ოქმი შედგება. შესაბამისად, კონსტიტუციით განსაზღვრული ვადის ათვლა იწყება არა დაკავების მომენტიდან, არამედ დაკავებულის პოლიციის განყოფილებაში მიყვანიდან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამ თვალსაზრისით მეტად ბუნდოვან, მეტიც - ურთიერთგამომრიცხავ დებულებებს შეიცავს. მართალია, 148-ე მუხლში წერია, რომ **"დაკავების მომენტიდან აღრიცხული დრო ითვლება ბრალდებულის პატიმრობის ვადაში"**, ამ დროს კი 162-ე მუხლში ვკითხულობთ: **"ბრალდებულის პატიმრობის ვადა გამოითვლება ეჭვმიტანილის სახით პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის ორგანოში მისი მიყვანის მომენტიდან..."**

აგრეთვე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-7 ნაწილში ვკითხულობთ: **"დაკავების ვადა ბრალდების წაყენებამდე არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს დაკავებულის მოკვლევის ორგანოში მიყვანის მომენტიდან. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან აღკვეთის ღონისძიების სხვა სახის გამოყენების შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს".**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამ მუხლებს "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ მიიჩნევენ. მათ სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში ერთ-ერთი იმ ბრალდებულის სახელით შეაქვთ, რომელიც დაკავებიდან ნახევარი საათის შემდეგ მიიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და, შესაბამისად, კონსტიტუციით განსაზღვრული ვადა ნახევარი საათით დაირღვა.

**"ნახევარი საათი თითქოს არაფერია, მაგრამ მაინც დარღვევაა,** - ამბობს ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი, - **თუმცა, დარღვევები გაცილებით უფრო დიდია ხოლმე; ურიცხვი ბრალდებულის დარწმუნება გვიწევს. საქმე ის გახლავთ, რომ ძალზე ხშირია შემთხვევა, როცა დაკავებულს რამდენიმე საათის განმავლობაში არ მიჰყავთ პოლიციის განყოფილებაში. კანონით მათ ვერ მოვკითხავთ, სამაგიეროდ, მე ვფიქრობ, გარდა იმისა, რომ კონსტიტუციური ვადები ირღვევა, დაკავებულზე ზეწოლაც ხორციელდება. დარწმუნებული ვარ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს მიიღებს და დააკმაყოფილებს კიდეც, რადგან კონსტიტუციასთან შეუსაბამობა აქ აშკარაა".**

# ქართველი სამართალდამცავები ცხინვალში დაკავებულთა ეტაპირებას აყოვნებენ

ვასილ გულეური
გორიდან

უკვე მესამე თვეა, ოს სამართალდამცავებს, მანქანის გატაცების ბრალდებით, დაკავებული ჰყავთ სამი ახალგაზრდა, რომლებიც ცხინვალის იზოლატორში იმყოფებიან. ოსური მხარის თანხმობის მიუხედავად, დაკავებულთა გადმოყვანა ქართულმა მხარემ დღემდე ვერ მოახერხა.

ერთ-ერთი დაკავებულის მშობელი აცხადებს, რომ ეჭვმიტანილები მძიმე პირობებში იმყოფებიან, საკვების გაგზავნა ოჯახის წევრებს უხდებათ, რასაც ხშირად ვერ ახერხებენ.

როგორც ერთ-ერთი დაკავებულის ოჯახის ადვოკატმა მამუკა ნოზაძემ „24 საათთან" საუბარში განაცხადა, მოლაპარაკებას აწარმოებდა სამართალდამცავებთან, მაგრამ ვერ გადაწყდა დაკავებულთა ეტაპირების საკითხი. **„იმის გამო, რომ დაკავებული პიროვნებები იმყოფებიან გაუსაძლის პირობებში და მათი უფლებები არ არის დაცული, მივმართეთ სახალხო დამცველს, საქართველოს გენერალურ პროკურორს, საოლქო და რაიონულ პროკურორებს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ცხინვალის სამართალდამცავმა ორგანოებმა უკვე გადმოაგზავნეს შესაბამისი დოკუმენტაცია იმის თაობაზე, რომ თანახმანი არიან, დაკავებულები ქართულ მხარეს გადმოსცენ. მაგრამ გორის პროკურატურა მათ გადმოყვანას განგებ აჭიანურებს."**

გორის რაიონული პროკურორი რომან გვიშიანი კი აცხადებს, რომ ამ საკითხზე, ათიოდე დღეა, მუშაობენ და საქმის განგებ გაჭიანურებას უარყოფს. როგორც მან გვითხრა, გორის საგამოძიებო განყოფილებას სოფელ ტინისხიდის მცხოვრებმა გურამ თურმანიძემ 11 თებერვალს აცნობა, რომ შარშან, 14 დეკემბერს, მოპარეს ავტომანქანა. **„აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. შემდგომში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით, ცხინვალის სამართალდამცავებს დაკავებული ჰყავთ სამი პიროვნება და საქმის გამოძიებასაც აწარმოებენ,"** – ამბობს რომან გვიშიანი. მისი ინფორმაციით, დაკავებულების ქართველი სამართალდამცავებისთვის გადმოცემის ინიციატივა ოსურ მხარეს ეკუთვნის და ასეთი პრეცედენტი პირველად მოხდა. **„ჩვენ ვაწარმოეთ მოლაპარაკება, მიღწეულია გარკვეული შეთანხმება, ქალაქის პოლიციის სამმართველოს ოფიციალური წერილობითი დავალება მიცემული აქვს და დაკავებულებს უახლოეს დღეებში ჩამოვიყვანთ. ჩვენი მხრიდან არანაირი შეფერხება არ არსებობს, ჩვენ დღესაც მზად ვართ მათ ჩამოსაყვანად."** იმ დროს, როდესაც გორის რაიონის პროკურორი მიღწეულ შეთანხმებებზე საუბრობს, შიდა ქართლის შს რეგიონული სამმართველოს უფროსი ალეკო სუხიტაშვილი ჯერ კიდევ ამ შეთანხმების მოლოდინშია. **"როცა საგამოძიებო ორგანოები შეთანხმდებიან, ცხინვალში წავა შესაბამისი საგამოძიებო სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს დაკავებულთა ჩამოყვანას გორში,"** – ამბობს იგი.

როგორც ჩანს, პროკურატურის მხრიდან მზადყოფნა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის, თორემ ძნელი საფიქრებელია, ქართველ სამართალდამცავებს მხოლოდ საწვავის უქონლობა აფერხებდეს, დაკავებულები ცხინვალიდან გორში რომ წამოიყვანონ. მათი ოჯახის წევრები ხომ მხოლოდ იმას ითხოვენ, დანაშაული ქართველმა სამართალდამცავებმა გამოიძიონ. როგორც ადვოკატი მამუკა ნოზაძე ამბობს, თუ დაკავებულები კიდევ დიდხანს დარჩებიან ცხინვალის იზოლატორში, მათ ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეექმნება.

## ინფორმაცია

### აშშ-მ "ალ ქაიდას" ფინანსისტი დააპატიმრა

აშშ-ს სპეცსამსახურებმა "ალ ქაიდას" ბულალტერი, 11 სექტემბრის ტერაქტის ფინანსური ორგანიზატორი მუსტაფა ახმედ ალ-ხავსავი დააპატიმრეს. "სი-ენ-ენ"-ის ინფორმაციით, დაკავებულს "ალ ქაიდაში" ლიდერის პოზიცია არ ეკავა, მაგრამ იგი საკმაოდ კარგად იცნობდა დაჯგუფების ტერორისტულ საქმიანობას. სწორედ ახმედ ალ-ხავსავი აწარმოებდა ფინანსურ ოპერაციებს 11 სექტემბრისთვის საჭირო თანხების შესაკრებად. ამერიკის სპეცსამსახურების ინფორმაციით, დაპატიმრებული "ალ ქაიდაში " ბულალტრის სტატუსით სარგებლობდა.

### ტალინის ვიცე-მერს ქრთამის აღებისთვის გაასამართლებენ

ტალინის ვიცე-მერი სამართალდამცველებმა ქრთამის აღების მომენტში დააპატიმრეს. ტალინის პოლიციამ, რომელსაც ინფორმაცია გააჩნდა, რომ ქალაქის სანოტარო კანტორაში სტუმრად მყოფი ვლადიმირ პანოვი კანტორიდან ჯიბეცარიელი არ გამოვიდოდა, ვიცე-მერი შენობიდან გამოსვლისთანავე დააკავა. ტალინის პოლიციის განცხადებით, ვლადიმერ პანოვი კარგა ხანია, რაც მექრთამეობაშია შემჩნეული. დაპატიმრებულ ქალაქის ხელისუფალს 5 წლამდე პატიმრობა ელის.

### აშშ შეშფოთებულია აზერბაიჯანში ნარკოტიკების ვაჭრობის გაზრდით

"აზერბაიჯანში ნარკოტიკული ნივთიერებების ირანიდან ტრანსპორტირებამ შემაშფოთებელ მასშტაბებს მიაღწია," – ნათქვამია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში, რომელიც აზერბაიჯანის ხელისუფლებას შენიშვნის სახით გაუგზავნა.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტთა განცხადებით, ნარკოტიკები ავღანეთიდან და ცენტრალური აზიიდან შედის ევროპაში, ხოლო ირანიდან - რუსეთში. ნარკოტიკების ამ მარშრუტით ტრანსპორტირებისას გამოიყენება აზერბაიჯანის ტერიტორია. აზერბაიჯანისთვის ნარკოდერეფნის სტატუსის მინიჭება "ბალკანეთის მარშრუტის" დაკეტვამ გამოიწვია.

ამერიკის ადმინისტრაციის ინფორმაციით, აზერბაიჯანის ნარკოსატრანსპორტო გზად გახდომამ ქვეყანაში ნარკოტიკების რეალიზაციისა და, შესაბამისად, მომხმარებელთა რაოდენობის კატასტროფული ზრდა გამოიწვია. ამერიკელ ექსპერტთა რეკომენდაციებით, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა დაიწყოს ფართომასშტაბიანი ბრძოლა ქვეყანაში მოქმედი ნარკომაფიის წინააღმდეგ და უნდა გადაკეტოს სატრანზიტო დერეფანიც. ამ ოპერაციის ჩასატარებლად ამერიკა აზერბაიჯანს დახმარების ხელს უწვდის და ნარკომაფიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში რამდენიმე სერიოზული პროექტის ერთობლივად განხორციელებასაც სთავაზობს.

# მინისტრს სასამართლოში უჩივიან

*გუშინ თბილისის საოლქო სასამართლო შეუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის, პოლიციის გენერლის, მავანთა მიერ "კახა თარგამაძის მოლარედ" მონათლული ვასილ დავითაიას სარჩელის განხილვას. დავითაია და რამდენიმე მისი ყოფილი ქვეშევრდომი შინაგან საქმეთა მინისტრს უჩივიან. მათი აზრით, კობა ნარჩემაშვილმა უკანონოდ დაატოვებინა თანამდებობები.*

სოფიკო ჩხაიძე

შინაგან საქმეთა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ სპეცსახსრების უკანონოდ ხარჯვაზე საუბარი ჯერ კიდევ ანტიკორუფციული საბჭოს პირველმა მდივანმა მირიან გოგიაშვილმა დაიწყო. მისი ანტიკორუფციული დებიუტი სწორედ ძალოვან სამინისტროებში სპეცსახსრების უკანონოდ ჩარიცხვასა და ხარჯვას ეხებოდა. ყველაზე დიდი თანხების - 6 640 165 ლარის უკანონო ბრუნვა კი შს საქმეთა სამინისტროს სპეცსახსრებზე იქნა შემჩნეული. მოგვიანებით, გოგიაშვილის დაწყებული საქმე მისმა შემცვლელმა კახა უგულავამ დააგვირგვინა. მან შინაგან საქმეთა მინისტრს კობა ნარჩემაშვილს, რეკომენდაციის სახით, სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის ვასილ დავითაიას თანამდებობიდან გათავისუფლება მოსთხოვა.

ამ მოთხოვნიდან გარკვეული დროის შემდეგ ვასილ დავითაიას მართლაც დაატოვებინეს თანამდებობა, ოღონდ არა ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, არამედ - სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის რეორგანიზაციის გამო. მასთან ერთად, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამ დეპარტამენტის კიდევ რამდენიმე თანამშრომელი დაემშვიდობა. დეპარტამენტში რეორგანიზაციის ჩატარება კი შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგი სტრუქტურებისთვის პოლიციური "სამხრეების" ჩამოშორებისა და სამოქალაქო რელსებზე გადაყვანის სურვილით აიხსნა. თუმცა, თავად შინაგან საქმეთა სამინისტროში ამან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრის აზრით, კობა ნარჩემაშვილს მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის რეორგანიზაციისას რეფორმატორული ჟინი კი არა, წინამორბედის – კახა თარგამაძის მარჯვენა ხელად წოდებული პოლიციის გენერლის ვასილ დავითაიას ჩამოშორების სურვილი ამოძრავებდა.

ვასილ დავითაიას ადვოკატის რამაზ ხუნწარიას თქმით, მინისტრის ბრძანებაში მატერიალურ-ტექნიკური და სამეურნეო დეპარტამენტის რეორგანიზაციის შესახებ მითითებული ნორმატიული აქტები რეორგანიზაციის საფუძველს სულაც არ წარმოადგენს. **"ამასთან, ამბობენ, რომ ეს ბრძანება პრეზიდენტის განკარგულებას ეყრდნობა,** - აცხადებს ხუნწარია, - **თუმცა, პრეზიდენტის განკარგულება მხოლოდ დეპარტამენტისთვის სახელის შეცვლას ითვალისწინებს და არა - რეორგანიზაციას. სამინისტროში ბევრ დეპარტამენტს შეეცვალა სახელი, თუმცა, რეორგანიზაცია არ განხორციელებულა. სიმართლე უნდა ითქვას და, რეალურად, არც მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის რეორგანიზაცია განხორციელებულა – მხოლოდ ვასილ დავითაია და მასთან ერთად 50 თანამშრომელი მოიშორეს. დარღვევა იყო ისიც, რომ ჩვეულებრივი შემცირება კი არ მომხდარა, არამედ მინისტრმა დეპარტამენტის 450-ვე თანამშრომელი დაითხოვა სამსახურიდან, მერე კი 400 ისევ უკან დააბრუნა. დეპარტამენტის ყველა თანამშრომლის გათავისუფლება სამსახურის ლიკვიდაციას ნიშნავს, რისი უფლებაც მინისტრს არ აქვს".**

წაყენებულ ბრალდებებს შინაგან საქმეთა სამინისტრო ასეთი არგუმენტაციით პასუხობს: მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის რეორგანიზაცია საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 17 აპრილის განკარგულების საფუძველზე განხორციელდა. თავად ამ განკარგულებას საფუძვლად დაედო ანტიკორუფციული საბჭოს რეკომენდაცია შს სამინისტროში სამოქალაქო და პოლიციური სტრუქტურების მკაფიოდ გამიჯვნისა და სამეურნეო საქმიანობის რეორგანიზაციის შესახებ. ყოველივე ზემოთჩამოთვლილზე დაყრდნობით, 2002 წლის ივნისში შს მინისტრმა გამოსცა შესაბამისი ბრძანება, რომელსაც დეპარტამენტის ყველა თანამშრომელი გაეცნო. ამასთანავე, შევიდა ცვლილებები შს სამინისტროს დებულებაში და დებულებამ იუსტიციის სამინისტროში გაიარა რეგისტრაცია. შრომით კანონმდებლობაზე დაყრდნობით, მოსალოდნელი შემცირებების შესახებ დეპარტამენტის თანამშრომლები ერთი თვით ადრე გააფრთხილეს. შემცირება კი საკმაოდ მასშტაბური გამოდგა - მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სამმართველოდ გადაკეთებას 50 თანამშრომლის გათავისუფლება მოჰყვა. თავად პოლიციის გენერალი ვასილ დავითაია, დეპარტამენტის სამოქალაქო სტრუქტურად გადაკეთებასთან ერთად, კადრების განკარგულებაში გადავიდა, რის შემდეგაც მას შესთავაზეს ერთ-ერთი განყოფილების ხელმძღვანელობა, მაგრამ უარი განაცხადა.

ამჟამად ვასილ დავითაია, შემცირებაში მოყოლილ თანამშრომლებთან ერთად, დეპარტამენტის რეორგანიზაციის უკანონოდ განხორციელების გამო, შინაგან საქმეთა მინისტრს უჩივის. გუშინ საოლქო სასამართლოში დაწყებულ პროცესში საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი ჩაერთო, თუმცა სხდომა გადაიდო და განხილვა მხოლოდ 11 აპრილს განახლდება.

## მოკლედ

**თბილისი.** „სამართალდამცველებმა კარგად ვერ გაიგეს პრეზიდენტის განცხადება, რომ საქართველოში დანაშაული ცუდად იხსნება. ბევრი მათგანი ფიქრობს, რომ დანაშაულის გახსნა შეიძლება მხოლოდ მუშტებისა და ელექტროხელსაწყოების გამოყენებით", — აცხადებს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის ხელმძღვანელი მაია ნიკოლეიშვილი. მისი თქმით, გუშინ მას ექსპერტიზისთვის მიმართა პოლიციელებისგან ნაცემმა მოქალაქემ, რომელიც ისე იყო დაშინებული, რომ კონფიდენციალურად დარჩენა მოითხოვა. „დაზარალებულის თქმით, მას პოლიციელები ფიზიკური განადგურებით დაემუქრნენ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატს ან ექსპერტს მიმართავდა", — განაცხადა მაია ნიკოლეიშვილმა. ექსპერტის თქმით, თავის პრაქტიკაში ამგვარად ნაწამები ადამიანი პირველად ნახა. ექსპერტებმა დაზარალებულის სხეულზე დაზიანებები ფოტოზე დააფიქსირეს. **მედია-ნიუსი.**

**თბილისი.** ადვოკატმა ეკა ბესელიამ გააფართოვა იმ პირთა წრე, რომელთა დასჯას შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას სთხოვდა. იგი ამჯერად შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორის უფროსის შოთა კოპაძის დასჯასაც მოითხოვს.

ეკა ბესელიამ გასულ კვირას შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას თბილისის პოლიციის უფროსის ლევან მაისურაძისა და თბილისის პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორის ხელმძღვანელის პეტრე ბიჩინაშვილის დასჯის მოთხოვნით მიმართა. ადვოკატის ინფორმაციით, მის მიმართვაზე ინსპექციამ მოკვლევა უკვე დაიწყო. **მედია-ნიუსი.**

**თბილისი.** საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტში, ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა გამოვლენის მიზნით, თანამშრომელთა ტესტირება დაიწყო. ტესტირება უკვე გაიარა დეპარტამენტის ცენტრალური აპარატის 150 სამხედრო მოსამსახურემ, მათ შორის, დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვალერი ჩხეიძემაც. ნარკოლოგთა ინფორმაციით, ტესტირებაგავლილ თანამშრომელთა შორის ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლები არ აღმოჩნდნენ. ამჟამად ნარკოლოგები პირადი შემადგენლობის შემოწმებას ატარებენ. **მედია-ნიუსი.**

**თბილისი.** შსს-ს დროებითი დაკავების იზოლატორიდან თბილისის მე-5 საპყრობილეში გადაყვანილი პატიმარი ქართლოს ნახილოვი აცხადებს, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის განყოფილებაში აწამეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ექიმის შემოწმებით დადგინდა, რომ ნახილოვს ორივე ყურის უკან ბაცი მოყავისფრო ზოლები აღენიშნება. არ არის გამორიცხული, რომ ზოლები ელექტროხელსაწყოებით წამების კვალი იყოს. 30 წლის ნახილოვი პოლიციამ მკვლელობის ბრალდებით დააკავა. **მედია-ნიუსი.**

**ქუთაისი.** ქუთაისის სისხლის სამართლის სამძებროსა და საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ადამიანის გატაცებისთვის ძებნილი, ნასამართლევი, 24 წლის კობა ქობალიანი. **მედია-ნიუსი.**

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციამ გასულ ღამეს ტეხურის ქუჩაზე მდებარე მიტოვებულ ჯიხურში 56 წლის ანატოლი ბოკერიას გვამი აღმოაჩინა.

პოლიციის მთავარ სამმართველოში განაცხადეს, რომ სამართალდამცველები ბოკერიას მკვლელობის ფაქტს კატეგორიულად გამორიცხავენ, რადგან მას დათვალიერებისას ძალადობის კვალი არ აღენიშნება. **ინტერ-პრესი.**

# ადამიანის გამტაცებელთა ჯგუფი გაასამართლეს

რუსეთის უზენაესმა სასამართლომ მოსკოვის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. საუბარია ადი შარონის რეზონანსულ საქმეზე. 13 წლის ადი შარონის გატაცებისთვის მოსკოვის საოლქო სასამართლომ 13 ბრალდებული გაასამართლა.

საქართველოს ყოფილი მოქალაქე იოსებ შარონი და მისი შვილი ადი გამტაცებლებმა მოსკოვში აიყვანეს მძევლად. მომდევნო დღეს გამტაცებლებმა მამა გაათავისუფლეს და შვილის გამოსასყიდად 8 მილიონი დოლარი მოთხოვეს. ბავშვის 10 თვის ტყვეობის თავზე გამტაცებლებმა ადის ერთი თითი მოაჭრეს და მამამისს გაუგზავნეს. მოგვიანებით ბავშვს კიდევ ერთი თითი მოკვეთეს. ადი შარონი ტყვეობიდან ერთი წლის შემდეგ გაათავისუფლეს.

მოსკოვის საოლქო სასამართლომ გამტაცებლებს 15-წლიანი სასჯელი არგუნა. ბრალდებულთა ადვოკატებმა განაჩენი რუსეთის უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს, რომელმაც საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეცვალა. მსჯავრდებულთა ადვოკატების განცხადებით, ვერც გამოძიებამ და ვერც სასამართლომ ვერ მოიპოვა დაპატიმრებულთა ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. "ბავშვის გატაცების შემკვეთების დაპატიმრება სამართალდამცველებმა ვერ შეძლეს," – აცხადებენ ადვოკატები.

ადი შარონის გატაცების საქმე, რუსეთში ბოლო წლებში მომხდარ საქმეთა შორის, ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმეა. თბილისელი იოსებ შარონი ჯერ ისრაელში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ მოსკოვში გადავიდა და იქ მცხოვრებ ებრაელთაგან ერთ-ერთ მდიდარ ბიზნესმენად მოიხსენიება. ადის ძებნა თვეების მანძილზე ძალზე გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. რუსმა სამართალდამცველებმა განაცხადეს, რომ ბავშვი ჩეჩნეთში ჰყავთ გატაცებულიო. ბავშვის მამამ შავი სამყაროს ყველა კრიმინალური ავტორიტეტი მოინახულა. შეხვდა რუს, აზერბაიჯანელ, ჩეჩენ "კანონიერ ქურდებს", ამ საქმეში მას დიდი დახმარება გაუწიეს ქართველმა "კანონიერმა ქურდებმა". მათ ყველა ჩეჩენი ადამიანის გამტაცებლები "შემოიარეს", მაგრამ კრიმინალური სამყაროს ლიდერთა ერთობლივმა ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო. იოსებ შარონი იძულებული გახდა, ბავშვის გატაცებიდან 10 თვის თავზე მიემართა რუსი სამართალდამცველებისთვის და ადი შარონი ისე, რომ გამტაცებლებისთვის გამოსასყიდი არ გადაუხდიათ, ტყვეობიდან გათავისუფლდა. იგი კრასნოდარიდან ჩამოიყვანეს. ბავშვის გათავისუფლების დეტალები გასაიდუმლოებულია. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ადი შარონის გატაცება რუსეთის სპეცსამსახურის მაღალჩინოსნებმა დაგეგმეს. "ბავშვის მამას, როცა მან სპეცსამსახურებს მიმართა დახმარებისთვის, ასეთი რამ უთხრეს, ამდენი ხანია გელოდებით, პირდაპირ ჩვენთან რატომ არ მოხვედიო. ბავშვის გათავისუფლება ისე მოხდა, რომ მოთხოვნილი 8 მილიონი რუსი გენერლებისთვის მამას არ გადაუხდია," – აცხადებს იოსებ შარონის ახლობელი.

ადი შარონის გატაცებისთვის ჩეჩენი ძმების - ვიტაევების დაჯგუფება გაასამართლეს. გატაცების ორგანიზატორობა რუსლან, ხიზირ და შამხან ვიტაევებს დააბრალეს.

## ყველაზე გემოვნებიანი ავტო-რეკლამა

ევროპის ტელეეკრანებზე შარშან, წლის ბოლოს გამოვიდა „ბეემვეს" პროდუქციის სარეკლამო რგოლი, რომელიც ბოლო წლების ყველაზე გემოვნებით შესრულებულ რეკლამად აღიარეს. მასში ლამაზმანი „ბეემვეს" ავტომობილის გარშემო ცურავს აუზში, რომელშიც... წყალი არ ასხია.

რეკლამა იმავე სპეციალისტებმა შექმნეს, რომლებიც ფილმ „გლადიატორზე" მუშაობდნენ. სცენა სამხრეთ აფრიკის ქალაქ კეიპტაუნში გადაიღეს. სპეციალურად მომზადებული აუზიდან წყალი გაუშვეს და იქ „ბეემვეს" მეშვიდე სერიის უახლესი მოდელი მოათავსეს.

კეიპტაუნში გადაღებების დასრულების შემდეგ ჯგუფმა იოჰანესბურგში გადაინაცვლა, სადაც წყლით სავსე აუზში მოცურავე ლამაზმანის კადრები იქნა გადაღებული, ოღონდ იქ ავტომობილი აღარ იდგა. ამის შემდეგ ჰოლივუდური ბლოკბასტერების სპეცეფექტების შექმნაზე გაწაფულმა მემონტაჟეებმა კომპიუტერის საშუალებით ცალკე გადაღებული კადრები „შეაჯვარეს" და სარეკლამო შედევრიც იშვა...

## დებიუტისთვის ემზადება „მინის" კაბრიოლეტი

ავტომობილ „მინის" ბაზარზე მიღწეული წარმატებებით "ფრთაშესხმული" „ბეემვე" ბაზარზე გამოსაშვებად ამზადებს ავტომობილის ღია ვარიანტს (კაბრიოლეტი), რომლის გაყიდვების დაწყებაც ზაფხულისთვისაა დაგეგმილი. კაბრიოლეტი ზუსტად იმავე ძრავებს მიიღებს, რომლებითაც ჩვეულებრივი „მინი" მარაგდება.

გარდა ამისა, წელსვე ბავარიელები „მინის" ჩინელ მყიდველსაც წარუდგენენ. 2003 წელს ჩინეთში ოდენ 600 ცალი „მინის" გაყიდვაა დაგეგმილი, მაგრამ როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ეს პოპულარული ავტომობილი მალე იქაც ბესტსელერი გახდება.



მინის კაბრიოლეტი

## პირველი ელექტრომობილი იაპონიის ბაზარზე

უცხოურ პრესაში გავრცელებული ცნობით, „ტოიოტა" გახდა პირველი კომპანია, რომელმაც იაპონიის ბაზარზე ელექტრომობილების გაყიდვის უფლება მიიღო.

დეკემბრის დასაწყისში კომპანიამ თავის დილერებს უკვე მიაწოდა უგზოობის მოდელ „ჰაილენდერის" ბაზაზე შექმნილი პირველი ელექტრომობილები, რომლებიც მალე ამერიკის ბაზარზეც გამოჩნდებიან.

## „ნისან 350Z"-ის „ნისმოსეული" ვარიანტი

კომპანია „ნისმო" სატუნინგო ატელიეა და იაპონური კომპანია „ნისანისა" და მისი ამერიკული შტო „ინფინიტის" ავტომობილების სრულყოფაზეა სპეციალიზებული.

ახლახან კომპანიამ „ნისანის" სპორტული კუპე 350Z-ის მისეული ვარიანტი წარმოადგინა, რომელიც ჯერჯერობით კონცეპტუალური მოდელია და ერთ ეგზემპლარად არსებობს, მაგრამ „ნისმო" აცხადებს, რომ თუ მოთხოვნა იქნება, იგი შეუდგება აღნიშნული მოდელის შეკვეთებით დამზადებას.

## 100 ათასი ევრო „ვეირონის" დასაზღვევად

ასოკირკიტა გერმანელმა ჟურნალისტებმა გადაწყვიტეს, დაეანგარიშებინათ, თუ რა დაჯდება „ბუგატი ვეირონის", მსოფლიოს უძვირესი ავტომობილის, დაზღვევა, რომელსაც ათას ცხენისძალიანი ძრავი აქვს.

დაზღვევის მინიმალური თანხა, თურმე, 35 ათას ევრომდე ეღირება, მაგრამ თუ ავტომობილის მფლობელი დაზღვევის სრული კომპლექსით ისარგებლებს, მაშინ თავისი ავტოს შენახვა მას წელიწადში ათი ათასი ევრო დაუჯდება, რაც იმას ნიშნავს, რომ შვიდნახევარ წელიწადში მას ავტომობილის ღირებულების ხელმეორედ გადახდა მოუწევს.

თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, ასეთმა პერსპექტივამ შეაჩეროს „ვეირონის" მსურველი მდიდარნი ამა ქვეყნისანი. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ წარმოების პირველ წელს გამოსაშვებ ავტომობილებზე „ფოლკსვაგენს" უკვე მიღებული აქვს შეკვეთების სრული კომპლექტი.

## „ინვიქტამ" S1-ზე თორმეტი შეკვეთა მიიღო

კომპანია „ინვიქტა" არ შემცდარა, როცა ორი წელი მოანდომა თავის სპორტულ ავტომობილ S1-ზე მუშაობას, რამეთუ მისი წარმომადგენლების განცხადებით, უკვე მიღებულია შეკვეთა იმ პირველ თორმეტ ავტომობილზე, რომლებიც წარმოების პირველ წელს დამზადდება.

როგორც ცნობილია, „ინვიქტამ" თავისი სიახლე შარშან, ბირმინგემის ავტოსალონზე წარმოადგინა და მაშინვე მიიღო შეკვეთები. ამასთან, რამდენიმე პოტენციურმა მყიდველმა ავტომობილის ტესტირების უფლება ითხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო.



ინვიქტა S1

## 6 ცილინდრი „ლოტუს ელიზისთვის"

ბრიტანული ჟურნალი „აუტო ექსპრესი" გვატყობინებს, რომ კომპანია „ლოტუსი" თავისი პოპულარული მოდელ „ელიზის" მძლავრ ვერსიას ამზადებს. ნორფოლკელები მსუბუქ როდსტერზე (ავტომობილი 800 კილოგრამს იწონის) 2.5-ლიტრიანი V6 კონფიგურაციის ძრავის დამონტაჟებას აპირებენ, რომელიც „ტოიოტა კამრისთვის" გამოიყენება.

„ვოქსოლ VX220"-ის გარეგნობით შენიღბული „ელიზი" უკვე გადის საგზაო გამოცდებს ბრიტანეთის ერთ-ერთ სატესტო პოლიგონზე. თუმცა, „ლოტუსის" ოფიციალური პირები მასზე ლაპარაკისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. ამასთან, მინიშნებით მაინც აცხადებენ, რომ სერიოზულ "კონკურენტს" უმზადებენ „პორშე ბოქსსტერსა" და TVR „ტამორას".

თუ ექვსცილინდრიანი „ლოტუს ელიზი" ბაზარზე მაინც გამოვა, მისი ფასი ბრიტანეთში 30 ათასი გირვანქა სტერლინგი იქნება.

# საავტომობილო გაზაფხული ჟენევაში

მიილია ზამთარი და, ტრადიციულად, საავტომობილო „ეპიცენტრმა" მსოფლიოს საავტომობილო ცენტრ დეტროიტიდან ევროპაში, კერძოდ კი ჟენევაში გადაინაცვლა, სადაც 4 მარტს გაიხსნა და ორი კვირის განმავლობაში იმუშავებს ჟენევის 71-ე საერთაშორისო მოტორ შოუ, რომელსაც ჟენევის „პალექსპოს" საგამოფენო პავილიონები უმასპინძლებს.

ევროპული ეკონომიკა და პოლიტიკური სიტუაცია დღეს საუკეთესო მდგომარეობაში ვერ არის, რასაც კიდევ უფრო გააუარესებს ერაყში შეჭრა, რაც სწორედ ჟენევის ავტოსალონის დღეებშია მოსალოდნელი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მსოფლიოს წამყვანი ავტოკომპანიები თავიანთი გეგმის შეცვლას აპირებენ, გეგმისა, რომელიც ევროპის ყველაზე კოსმოპოლიტურ ავტოშოუზე უამრავი სიახლის წარმოდგენას ითვალისწინებს.

რამდენადაც ტურინის ავტოსალონი სულ უფრო ლოკალურ ხასიათს ღებულობს, იტალიური კომპანიები და, მეტადრე, სადიზაინო სტუდიები სულ უფრო მეტ აქტიურობას ავლენენ ჟენევურ ფორუმზე. ამჯერადაც ასე იქნება და ორი იტალიური სტუდია - „პინინფარინა" და „ბერტონე", რომლებიც თავიანთ სიახლეებს უმეტესად სწორედ ჟენევაში უჩვენებენ ხოლმე, ამჯერადაც ყურადღების ცენტრში იქნება.

„პინინფარინა" ჟენევაში გვთავაზობს თავის ახალ პროექტს, „გამოსაკვლევ პროტოტიპად" წოდებულ სპორტულ მოდელ „ენჯოის", რომელიც, ფაქტობრივად, სხვა არაფერია, თუ არა ღიაბორბლებიანი, ორადგილიანი სარბოლი ავტომობილი. თუ რა იმალება „ენჯოის" კაპოტქვეშ და რა ტექნიკური უზრუნველყოფა აქვს ამ ერთობ უცნაურ, თუმცკი საკმაოდ საინტერესო ქმნილებას, ამის შესახებ „პინინფარინა" ჟენევამდე არაფერს ამბობდა.

ბევრი რამ არც „ბერტონეს" ნამუშევარის შესახებაა ცნობილი, თუმცა დღეს უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ მისი დიზაინი წარმოადგენს კლასიკური „გრან ტურიზმოს" ტიპის ავტომობილის თანამედროვე ხედვას. „ბერტონეს" მოდელი აღჭურვილია „ბეემვეს" წარმოების V8 ძრავით, რომლის სიმძლავრეც 400 ცხენის ძალას შეადგენს. ჯერჯერობით უცნობია, ავტომობილი ორადგილიანია თუ ოთხიანი. ამ ინფორმაციას 4 მარტს გაამხელენ, როცა „პალექსპოში" პრესის დღე გაიხსნება და „პინინფარინა", „ბერტონე" და კიდევ ერთი იტალიური დიზაინ-სტუდია - „იტალდიზაინ-ჯუჯარო" ბლიც-პრესკონფერენციებს ჩაატარებენ.

ჩვენი მკითხველისთვის ცნობილია, რომ ამერიკულმა კომპანიებმა, თითქმის, ყველა სიახლე დეტროიტში წარადგინეს, მაგრამ მათგან „ჯენერალ მოტორსს" ჟენევისთვისაც მოუმზადებია კონცეპტუალური მოდელი. ესაა კომპაქტური კუპე, რომელიც მოდელ „ასტრას" პლატფორმაზეა ბაზირებული.

რაც შეეხებათ სხვა არაევროპულ კომპანიებს, რომლებსაც აშშ-ში ნაკლები ინტერესი აქვთ და, შესაბამისად, დეტროიტში აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ, სწორედ ჟენევაში ეცდებიან თავიანთი შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას. მათ შორის იქნება იაპონური „სუბარუ", რომელიც მნახველს წარუდგენს კონცეპტუალურ კუპე B11S-ს. როგორც კომპანიის წარმომადგენლები ამბობენ, ამ მოდელში ჩანს, თუ როგორი გარეგნობა ექნებათ „სუბარუს" ახლო მომავლის ავტომობილებს.

1989 წლის კუპე SVX-ს თუ არ ჩავთვლით, რომელიც „ჯუჯაროს" შემოქმედების ნაყოფია, „სუბარუს" მოდელები არასოდეს გამოირჩეოდნენ თავიანთი დახვეწილი გარეგნობით. იაპონელები აცხადებენ, რომ ამ ნაკლის გამოსწორება სწორედ მოდელ B11S-ით დაიწყება.

ფრანგული კომპანია „პეჟო" ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი და წარმატებულია მსოფლიოში და, როგორც ამბობენ, მალე ამერიკის ბაზარზე დაბრუნებასაც აპირებს, მაგრამ წლევანდელმა დეტროიტის ავტოშოუმ მის გარეშე ჩაიარა. სამაგიეროდ, ჟენევური საავტომობილო რანდევუ პირველია ახალი წლის შემდეგ „ლომებისთვის", რომლებიც იქ რამდენიმე საინტერესო სიახლით წარდგებიან. მათ შორისაა წარმოებისთვის გამზადებული ორი მოდელი და სამი კონცეპტკარი.

ყველა ავტომობილი „პეჟოსათვის" ჩვეული, დახვეწილი გემოვნებით გამოირჩევა, მაგრამ წელს კომპანიას რაიმე განსაკუთრებული სიახლე არ ექნება. ერთი კია, ცოტა არ იყოს, გასაკვირია ფრანგული „ლომების" სტენდზე ბაგის სტილის „ჰოგარის" გამოჩენა, რომელზეც ამბობენ, ამ მანქანით „პეჟო" პარიზ-დაკარის რბოლებში დაბრუნებას და უდაბნოს დიდების კვარცხლბეკზე ასვლას გეგმავსო.

„პეჟოს" სიამაყისთვის გამოადგება კომპაქტური კაბრიოლეტი 307 CC, რომელიც ჯერ კიდევ პარიზის შარშანდელ ავტოსალონზე კონცეპტუალური მოდელის სახით იყო ნაჩვენები, ნახევარ წელიწადში კი უკვე კონვეიერისთვისაა გამზადებული. მისი გაყიდვები სამი თვის შემდეგ, კაბრიოლეტებისთვის შესაფერის დროს დაიწყება...

კიდევ ერთი მწარმოებელი, რომელიც თავის სტენდზე კონცეპტკარს გვერდში ამოუყენებს წარმოებისთვის გამზადებულ ავტომობილს, არის „ფორდის" ფრთის ქვეშ მოქმედი იაპონური კომპანია „მაზდა" (იგივე მაცუდა). საწარმოო მოდელია სუპერმინიავტომობილი „მაზდა2", რომელსაც ესპანეთის „ალმუსაფესის" ქარხანა წლიურად 40 ათასის ოდენობით დაამზადებს. კონცეპტუალურია „MX სპორტიფი", მოდელი, რომელსაც აშკარად კონვეიერისკენ უჭირავს თვალი. კომპანიაში ამბობენ, ეს ის ავტომობილია, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორი იქნება „მაზდას" C-სეგმენტის მოდელიო. ვნახოთ, მის დებიუტამდეც დათვლილი დღეებია დარჩენილი...

ამ C-სეგმენტისთვის გამზადებული სრულიად განახლებული „ავენსისი" ჩაიყვანა ჟენევაში „ტოიოტამ", რომელმაც თავისი პოპულარული მოდელის წარმოება ბრიტანეთში დაიწყო და, როგორც ამბობენ, ევროპიდან იაპონიაში იმპორტსაც უპირებსო. ასეა თუ ისე, ბრიტანული „ავენსისი", რომ იტყვიან, ერთი ფეხით დაასწრებს „მაზდა MX სპორტიფს". „ტოიოტა" იმედოვნებს, რომ წელს 130 ათას ახალ „ავენსისს" მიჰყიდის ევროპელებს, მერე კი ვნახოთ...

იმის შესახებ, რომ „პორშე" ჟენევაში თავისი ახალი სუპერავტომობილით, „კარერა GT"-თი წარსდგება, ჩვენი გაზეთი უკვე გაუწყებდათ. ამ მონსტრის კლასში სხვა სერიოზული დებიუტები მოსალოდნელი არ არის, სამაგიეროდ, ერთი საფეხურით ქვემოთ მყიდველს შესთავაზებენ „ფერარი სტრადალესა" და უკვე მონათლულ „პატარა ლამბორგინის", ანუ „გაიარდოს".

„ფერარი" ვახსენეთ და, კრიზისში მყოფი მისი პატრონი სახელად „ფიატ" ჟენევის შოუზე ხელცარიელი როდი წარდგება. საკუთრივ „ფიატის" მარკით „პალ-ექსპოში" ნაჩვენები იქნება წარმოებისთვის გამზადებული ორი სრულიად ახალი მოდელი. ერთია ჯერაც უსახელო ავტომობილი, რომელიც კონცერნის სამოდელო რიგში ყველაზე პატარა ავტომობილებს, „პუნტოსა" და „სეიჩენტოს", შეცვლის და მას პოლონური ქარხანა გამოუშვებს. მეორეა ასევე „პუნტოს" ზომის უნივერსალი. ორივე ეს ავტომობილი უაღრესად ეკონომიურია და მათს საბაზო აღჭურვაში შედის 1.3 ლიტრი მუშა მოცულობის მქონე სამცილინდრიანი ტურბოდიზელი.

ამ ორი პატარა ავტომობილის კლასში სიახლეს წარმოადგენს „ფიატის" მფლობელობაში მყოფი „ლანჩას" მოდელი Y, რომელსაც კარგა ხანია მოდერნიზაცია არ გაუვლია. ეს არის მოდელ „იგრეკის" განახლებული ვარიანტი, რომლის გაყიდვების დაწყებაც ენლსაა ნავარაუდევი. ჟენევაშივე რამდენიმე სიახლით წარდგება „ალფა რომეოც", რომელიც „ფერარისთან" ერთად „ფიატის" მეორე მომგებიანი შტოა.

ჟენევაშივე შედგება „როლს როისის" სრულიად ახალი მოდელის, „ფანტომის" ევროპული დებიუტი. ამ ავტომობილს უზარმაზარი წარმატება ჰქონდა დეტროიტის შოუზე, რის გამოც მისი წარმოება გასამმაგდა - გაზაფხულიდან კვირაში ერთის ნაცვლად, სამ ცალს დაამზადებენ.

ჟენევაშივე შედგება იტალიის ქალაქ მოდენაში ბაზირებული პატარა ფირმა „პაგანის" როდსტერ „ძონდას" დებიუტიც. „პაგანი" მსოფლიოში ცნობილი სუპერავტომობილების მწარმოებელი ფირმაა და სახელი გაითქვა კუპე „ძონდას" წარმოებით. კომპანია შეკვეთების მიხედვით ამზადებს ავტომობილებს. „პაგანის" წლიურად 40 შეკვეთის მიღებას იმედოვნებს. ამასთან, შეკვეთის მიმცემს ტესტების სრული პროგრამის ჩატარებას ჰპირდება.

„ძონდა" არის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი სუპერავტომობილი, რომელსაც შუშა-კარბონისა და ეპოქსიდური ფისების კომპოზიციური მასალისგან დამზადებული მზიდი სისტემა აქვს. ეს უკანასკნელი გრეხვაზე უმაღლესი სიხისტით გამოირჩევა და ისეა კონსტრუირებული, რომ შეჯახებისას გამოთავისუფლებული ენერგიის დიდ ნაწილს შთანთქავს, რითაც დარტყმის ძალას ამცირებს.

როდსტერს აქვს იმავე კომპოზიტებისგან დამზადებული მსუბუქი სახურავი, რომელიც ავტომობილს მხოლოდ ცუდი ამინდებისთვის ესაჭიროება (შედარებისთვის, „ლამბორგინის" როდსტერებს საერთოდ არ გააჩნია სახურავი). „ძონდას" კაპოტქვეშ (მძღოლის სავარძლის უკან) განლაგებულია კომპანია AMG-ს მიერ ფორსირებული „მერსედეს-ბენცის" წარმოების 7.3-ლიტრიანი V12 ძრავი. ზუსტად ის აგრეგატი, რომელსაც აქამდე იყენებს კუპე „ძონდა S". ეს აგრეგატი 555 ცხენის ძალას ავითარებს და ტონაზე ოდნავ მძიმე ავტომობილს შესანიშნავ დინამიკურ მახასიათებლებს ანიჭებს. გზის საფართან ეფექტურ ჩაჭიდებას უზრუნველყოფს იტალიური კომპანია „პირელის" წარმოების 255/35 (წინა) და 345/35 (უკანა) საბურავები, რომლებიც 19-დუიმიან ალუმინის თვლებზეა ჩაცმული.

ჟენევაშივე აპირებდნენ თავიანთი ნამუშევრის, რეტროსტილის მაღალი კლასის ფსევდოსპორტული ავტომობილის გატანას ქართველი დიზაინერები - გოჩა ქსოვრელი და ელგუჯა სტეფანიშვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო, მათ სამუშაოს შუა გზაში შეწყვეტა მოუწიათ, თუმცაღა იმედოვნებენ, რომ გამოჩნდება საქმიანი პარტნიორი, რომლის დახმარებითაც ეს მეტად საინტერესო და მომგებიანი საქმე ლოგიკურ გაგრძელებას მიიღებს.

ის, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რისი ხილვაც გაზაფხულის პირველ ორ კვირაში ჟენევის ავტოსალონზეა შესაძლებელი. გამორჩეულთა შესახებ კი მომდევნო ნომრებში აუცილებლად მოგითხრობთ.





პინინფარინა ენჯოის



როდსტერი პაგანი ძონდა



პეჟო ჰოგარი



კონცეპტუალური კუპე სუბარუ B11S



ქართული "კონდორი" ჯერაც ემზადება გასაფრენად

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# ამ კაბინეტში რომ არ ვიჯდე, თბილისი მტკვრის გარეშე დარჩებოდა

მაია ჭალაგანიძე

*კრიმინოგენული ვითარების გამოსწორებას მიხეილ სააკაშვილი დეპუტატობისას კახა თარგამაძესთან ბრძოლით და იუსტიციის მინისტრობისას პენიტენციალურ სისტემაში ახალი წესების დამყარებით ცდილობდა. როგორც საუბარში შევიტყვეთ, მუნიციპალური სკოლების დარად საკრებულოს თავმჯდომარეს მუნიციპალური პოლიციის შექმნაზეც უფიქრია. თუ გავიხსენებთ, რა დრო აშორებს უკანონო მშენებლობების დანგრევის მუქარასა და მის განხორციელებას - არც ეს უნდა იყოს შორს. ჯერ-ჯერობით, სააკაშვილმა ისედაც პოპულარული და მტკივნეული თემა მხოლოდ "ააგდო". შსს მინისტრი უნდა ეძებდეს ახალ სამსახურს თუ არა - მისი გადასაწყვეტია.*

**- კრიმინოგენული ვითარება ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია, მძიმეა. კახა თარგამაძის წასვლის შემდეგ, პოლიციის წინააღმდეგ ასე ხმაურიანი განცხადებები არ გაგიკეთებიათ. რატომ დადგა დღეს ამის საჭიროება? რას მოიტანს თქვენი გამაფრთხილებელი განცხადებები?**

- ჩვენ როდესაც ვაფრთხილებთ, შედეგი ყოველთვის არის. მაგალითად, რაც ქალაქის მთავარი არქიტექტორი გავაფრთხილეთ, რომ მოიხსნებოდა, მას შემდეგ ის სულ მოძრაობს - აუქმებს და ანგრევს უკანონო მშენებლობებს და ა.შ. მაგრამ, მეორეს მხრივ, ხელისუფლების 95 პროცენტი ჩვენ არ გვემორჩილება. ემორჩილება პრეზიდენტ შევარდნაძეს. ამ შემთხვევაში ჩვენი გაფრთხილება პირიქით მოქმედებს. როცა ვაფრთხილებთ, რომ მოვხსნით, ის ადამიანი ძლიერდება.

წინა კვირას ჩემი ცოლის მანქანა ორჯერ გატეხეს. ჩემი შვილის თვალწინ გაჭრეს ჩანთა დანით. ორჯერ გატეხეს დედაჩემის მანქანაც. პირველად დედას პოლიციაში გაცხადება უნდოდა და მე ვუთხარი, რომ აზრი არ აქვს. მეორეჯერ მან თავად თქვა, რომ მართლა არ აქვს აზრი. ასეა თითოეული თბილისელი. ყველა წვრილმანი ქურდი პოლიციასთან არის შეკრული. ამ ძარცვებიდან და ყაჩაღობებიდან პოლიციაში ფული შედის. კრიმინოგენულმა ვითარებამ ქალაქში მიიღო ისეთივე ხასიათი, როგორიც 1992-1993 წლებში იყო. ამას მხოლოდ ხალხის ქუჩაში მასობრივი გამოყვანით შეიძლება დავუპირისპირდეთ.

**- პრესკონფერენციამდე ხომ არ გიცდიათ შეხვედრა ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსთან?**

- ლევან მაისურაძეს შევხვდი. სხვათა შორის, ის ძალზე ზრდილობიანი და ნორმალური ადამიანია. პირდაპირ ვიტყვი - დიდი პროგრესია სოსო ალავიძის შემდეგ. სამწუხაროდ, ქალაქის პოლიციის უფროსი არ არის დამოუკიდებელი. ის მთლიანად შეზღუდულია თავისი ხელმძღვანელობის მიერ. კახა თარგამაძე ძალიან ცუდი ადამიანი იყო და პოლოციის გახრწნა სწორედ მის დროს დაიწყო, მაგრამ მაშინაც კი არ არსებობდა ის მექანიზმი, რაც დღეს - პოლიციის განყოფილებებთან ყოველ საღამოს დგას ხალხი და ბანდიტები და პოლიცია ერთმანეთში ცვლის ფულს. თუ გაივლით, თავად დარწმუნდებით.

**- თქვენთან საუბრისას ლევან მაისურაძემ ხომ არ აღნიშნა პოლიციაში შექმნილი დუხჭირი მდგომარეობის შესახებ - რომ არ აქვთ ხელფასები, ფორმები, ტრანსპორტი და ა.შ.?**

- პირიქით შევთავაზე ქალაქის პოლიციის უფროსს, რომ მზად ვარ გამოვნახო რესურსები, ოღონდ, უნდა ვიცოდე - რისთვის. ვფიქრობ, რომ პოლიციას მაინცდამაინც არ აქვს წარმოდგენა, რა სჭირდება დღეს. 700 პოლიციელი ეყოფოდა ქალაქს და რომ მომცენ მუნიციპალური პოლიციის შექმნის საშუალება, გამოვძებნიდი ფინანსებს და სათანადოდ აღვჭურვავდით მათ. მაგრამ, სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა მინისტრი ამას აღიქვამს, როგორც შეზღუდვასა და თავდასხმას მის პრიორიტეტებზე. ვშიშობ, რომ ასეთ ვითარებაში ჩვენ ქურდბაცაცებისა და ყაჩაღების ქვეყანა ვხდებით.

**- გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დათო ბერძენიშვილს არჩევნებისას აჭარაში მოკლავენ იმიტომ, რომ ეს ასლან აბაშიძეს დაბრალდეს. რას ნიშნავს ეს შეტყობინება? ვინ და რა გაახმოვანა სანდრო ბრეგაძემ?**

- დათო ბერძენიშვილის დაშინება იმით, რომ მას მოკლავენ - სასაცილოა. მას სამჯერ აუფეთქეს ბინა, დღემდე დევნიან მის ნათესავებს, მათ შორის, რამდენიმე დააპატიმრეს... ეს ადამიანი საბჭოთა დროს იყო დისიდენტი. ის უკან არ დაიხევს. ვიცი, რომ დათო ბერძენიშვილის აჭარაში კენჭისყრა ასლან აბაშიძისთვის სრული კოშმარია, მაგრამ აქ იმისთვის არ ვარ, რომ აბაშიძის ნერვებს გავუფრთხილდე, ან გავუფრთხილდები იმდენად, რამდენადაც ის - ჩემსას. ჩვენ აჭარა არ გვიჩუქებია შუასაუკუნოვანი ფეოდალური კლანისთვის.

**- როგორ გგონიათ, რას მიაღწევთ აჭარის არჩევნებში?**

- რეალურად, აჭარაში გაჩნდება მიზიდულობის ცენტრი, რომლის გარშემოც დაირაზმება აჭარის მთელი მოსახლეობა. დარწმუნებული ვარ, რომ აჭარაში არჩევნების ჩვეულებრივი გაყალბება მოხდება, მაგრამ აქ პირველად შეიქმნება წინააღმდეგობის კუნძული. სხვათა შორის, "მოქალაქეთა კავშირში" ყოფნისას, გვქონდა წინააღმდეგობის ასეთი ფრონტის გახსნის მცდელობა, როცა ზურაბ ნოღაიდელის კანდიდატურის დაყენება გვინდოდა, მაგრამ მაშინ "მოქალაქეთა კავშირმა" და, პირველ რიგში, პრეზიდენტმა დაიხია უკან. დღეს ჩემს ზემოთ პრეზიდენტი არ არის. მე უკან არ დავიხევ – ეს მარტივია. მაშინ ჩვენ რეალურად მოვიგეთ არჩევნები ქობულეთში, მაგრამ მოხდა გარკვეული გარიგება და სხვა რეგიონებისთვის ხმების დათმობა. მაშინ აჭარაში "მოქალაქეებმა" ხმები დათმეს. "ნაციონალური მოძრაობა" ამ დათმობაზე წამსვლელი არ არის. ჩვენ აჭარაში ასობით აქტივისტი გვყავს, ამ ხალხის რაოდენობა ათჯერ და უფრო მეტჯერ გაიზრდება და ნახავენ, რას ნიშნავს ნამდვილი, მშვიდობიანი, დემოკრატიული წინააღმდეგობის გაწევა.

**- თითქმის რვა თვეა, მიმდინარეობს საუბარი ოპოზიციის გაერთიანებაზე, რომელიც ისტორიული მნიშვნელობისა იქნება. რა სტადიაშია კონსულტაციები და როგორ გადაწყდება "ერთობის" საკითხი, რომელზეც თქვენ და "დემოკრატები" ვერ თანხმდებით?**

- ჯუმბერ პატიაშვილმა საქართველოში ორჯერ მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები. მეორე არის ის, რომ მის პიროვნებაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავ. სხვა საკითხია, რომ ის შეიძლება გარშემორტყმული იყოს ხალხით, რომელიც მისაღები არ იქნება ზოგადად საზოგადოებრივი აზრისთვის. პრინციპში, პატიაშვილი წარმოადგენს ოპოზიციური სპექტრის დიდ ნაწილს, რომლის იგნორირებაც ჩვენთვის მიუღებელია...

**- მიუხედავად მის გვერდით არსებული აშკარა პრორუსული ძალებისა?**

- ჩვენი ერთადერთი კრიტერიუმი პარტნიორების შერჩევისას იქნება შემდეგი: პრორუსული ელემენტი ჩვენთან ვერ იქნება და ეს ძალიან მარტივია. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ბლოკში ვერ შემოაღწიოს ვერც ერთმა ამგვარმა ელემენტმა. და დარწმუნებული ვარ, პატიაშვილიც ზუსტად ამ აზრზეა. რა თქმა უნდა, ოპოზიციის გაერთიანება ყოველი მხრიდან გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს. პატიაშვილი პრორუსულ ძალად არ მიმაჩნია. არ მინდა არც "პრორუსული" და არც "პროარაფერი" ძალა. ბლოკში ვიღაცის ნების შემსრულებელი ძალები არ უნდა იყვნენ.

**- ამ ოპოზიციურ გაერთიანებაში ბევრი გამოკვეთილი ლიდერი გროვდება - თავისი ამბიციებითა და შეხედულებებით. რა თანამიმდევრობით გადანაწილდებიან კანდიდატურები? იქნება თუ არა გადამწყვეტი, ვინ გახდება პირველი?**

- სიებში ეს გადამწყვეტი არ იქნება. გამოკითხვებით, დღესდღეობით (რეგიონებს თუ ავიღებთ) საქართველოში ყველაზე პოპულარული პარტიის ლიდერი ვარ, მაგრამ კარგად ვიცი, რომ საჭიროა ორმაგი კომპრომისი იმისათვის, რათა მოხდეს რეალური კონსოლიდაცია და მართლაც ეს იყოს ერთ ენაზე მოლაპარაკე ორგანიზმი. თუ ოპოზიცია არ გაერთიანდება, ჩვენ მივიღებთ ზუსტად იმას, რაც შევარდნაძეს უნდა - მრავალხმოვან პარლამენტს, რომელიც წინასაარჩევნოდ ისე დაშლის ერთმანეთს, რომ არჩევნებში ძალზე გაგვიჭირდება ძალთა კონსოლიდაცია. ამიტომ, ნებისმიერი ძალა, რომელიც ოპოზიციური გაერთიანების გარეთ დაიჭერს თავს, პოლიტიკურ სპექტრში ავტომატურად უნდა გამოცხადდეს "ნონგრატად" და ჩვენ ამას თანმიმდევრული მუშაობით მივაღწევთ. დღეს ხალხს არ აინტერესებს, ვინ იქნება პირველ ადგილზე. ხალხი ითხოვს გაერთიანებას და ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ.

გაერთიანება საჭიროა უპირველესად იმიტომ, რომ საქართველოს ამომრჩეველთა ხმების 25 პროცენტი აპრიორი არის კონფიცირებული - 14 პროცენტი ასლან აბაშიძის მიერ და მინიმუმ, 11 პროცენტი მამალაძის მიერ, ქვემო ქართლში ეთნიკური უმცირესობის სახით, რომლითაც ის მანიპულირებს. გარდა ამისა, შევარდნაძე ყოველთვის ნახავს იმის საშუალებას, რომ ამომრჩეველს ყულაბიდან ხმების 25 პროცენტი ამოაცალოს. მეორე მომენტია ის, რომ გაერთიანება ერთმანეთის წინააღმდეგ არ იმუშავებს. რაც უფრო აუწყობელი იქნება ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი, მით მეტი შანსია, პოლიტიკურ არენაზე გამოხტეს ვიღაც ავანტიურისტი, თქვას, რომ არის ქვეყნის მხსნელი, დახარჯოს ფული და გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და ა.შ. ეს საფრთხე არსებობს. შეიძლება ლამაზად შეფუთული ავანტიურისტი მიართვან და "შეაჭამონ" ამომრჩეველს, რითიც ისე მოიწამლება ხალხი, რომ საქართველო ველარასოდეს წამოიმართება. ეს არის ის, რისი შემოთავაზებაც შეუძლია ხელისუფლებას.

ვფიქრობ, უნდა მოხდეს ხელისუფლების გადანაწილება ოპოზიციის სხვადასხვა ლიდერებს შორის. როცა ხელისუფლების შეცვლაზე ვლაპარაკობთ, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში უნდა იყოს მინისტრთა კაბინეტი, ძლიერი პარლამენტი, პრეზიდენტი, რომელიც ქვეყნის გარანტი იქნება, უნდა იყოს თბილისის არჩეული მერი და ა.შ. აი, ასეთი ტიპის გადანაწილება უნდა მოხდეს. ყველას უნდა ჰქონდეს თავისი საქმე. დღეს ჩემი მთავარი პოლიტიკური ამბიცია არის არა ის, რომ ხმაურიანი განცხადებები ვაკეთო, არამედ მთავარია ის სათამაშო მოედნები, რომელიც გავაკეთეთ და კიდევ გავაკეთებთ (ამ მოედნებზე ხალხს პროკლამაციები დაუყარეს - საკუთარ თვალს არ დაუჯეროთ, ეს პოპულიზმიაო). ჩემთვის მთავარი ამოცანაა, შევაკეთოთ სახურავები და ლიფტები. ამას რომ გავაკეთებთ, პოლიტიკური განცხადებები მეშვიდე პლანზე გადაიწევს. კონკრეტული საქმეები უნდა ვაკეთოთ. ნათელაშვილმა ბევრი იხმაურა ტარიფზე და ერთი მისხალიც არ მოუკლია. ახლა კი მოკრძალებულად ამბობს, რომ არა მოკლება, არამედ მოკლების ტენდენციააო... ბურუსი გადავა და მირჩევნია, ხალხმა ჩემი აშენებული მოედნები ნახოს, ვიდრე უამრავი დაპირება, რომლისაც აღარ სჯერათ.

**- ბევრი საუბრობს იმაზე, რომ არჩევნებში სულ მალე იარაღი ჩაერევა. თუ გასულ არჩევნებს გავიხსენებთ, ეს საფრთხე მართლაც არის. რას დაუპირისპირებს ამას ოპოზიცია?**

- იმ დღეს, როდესაც მთავრობა იარაღის გამოყენებას დაიწყებს - და მან ეს უკვე გააკეთა სამეგრელოში, როცა ადგილობრივი შეიარაღებული ფორმირება გამოიყენა ჩვენს წინააღმდეგ- იძულებული ვიქნებით, დავიწყოთ სხვა ტიპის ბრძოლა. ეს არის მასობრივი სახალხო გამოსვლები - ალტერნატივა არ არსებობს. ასევე მოვიქცევით არჩევნების შედეგების მასობრივი გაყალბების შემთხვევაშიც. შევარდნაძეს არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ ამას ოპოზიცია ვერ შეძლებს. საქართველოში ოპოზიცია საკმაოდ ძლიერი და რეგიონების მიხედვით კარგად ორგანიზებულია. ჩვენ არ გვსურს, მაგრამ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ეს ავტომატურად მოხდება. ასეთი ტიპის გაერთიანება საზოგადოების 90 პროცენტს გადაარჩენს. ექსცესების შემთხვევაში ჩვენ გვყავს ლიდერები, რომლებიც უკან არ დაიხევენ და ხალხს სათავეში ჩაუდგებიან...

**- შეიძლება აქამდე არც მივიდეს, რადგან არჩევნების გადადების თემამაც გაიჟღერა. ამ შემთხვევაში, როგორ მოიქცევა ოპოზიცია?**

- გამოვრიცხავ ამ შესაძლებლობას. თუ ხელისუფლებამ სცადა, ეს გამოიწვევს საერთაშორისო თანამეგობრობის სივრცეში საქართველოს სრულ დელეგიტიმაციას. დღევანდელ მთავრობას კი სავალუტო ფონდის მიერ ყოველთვიურად შემოსული ფულის გარეშე ერთი დღეც არ შეუძლია არსებობა. ასე რომ, არჩევნების გადადება დასასრულის დასაწყისი იქნება.

**- ალბათ, ცნობილია იმ მემორანდუმის შინაარსი, რაც სავალუტო ფონდმა დატოვა. რა გამოსავალი შეიძლება ჰქონდეს მთავრობას?**

- ვფიქრობ, მთავრობა სავალალო მდგომარეობაშია. ბიუჯეტის დეფიციტი დღითი-დღე იზრდება. სახელმწიფომ გაჩერება დაიწყო ისე, როგორც ნელ-ნელა ჩერდება უხარისხო ბენზინით მიმავალი მანქანა. მათ ეგონათ, რომ უხარისხო ბენზინით შორს წავიდოდნენ. ვერ ივლიან, რადგან მათ არ ჰყავთ კადრები, რადგან შევარდნაძე ამ სამი წლის განმავლობაში ღიად უჭერს მხარს იმას, რომ 120 მილიონი დოლარი იკარგება... ქალაქში შევაჩერეთ მიწის 315 კონტრაქტი. მარტო ამ მიწების გაყიდვით, ქალაქს ორი მილიონი ეკარგებოდა. არ ვსაუბრობ იმაზე, თუ რა რესურსებია მოპარული სახელმწიფოს მასშტაბით. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ჩვენ დაგვიბრუნდება.

**- ნაყიდი მიწის ნაკვეთების არდაკანონება საკმაოდ რევოლუციური გადაწყვეტილება იყო. გჯერათ, რომ გადახდილი ქრთამი დაბრუნდება და მყიდველები მიწებს ამ გზით დაიკანონებენ?**

- ამ ხალხს, რომელსაც უარი ვუთხარით ხელმოწერაზე - ჩვენთან პრეტენზია არ აქვს. ისინი ამბობენ, რომ წავლენ და მოკლავენ ყოფილ მთავარ არქიტექტორს. არ მეწყინება, თუ რაიმეს იღონებენ ყოფილი მთავარი არქიტექტორის მიმართ და თავის მხრივ, არქიტექტორი წავა და შურს იძიებს იმ ხალხზე, ვისთანაც წილები მიჰქონდა...

ამბობენ, რომ ჩვენ მშენებლობებს ვანგრევთ. ეს ასე არ არის. ინფექციური საავადმყოფოს წინ იყო გაჩერება. ახლა ეს არ არსებობს. იქ "კანარგო" ბენზინგასამართ სადგურს აშენებს. ორჯერ გავაფრთხილეთ, ისინი კი თავხედურ საქმიანობას ერთადერთი მიზეზით განაგრძობდნენ - ხელისუფლება სუსტია და ვერაფერს გვიზამსო. მივედით და დავუნგრიეთ. გუშინ კვლავ გაუგრძელებიათ. დღეს მივალთ და ზომებს ისევ მივიღებთ. ამ ხალხმა მარტივი რამ ვერ გაიგო - არსებობს რაღაც კანონები: არ შეიძლება, რომ ადამიანს ცხვირწინ მიუშენო სახლი, რომ მოხუცს მანქანების სავალ ნაწილზე სიარული აიძულო...

**- რამდენად ჯდება ნგრევა კანონიერების ფარგლებში?**

- ვფიქრობ, რომ ნგრევა არის ზუსტად ის, რასაც კანონმდებლობა ჰქვია. უკანონოდ აშენებენ და ფიქრობენ, რომ ვერავინ დაუნგრევს. ქალაქში მიმდინარე მშენებლობის 80-90 პროცენტი დასანგრევია. მიმაჩნია, რომ ანგრევენ ისინი, ვინც ნებართვები გასცა. ქალაქის ნგრევაა, როდესაც იჩეხება თითქმის ყველა დიდი ტყე-პარკი, როდესაც ნადგურდება "მზიური", როდესაც სათამაშო მოედნებზე სახლები შენდება, ვარკეთილში სკოლასა და საბავშვო ბაღს შორის საროსკიპოს დგამ... ეს არის ნგრევა. ამის შეჩერებით ქალაქს ვაშენებთ. რა თქმა უნდა, გვინდა, რომ რაღაც აშენდეს იქ, სადაც ეს შეიძლება. აღა მაჰმად ხანსაც არ მოსვლია აზრად, რომ მტკვრის კალაპოტში რამე აეშენებინა, თუმცა, ალბათ მაშინ არსებობდა საამისო ტექნიკა. ჩვენთან უკვე ორი რესტორანია აშენებული მტკვარში და კიდევ 14 ასეთი რესტორნის აშენებას აპირებენ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ - ამ კაბინეტში რომ არ ვიჯდე, წლის ბოლოს თბილისი მტკვრის გარეშე დარჩებოდა. მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი ამ ხელისუფლების ხელში ტრაპიზონის რომელიღაც გარეუბნად გადაიქცა. ეს არის შევარდნაძის ერთ-ერთი სამარცხვინო გეგმა.

ჩემს თვალში სამშობლოს გამყიდველია ის, ვინც ნებართვები გასცა. დღეს ეს ხალხი კაბინეტებშია და საქართველოს გაყიდვას აგრძელებს.

**- საკრებულომ ქალაქის ბიუჯეტი არ დაამტკიცა. რა შეიძლება ამას მოჰყვეს და როდემდე გაგრძელდება ეს უთანხმოება?**

- საკრებულო ბიუჯეტს მას შემდეგ დაამტკიცებს, როცა მასში ლიფტებისა და სახურავების, სასწრაფოს სამჯერ უფასოდ გამოძახების და პენსიების სამი ლარით მომატების პროგრამა იქნება გათვალისწინებული. ქალაქის მთავრობას ამის გაკეთებას ვაიძულებთ. თუ არ გააკეთებს, ისევ ჩავუგდებთ და შემდეგ თავად დავწერთ ბიუჯეტს.

**- რა ბედი ეწევა მუნიციპალური სკოლების შექმნას?**

- სკოლები უნდა იყოს თავისუფალი. კარტოზიამ დააშინა დირექტორები იმით, რომ მასწავლებლებს მშობლები მოახვევენ თავს გადაწყვეტილებებს. იმ სამეურვეო საბჭოში, რომელიც შევქმენით, მასწავლებლები არიან უმრავლესობაში და დირექტორთან ერთად მიიღებენ ყველა გადაწყვეტილებას. ფულს განკარგავს არა მერიის გამთბარ კაბინეტში მჯდომი ჩინოვნიკი, რომელსაც სულ არ აინტერესებს, თბება თუ არა რომელიმე კლასი, არამედ პედაგოგი, რომელმაც უკეთ იცის, რა სჭირდება სკოლას. აი, ეს არის. მაგრამ, ჩვენ გვყავს განათლების მინისტრი, რომლის გონებრივი განვითარება საშუალო დონის ციხის ბადრაგის განვითარებას უტოლდება.

**- დემოკრატების ინიციატივას სახელფასო მინიმუმის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ "ნაციონალებმა" მხარი დაუჭირეს. როგორ მოიქცევით "თეზის" შემთხვევაში?**

- ვერ წარმოვიდგენ, რომ "დემოკრატებმა" მსგავსი სისულელე ჩაიდინონ და ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგან. ჩვენ ამას აქტიურად შევეწინააღმდეგებით. მალე დადგება კენჭისყრაზე ეს საკითხი და ვნახოთ, რა მოხდება.

**- მსოფლიო ომისთვის ემზადება, რომელსაც ჩვენი პრეზიდენტი აქტიურად უჭერს მხარს. რა შეიძლება ამან მოუტანოს საქართველოს?**

- 1991 წელს, როდესაც ერაყში ომი იყო, თბილისში გადატრიალება მზადდებოდა და მსოფლიოს საქართველოსთვის არ ეცალა. ყველაზე მეტად ამის მეშინია. ამ შემთხვევაში, ბევრად უფრო მაფიქრებს აქაური პრობლემები, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სპეციალობა საერთაშორისო ურთიერთობებია და ამერიკა არ არის ჩემთვის უცხო ქვეყანა. ვშიშობ, რომ ამ ომის პერიოდში საქართველოში არ დაიწყოს ისეთი არეულობა, რომელიც საბოლოოდ მოგვიღებს ბოლოს. ეს არის ჩემი მთავარი შიში. ერაყი რაკეტებს არ დაგვიშენს - ეს აბსურდია. არ მეშინია, რომ ამერიკელების აქ ყოფნა სხვა უარყოფით პრობლემებს გამოიწვევს - პირიქით, ამას მივესალმები. საშიშია ის, რომ ჩვენთვის არ ეცლება მსოფლიოს დემოკრატიულ ნაწილს.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი ქვეყნის პატრონი ჩვენს გარდა არავინ არის. საქართველოში ეს უბედურებები არ უნდა დავუშვათ.



მიხეილ სააკაშვილი

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი:

1
2
3
4
5

სახელი და გვარი
ბინის მისამართი
სამსახურის ტელეფონის ნომერი
ბინის ტელეფონის ნომერი
მობილური ტელეფონის ნომერი

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## მოსკოვური სპექტაკლი ქართული პიესების მიხედვით

ნანა ბასილაშვილი

20 და 21 მარტს მოსკოვის სამხატვრო თეატრში თანამედროვე დრამატურგების პიესების ფესტივალზე, რომელსაც "ახალი დრამა" ეწოდება, ქართველი დრამატურგის, ლაშა ბუღაძის პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერა გაიმართება. რეჟისორმა მიხაილ უგაროვმა ახალი სპექტაკლისათვის ბუღაძის ათი პატარა პიესა შეარჩია და გააერთიანა. სპექტაკლს სათაურს თავად რეჟისორი შეურჩევს და ავტორს პრემიერამდე რამოდენიმე დღით ადრე შეატყობინებს. ფესტივალზე წარმატების შემთხვევაში (რასაც მაყურებელი განსაზღვრავს), ლაშა ბუღაძის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი თეატრის რეპერტუარში შევა.

ახლახან შექმნილ „კავკასიის თეატრალურ ლაბორატორიაში", მისი დამაარსებლები, დავით საყვარელიძე და ლაშა ბუღაძე სხვადასხვა ფესტივალებს, "კითხვებს" და დრამატურგიის პროპაგანდისათვის მიძღვნილ აქციებსა და საღამოების მოწყობას გეგმავენ. ამის მსგავსი, თითქმის ანალოგიური საზოგადოება უკვე კარგა ხანია მოსკოვის სამხატვრო თეატრშიც არსებობს. სწორედ მოსკოველი თეატრალების მიწვევით ერთ-ერთ "კითხვაზე" ლაშა ბუღაძის პიესებიც წაიკითხეს. მსახიობების მიერ წაკითხული პიესები, რეჟისორებმა და კრიტიკოსებმა შეარჩიეს და ფესტივალზეც გაიტანეს.

მოსკოვის სამხატვრო თეატრში წარმოდგენილი პიესები თავის დროზე ლაშა ბუღაძემ რუსთაველის თეატრის დაკვეთით დაწერა. შესაბამისად ეს პიესები "რუსთაველში" უნდა დადგმულიყო, თუმცა, რატომღაც ეს ასე არ მოხდა. მოგვიანებით რეჟისორმა ლევან წულაძემ ამ ათი პიესიდან ოთხი გააერთიანა და 2002 წელს "თეატრალურ სარდაფში" სპექტაკლი "კაპრიჩიო" წარმოადგინა. ახლა მაია მამალაძის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი სწორედ ამ პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლს მოსკოველი მაყურებელი შეაფასებს.

მხატში გამართულ პრემიერას თავად დრამატურგიც დაესწრება. მეგობრის საქომაგოდ და ზაფხულში ამავე "კითხვაზე" სხვა ქართველი დრამატურგების პიესების წარსადგენად, მასთან ერთად დათო საყვარელიძე და ბასა ჯანიკაშვილიც გაემგზავრებიან.

## მოკლედ

ანჩისხატის მგალობელთა გუნდი აღდგომის დღესასწაულის შემდეგ კონსერვატორიაში ქართული საგალობლების საღამოს გამართვას აპირებს. ანჩისხატის ტაძრის ლოტბარის, მალხაზ ერქვანიძის თქმით, გუნდი კონსერვატორიის დიდ დარბაზში მსმენელის წინაშე ერთგვარი ანგარიშით წარსდგება და ამასთან, საგალობლების ირგვლივ დისკუსიას გამართავს. როგორც მალხაზ ერქვანიძემ განაცხადა, ამ დისკუსია-სემინარში მონაწილეობას მიიღებენ ინტელიგენცია და სამღვდელოება. საღამოს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეც დაესწრება.

მალხაზ ერქვანიძის თქმით, მათ თბილისში სამგალობლო სკოლის დაარსება სურთ, რისთვისაც თანხების მოძიებას შეეცდებიან. ანჩისხატის მგალობელთა გუნდი თბილისური კონცერტის შემდეგ საფრანგეთში, ინგლისსა და გერმანიაში გაემგზავრება, სადაც ფოლკლორულ საღამოებს და იქაურ მკვლევარებთან ერთად ქართული საგალობლების ირგვლივ სემინარებს გამართავს. სულ ახლახან ანჩისხატის მგალობელთა გუნდის სამი ახალი კომპაქტდისკი გამოვიდა. უახლოეს მომავალში გუნდი საგალობლების შესახებ წიგნის გამოცემასაც აპირებს. *მედია-ნიუსი*

კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში ევგენი მიქელაძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი კონცერტს გამართავს. ორკესტრს გოგი ჭიჭინაძე უდირიჟორებს. ორკესტრთან ერთად სოლისტები ნატო გაბუნია და ვოუტერ ფოუსენი დაუკრავენ. სიმფონიური ორკესტრი მსმენელს ბახის, კორელის, შუბერტისა და ბერლიოზის ნაწარმოებს შესთავაზებს. კონცერტი კონსერვატორიაში 8 მარტს გაიმართება. *მედია-ნიუსი*

ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიული სასწავლებლის დირექტორი, ქორეოგრაფი თამაზ ვაშაკიძე ვერდის ოპერა „რიგოლეტოს" ქორეოგრაფიულ ვერსიაზე იწყებს მუშაობას. როგორც ქორეოგრაფი ამბობს, ეს პროექტი საქართველოში პირველად განხორციელდება. მის მუსიკალურ ვერსიაზე კომპოზიტორი ნიკა მემანიშვილი იზრუნებს. საბალეტო დადგმას მხატვრულად ლაშა კალატოზიშვილი გააფორმებს, ხოლო ლიბრეტოს ლაშა ბუღაძე შექმნის.

თამაზ ვაშაკიძემ შარშან ლაშა ბუღაძესთან და რატი ამაღლობელთან ერთად სპექტაკლი "დილის საარი" დადგა, რასაც დიდი წარმატება ხვდა წილად. როგორც თამაზ ვაშაკიძემ განაცხადა, პროექტი ოპერის თეატრის დირექტორს ზურაბ ლომაძესა და სამხატვრო ხელმძღვანელს გურამ მელივას სამი თვის წინათ გააცნო, რათა ის ოპერის სამხატვრო საბჭოს განეხილა. სპექტაკლში ქორეოგრაფია, დრამატული სიტყვა და ვოკალი ერთმანეთში იქნება შერწყმული.

თამაზ ვაშაკიძე მთავარი პარტიის შესასრულებლად საერთაშორისო კონკურსების ლაურეატს, იაპონელ მოცეკვავე მარიჰიო იკატას მოწვევას აპირებს, რომელიც ბალერონ დავით ხოზაშვილთან ერთად იცეკვებს. ჯერჯერობით გაურკვეველია, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ოპერის სამხატვრო საბჭო. *მედია-ნიუსი*

მოსკოვში დაგეგმილ სააღდგომო ფესტივალში ქართული ფოლკლორული ანსამბლი „რუსთავი" მიიღებს მონაწილეობას. ფესტივალში მართლმადიდებელი ქვეყნების – რუსეთის, საქართველოს, ბულგარეთის, სერბიის და საბერძნეთის გუნდები მართლმადიდებლურ საგალობლებს შეასრულებენ. ფესტივალის ორგანიზატორია მოსკოვის მერია. ფესტივალი რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ აკურთხა. ფესტივალის პროგრამით დაგეგმილია ორმოცამდე კონცერტი რუსი და საზღვარგარეთელი მუსიკოს-შემსრულებლების მონაწილეობით. ფესტივალზე აგრეთვე გაიმართება სიმფონიური, სამრეკლო და საგუნდო კონცერტები. სიმფონიურ და კამერულ საღამოებთან ერთად საქართველოს, რუსეთის, სერბიის და საბერძნეთის საუკეთესო გუნდები მოსკოვის ცენტრალურ ეკლესიებში კონცერტების ციკლს გამართავენ. *მედია-ნიუსი*

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დასი პრემიერისათვის ემზადება. რეჟისორი ანდრო ენუქიძე თეატრში ლაშა თაბუკაშვილის პიესის "თოვლივით თეთრი თოვლის" მიხედვით სპექტაკლს დგამს.

სპექტაკლში მხოლოდ ექვსი მსახიობი: მიხეილ გოგიაშვილი, ალექსანდრე მახარობლიშვილი, ქეთევან გეგეშიძე, დავით დვალიშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, რუსუდან გაფრინდაშვილი და ზაზა ორაშვილი მონაწილეობენ. მისივე თქმით, პიესა ლაშა თაბუკაშვილის სხვა პიესებისგან განსხვავებულია. ის ცხოვრებისეული და მისტიკური ელემენტებითაა გაჯერებული და მოქმედება თანამედროვე დროში ვითარდება. როგორც ანდრო ენუქიძე ამბობს, ის ამ პიესით რამდენიმე წლის წინათ დაინტერესდა და სპექტაკლის დადგმას რუსთაველის თეატრში აპირებდა, თუმცა ეს ვერ მოხერხდა.

სპექტაკლს მხატვრულად იური გეგეშიძე გააფორმებს, მუსიკა კი გივი გაჩეჩილაძეს ეკუთვნის. ანდრო ენუქიძე თეატრის მოყვარულებს საინტერესო ნამუშევარს ჰპირდება. სპექტაკლის პრემიერა, სავარაუდოდ, აპრილში გაიმართება. *მედია-ნიუსი*

## კალენდარი

### 6 მარტი



დიდი კოლუმბიელი პროზაიკოსი და ჟურნალისტი, გაბრიელ ხოსე გარსია მარკესი 1928 წელს კოლუმბიაში, ქალაქ არაკატაკაში დაიბადა. ბავშვობაში ის თავის ბებიასთან მეგობრობდა, რომელიც ლეგენდებს და მითებს უყვებოდა, ბაბუა კი, ყოფილი პოლკოვნიკი, "დაუსრულებლად ყვებოდა სამოქალაქო ომის და თავისი ახალგაზრდობის ამბებს".

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მარკესმა კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა და იმავე, 1947 წელს, გაზეთში "მეთვალყურე", თავის პირველი მოთხრობა, "მესამე უარი" დაბეჭდა.

საზოგადოებამ ის სერიოზულ პროზაიკოსად მხოლოდ 1955 წელს "ჩამოცვენილი ფოთლების" გამოქვეყნების შემდეგ აღიარა. ის, ძირითადად, ჟურნალებისთვის წერდა ნარკვევებს, თავისუფალ დროს კი ლიტერატურულ შემოქმედებას უძღვნიდა. ასე შეიქმნა "პოლკოვნიკს არავინ სწერს" და მოთხრობების კრებული "მამა-გრანდეს დაკრძალვა".

ჭეშმარიტი აღიარება მარკესმა 1967 წელს მოიპოვა: "მარტოობის ასი წელიწადის" პირველი გამოცემა ერთ კვირაში გაიყიდა. რომანს "ლიტერატურული მიწისძვრა" უწოდეს, აღფრთოვანებული პაბლო ნერუდა წერდა, რომ "დონ კიხოტის" შემდეგ ეს ესპანურ ენაზე შექმნილი უდიდესი ნაწარმოები იყო. ამერიკელი კრიტიკოსის, უილიამ მაკფერსონის თქმით, "მარტოობის ასი წელიწადი" "ნამდვილი ლიტერატურული ჯუნგლებია, მაგიის, მეტაფორისა და მითოსის ფანტასტიკური ქმნილება".

"მარტოობის ას წელიწადს" "პატრიარქის შემოდგომა" და "გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა" მოჰყვა და გაბრიელ ხოსე გარსია მარკესს ნობელის პრემია გადაეცა "რომანებისა და მოთხრობებისთვის, რომლებშიც ფანტაზიისა და რეალობის ერთობლიობა მთელი კონტინენტის ცხოვრებასა და კონფლიქტებს ასახავს".

ამჟამად მწერალი მეხიკოში ცხოვრობს, და თავის სამშობლოს, კარტახენსაც ხშირად ესტუმრება ხოლმე. ამბობენ, ფიდელ კასტროს დიდი მეგობარიაო, მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლების კუნძულის პოლიტიკით არაა მოხიბლული.

**გაბრიელ ხოსე გარსია მარკესი** დაიბადა 1928 წლის 6 მარტს.

# სტალინიზმის მოკრძალებული ხიბლი



*კორნელი სანაძე: "ახალგაზრდა სტალინი"*




*ლეონიდ გოროხოვსკი: "ლენინი-სტალინი"*



*ლეონიდ სოკოვი: "სტალინი მონროსთან ერთად"*

ნინო ჭანიშვილი

საქართველოში სტალინის გარდაცვალების თუ დაბადების დღეებს უმეტესად მხოლოდ გორში აღნიშნავენ, რასაც მსუბუქად პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს ხოლმე. შეიკრიბებიან ნამდვილი თაყვანისმცემლები და იგონებენ გარდასულ დღეებს. ბელადისადმი ან საბჭოთა ხელოვნებისადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩვენთან არასდროს გამართულა. ამ მხრივ რუსები გაცილებით მონდომებულები არიან. მოსკოვში სტალინის გარდაცვალების დღეს ორი გამოფენა მიეძღვნა: "სტალინი - ადამიანი და სიმბოლო" და "1953 წელი. წარსულსა და მომავალს შორის", რომელიც ფედერალური არქივის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია უნიკალური მასალები: ხრუშჩოვის მოხსენების შავი პირი, ბერიას მიერ გამზადებული ლიბერალური რეფორმები და გულწრფელი მწუხარებით აღსავსე წერილები ბელადის გარდაცვალების გამო.

ახლახან მოსკოვში სტალინის შესახებ გამოვიდა ლეონიდ ზორინის რომანი "იუპიტერი". რომანის მთავარი გმირი მსახიობია, რომელსაც ტირანის როლს სთავაზობენ. თავიდან მსახიობი უარზეა, შემდეგ კი იმდენად გაითავისებს როლს, რომ სტალინად იქცევა და დღიურის წერას იწყებს.

გორში დღესაც დგას სტალინის მუზეუმი და მისი მონუმენტური ქანდაკება. თავის დროზე კი სტალინის ყველაზე დიდი ქანდაკება პრაღაში, მდინარე ვლტავის მარცხენა სანაპიროზე აღიმართა. ძეგლის აღმართვის ინიციატივით 1948 წელს, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი კლემენტ გოტვალდი გამოვიდა. ქანდაკებისთვის არ დანანებიათ წმინდა ვიტეს საკათედრო ტაძრის ფუნდამენტის აგური და არც ველიგრადის მშვენიერი სლავური ბაზილიკის ფრაგმენტები. ეს იყო ჯგუფური ქანდაკება, რომელიც ჩეხი და რუსი ხალხების მეგობრობას განასახიერებდა. მისი სიმაღლე 15,5 მეტრი იყო, სიგრძე - 22 მეტრი, ხოლო სიგანე - 12 მეტრი. ქანდაკება 15 მეტრიან პოსტამენტზე იდგა. Вождь всех народов იმ დროისათვის ევროპაში ყველაზე დიდი ქანდაკება იყო. სტალინის უკან, როგორც ეს მაშინ იყო მიღებული, გამოსახული იყო ხალხის მასა: მეომრები, მუშები, გლეხები, რომელთაც ბელადი ნათელი მომავლისკენ მიუძღოდა. ჩეხებმა ამ ქანდაკებას "ხორცის რიგი" შეარქვეს. ძეგლი საზეიმოდ 1955 წლის 1 მაისს გაიხსნა (ამ დროისათვის კლემენტ გოტვალდიც გარდაცვლილი იყო). გახსნას ხრუშჩოვი დასწრებია და უთქვამს, - Слишком большой. И слишком поздно. ქანდაკება იმდენად პომპეზური იყო, რომ მაშინვე მისი დანგრევა სასაცილო იქნებოდა. ძეგლის დემონტაჟი 1962 წელს გადაწყდა და საბედნიეროდ მსხვერპლი არ მოჰყოლია – შიშობდნენ, რომ ბელადის თავი ჩამოგორდებოდა და პრაღის ხიდს ჩაიტანდა. მონუმენტური ქანდაკების ქვეშ ასეთივე გრანდიოზული მიწისქვეშა სივრცე იყო მოწყობილი, სადაც 1990 წელს პირველი კერძო რადიოსადგური გაიხსნა, რომელსაც "რადიო სტალინი" ეწოდა. ჩეხები დიდხანს ფიქრობდნენ, რით შეევსოთ სიცარიელე - ხან ტოტალიტარიზმის მუზეუმის ხან კი კულტურულ-გასართობი ცენტრის აშენებას აპირებდნენ. ბოლოს 1991 წელს გიგანტური მეტრონომი აღმართეს. ახლა კი მეტრონომსაც ანგრევენ და პრაღის ისტორიულ ნაწილში 2004 წლისთვის ავსტრალიური კომპანია გიგანტური ზომის ოკეანარიუმს ააშენებს.

მოგეხსენებათ, როცა 60-იან წლებში "პიროვნების კულტი" უარყვეს, სტალინის ქანდაკებები კავშირის ბევრ ქალაქში დაანგრიეს. გადამალული და მივიწყებული "სტალინები" 90-იანი წლების ბოლოს სოკოებივით ჩნდებოდნენ და ზედმეტ თავსატეხს და პრობლემას უჩენდნენ მოქალაქეებს. რამდენიმე წლის წინ სტავროპოლის რაიონში იპოვეს სტალინი გენერალისიმუსის ფორმაში. ქანდაკება შუაზე იყო გადახეთქილი, მერე გაამთელეს და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადააბრძანეს. ერთი ასეთი, 40 წლის წინ გადამალული "სტალინი" ქუთაისშიც იპოვეს 3 წლის წინ. ქანდაკებას რესტავრაცია გაუკეთეს და, პანტელეიმონ გიორგაძის თაოსნობით, კვლავ აღმართეს. 2 წლის წინ, როცა მახაჩყალაშიც მოინდომეს სტალინის ქანდაკების დადგმა, იქ ძველი არ აღმოაჩნდათ და ახალი ძეგლის დამზადება ლენინგრადის ქარხანაში მოუწიათ.

რაც შეეხება სტალინის ეპოქის ფერწერას, მხატვრები ილწვოდნენ, აესახათ "რეალობის რევოლიციური განვითარება". ასეთ დროს, რა თქმა უნდა, პურის რიგებს არავინ ხატავდა - ყველა ნათელი მომავლის მოლოდინში იყო. ბუნებრივია, ბელადის პორტრეტი ყველაზე პრიორიტეტული ჟანრი იყო. დღეისათვის სტალინის ათასობით პორტრეტია შემორჩენილი, მაშინ, როცა მე-20 საუკუნის მეორე ტირანის ადოლფ ჰიტლერის პორტრეტები სულ რაღაც რამდენიმე ათეულია. ეს კი მხოლოდ იმიტომ არ მომხდარა, რომ ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ ჰიტლერის გამოსახულებებს ანადგურებდნენ. საქმე ისაა, რომ ჰიტლერი, წარსულში წარუმატებელი მხატვარი, (ვენის სამხატვრო აკადემიის გამოცდაზე ჩაიჭრა) თავს ხელოვნების დიდ მცოდნედ მიიჩნევდა და საკუთარ პორტრეტებს დიდი გულისყურით უდგებოდა. მიუნჰენში გამართულ ყოველწლიურ გერმანული ხელოვნების გამოფენაზე ფიურერი მხოლოდ ერთ პორტრეტს გამოფენდა ხოლმე და შესრულების ხარისხს დიდ ყურადღებას აქცევდა. სტალინს კი სასულიერო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და, როგორც მისი ქალიშვილი სვეტლანა ალულიევა იგონებდა, სტალინის საძინებელ ოთახში პერედვიჟნიკების იაფფასიანი, "ოგონიოკიდან" ამოჭრილი რეპროდუქციები ეკიდა.

სტალინის სიკვდილის შემდეგ ხრუშჩოვმა მისი პოლიტიკა კულტურის დარგში "სასტიკად და უაზროდ" გამოაცხადა. სამხატვრო გალერეებიდან მაშინვე ჩამოხსნეს მისი წინამორბედის დროს შექმნილი სურათები. მაგრამ ხრუშჩოვი საშინლად ცდებოდა - კავშირის დაშლისთანავე სტალინური სოც-რეალიზმი ახალ ფაზაში შევიდა. მოდური დიზაინერები მინიმალისტურ ინტერიერებს ძველმოდური პეიზაჟებით და რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწეების პორტრეტებით ამშვენებენ. შემოდგომაზე კი ფრანკფურტში საბჭოთა ხელოვნების გრანდიოზული გამოფენა გაიხსნება, რომლის კურატორი თავად ბორის გროისია – ფილოსოფოსი და დასავლეთში თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი თეორეტიკოსი, ავტორი გახმაურებული წიგნისა "სტალინის სტილი".

ასე რომ, Сталин с нами.

# „გვინდა ჩვენს მუსიკას დაბადებიდან სიკვდილამდე უსმენდნენ"

### De-Phazz საქართველოს ემიგრანტი მუსიკოსების წყალობით იცნობს

ვერა ნეფარიძე




ლევან ხერხეულიძის ფოტო

*De-Phazz-ის პრესკონფერენცია*

კონცერტი შოუსა და ორი წამყვანი მუსიკოსის გარეშე - ასეთი უნდა გამოსულიყო De-Phazz-ის პირველი გასტროლი თბილისში; კონცერტი, რომელიც ქართველმა პრომოუტერებმა მათთვის ერთგვარ, საიმიჯო პროექტად გაგვაცნეს. კონცერტის დეტალები მას-მედიისთვის სასტუმრო "მერიოტში" გამართულ პრესკონფერენციაზე გახმაურდა. ჟურნალისტებს გუშინ De-Phazz-ის ძირითადი შემადგენლობის სამი წევრი: კარლ ფრიერსონი, რალფ გუსტკე და ფეთ ემფელთოუნი შეხვდა.

ჯგუფის ასეთი შემადგენლობით გამოჩენისას მივხვდით, რომ De-Phazz თბილისში სრული სახით არ ჩამოსულა. მის ძირითად შემადგენლობას აკლდა ჯგუფის ლიდერი, პიტ ბაუმგარტნერი და ვოკალისტი, ბარბარა ლერი. როგორც მუსიკოსებმა გვითხრეს, ბაუმგარტნერმა ახალდაბადებული ვაჟიშვილის გვერდით ყოფნა ამჯობინა; რაც შეეხება De-Phazz-ის მომღერალ ქალბატონს, ბარბარამ გადაწყვიტა, არ მიიღოს მონაწილეობა ბოლო ალბომის, "დეილი ლამას" მხარდასაჭერ მუსიკალურ ტურნეში. "ვხედავ, ბოლო დროს ბარბარა როგორ ჩაიკეტა თავისთვის. იგი ყოველთვის ამჯობინებს ჩვენთან ერთად იმუშაოს სტუდიაში და არა გასტროლებზე", - მითხრა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, პერკუსიონისტმა რალფ გუსტკემ.

ვისაც გერმანული საკლუბო მუსიკის ლიდერების, De-Phazz-ის შესახებ ოდესმე რაიმე სმენია, იცის, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მუსიკოსები კონცერტის ვიზუალურ მხარეს. მათი, თითქმის, ყოველი კონცერტი დატვირთულია პერფორმანსით, რომელზეც ცალკეული პროფესიონალები ჯგუფის წევრებთან ერთად მუშაობენ ხოლმე. როგორც გერმანელმა მუსიკოსებმა წინასწარ მითხრეს, სამწუხაროდ, თბილისელ მელომანებს ამჯერად არ ექნებათ მათი შოუს ხილვის შესაძლებლობა. "ორი დღის წინათ ჩვენი ვიდეოინჟინერი ავტოკატასტროფაში მოჰყვა (საბედნიეროდ, ავტოკატასტროფას მსხვერპლი არ მოჰყოლია – რედ.). საკონცერტო პერფორმანსისთვის საჭირო მასალა მის ავტომობილში იყო, ამიტომაც ვერ შევძელით თბილისის შოუსთვის მომზადება. ისე, შოუ ჩვენი წლევანდელი ტურნეს შემადგენელი ნაწილია", - ამბობს De-Phazz-ის მომღერალი, ფეთ ემფელთოუნი.

"ერთი თხოვნა გვექნება თქვენთან – შეინარჩუნეთ თქვენი მუსიკა და ეცადეთ, გაყიდოთ კიდეც. დასავლეთში მას დიდი სიამოვნებით მიიღებენ", - ქართულ ხალხურ სიმღერაზე საუბარი პრესკონფერენციაზე ფეთ ემფელთოუნმა გააგრძელა. მანამდე ამაზე ჯგუფის დანარჩენი ორი წევრი საუბრობდა. როგორც აღმოჩნდა, "დე-ფაზელებს" უცხოეთში მცხოვრები ქართველი მუსიკოსებისგან გარკვეული წარმოდგენა უკვე შექმნოდათ ქართულ ხალხურ სიმღერაზე, ზოგადად, კულტურასა თუ სამზარეულოზე. "მირჩიეს გამესინჯა ქართული ღვინო, რაც აქ ჩამოსვლამდე გავაკეთე და ძალიან კმაყოფილიც დავრჩი. იმედი გვაქვს, რომ პრესკონფერენციის შემდეგ სამზარეულოსაც გავეცნობით", - გაგვენდო მომღერალი ფეთ ემფელთოუნი. ჩვენც დავიტოვეთ იმედი, რომ ჯგუფის არასრული შემადგენლობით ჩამოსვლის მიუხედავად, De-Phazz-ის კონცერტი მაინც შთამბეჭდავი აღმოჩნდებოდა. შთაბეჭდილებებზე უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

# „გენიალობა მარადიული მოთმინებაა"

### მიქელანჭელო ბუონაროტი - 528 წელი

*1475-1483 წლებში რომის პაპის, სიქსტუს IV-ის განკარგულებით, ხუროთმოძღვარმა ჯოვანი დე დოლჩიმ სიქსტის კაპელა ააშენა. პაპს სურდა, რომ ის ციხე-სიმაგრის მსგავსი ყოფილიყო, დახურული და მიუდგომელი. 1508 წლის მაისში კი სიქსტის კაპელას მოხატვა 33 წლის მიქელანჯელო ბუონაროტის დაავალეს. იმ დროის მრავალი მხატვარი დარწმუნებით იძახდა, არაფერი გამოუვაო...*



*მიქელანჭელო: "ადამის დაბადება"*

ამ წინადადებას არც თავად მიქელანჯელო შეხვედრია დიდი აღფრთოვანებით: კედლის მხატვრობა მისთვის ჯერ უცნობი სფერო იყო, საქმეს თაღზე გეომეტრიული ორიენტირების არარსებობაც ართულებდა... ამიტომ მხატვარი, ცხადია, ღელავდა, და ცდილობდა, პაპი დაერწმუნებინა, ამ საქმეს რაფაელი უკეთ გაუძღვებაო. მაგრამ პაპმა გადაწყვიტა, რომ სიქსტის კაპელა მიქელანჯელოს უნდა მოეხატა, მისი სიტყვა კი კანონი იყო.

როგორც კი მხატვარი საქმეს შეუდგა, საშინელი ამბავი დატრიალდა: ჯერ კიდევ სველი საღებავები ობით იფარებოდა, და ამის მიზეზი კარგა ხანს ვერავინ გაარკვია. მერე დაადგინეს, რომ რომაული კირი ცუდი ხარისხისა ყოფილა და მიქელანჯელო უვარგის ხსნარს იყენებდა. პრობლემა, როგორც იქნა, მოაგვარეს, და მხატვარი უკვე ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს.

მიქელანჯელო თავის ნამუშევარს არავის აჩვენებდა, თავის ფერწერას გულმოდგინედ მალავდა. ისიც კი ითხოვა, თავად პაპიც ნუ მეწვევაო.

მაგრამ იულიუს II ფრიად ცნობისმოყვარე ადამიანი ბრძანდებოდა. ის კაპელაში მაინც რამდენჯერმე მივიდა და მიუხედავად იმისა, რომ ხანშიშესული გახლდათ, ხარაჩოებზეც ასულა. ლეგენდის თანახმად, იულიუს II მხატვარს ძალიან აღიზიანებდა, ერთხელ ხარაჩოებიდან ფიცრებიც კი ესროლაო. მას ისედაც უმძიმეს პირობებში უწევდა მუშაობა: განათება არ ვარგოდა, დამხმარის ყოლა თავად არ ისურვა, ამიტომ საათობით ხატავდა ხარაჩოებზე გაწოლილი. და ასე დაიფარა გენიალური მხატვრობით, სამასამდე ღვთაებრივი ფიგურით უზარმაზარი, 800 კვადრატული მეტრის ფართობის თაღი.

პაპი გაკვირვებული და აღტაცებული იყო და მიუხედავად იმისა, რომ მიქელანჯელო უხსნიდა, საქმე ჯერ არ დამიმთავრებიაო, სასწრაფოდ ყველას გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები. ხარაჩოები ახალი აღებული იყო, ტაძარში ჯერაც ბული ტრიალებდა, როცა 1509 წლის 1 ნოემბერს სიქსტის კაპელა გაიხსნა.

...ამის შესახებ ათასობით წიგნი დაწერილა. ასობით მკვლევარი ეცადა, აეხსნა, რამ შეაქმნევინა "აღორძინების ხანის უნივერსალურ გენიას" ეს სახეები. ზოგიერთები თვლიან, რომ ეს ბიბლიის ახლებური, მიქელანჯელოსეული გაგებაა, სხვებმა კედლის მხატვრობა დანტეს "ღვთაებრივი კომედიის" ინტერპრეტაციად მიიჩნიეს, ნაწილი კი მას "ადამიანის ცხოველური მდგომარეობიდან ღვთაებრივი სრულქმნისაკენ მიმავალი გზის ამსახველ პოემას" უწოდებს. შეიძლება ყველა ცდება, შეიძლება ყველა მართალია, ვინ იცის. მთავარია, რომ სიქსტის კაპელა მიქელანჯელო ბუონაროტიმ მოხატა და ის თავის დიდებით დღესაც აოცებს ყველა ბედნიერს, ვინც მისი ნახვა შეძლო.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# მათეუსის ექს-მეუღლის რჩევები

ნინო პირველი

მიუნხენის "ბაიერნის" ფანებს ოლივერ კანი ლამის ტიტანად და კლუბის სიმბოლოდ მიაჩნდათ. მას "ზეკაცს" ეძახდნენ და მის სპორტულ ღირსებებში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ ვერავინ განსაზღვრა, რომ დიდი ფეხბურთელი შესაძლოა, სულაც არ ყოფილიყო დიდი ადამიანი.

როცა "ბაიერნის" თილისმად აღიარებული გოლკიპერი, მეორე ბავშვის დაბადებამდე ცოტა ხნით ადრე, მეუღლის ღალატში ამხილეს, მთელი გერმანიისთვის ნათელი გახდა, რომ მათი სათაყვანებელი ბუნდესნაკრების კაპიტანი სულაც არ ყოფილა სანიმუშო პიროვნება. კანი წუთიერ გატაცებას აჰყვა და თავის ფეხმძიმე მეუღლე 21 წლის ვერენა კ.-ში გაცვალა, რომელიც მიუნხენის დისკოთეკის მოყვარულთა წრეში იმითაა ცნობილი, რომ ჭკუას კარგავს სახელგანთქმულ ადამიანებზე და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი შოუვარსკვლავი შეიტანოს თავისი სასიყვარულო თავგასავლების სიაში. კანამდე ვერენას მხოლოდ ისინი იცნობდნენ, ვინც მიუნხენური დისკო კლუბის, "P 1"-ის ხშირი სტუმარი იყო. "ოლისთან" დაკავშირებული აფიორის შემდეგ კი ვერენა უცებ სახელგანთქმული გახდა. გერმანული ბულვარული გაზეთები მის საკმაოდ პიკანტურ პოზებში გადაღებულ სურათებს პირველ გვერდზე აქვეყნებენ, სენსაციას დახარბებული ჟურნალისტები მისგან ინტერვიუს იღებენ, გარშემო მყოფნი შურით შესცქერიან. ყველას აინტერესებს, რითი შეძლო მან ოლივერ კანის მოხიბვლა...

ვერენას ასეთი პოპულარობა ძალიან მოსწონს, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც თვითონ ამტკიცებს, ყველაფრის თქმის უფლება არ აქვს. ალბათ, მისი სახელის გამო ატეხილმა ამდენმა ხმაურმა ოლივერ კანს თავი მოაბეზრა და საყვარელს გაჩუმება უბრძანა. ვერენა ნაწილობრივ ასრულებს კანის დავალებას, ჟურნალისტებს ბევრს არაფერს უმხელს, მაგრამ სხვადასხვა გზებით ინფორმაცია მაინც აღწევს მკითხველამდე. უკვე ყველამ გაიგო, რომ ვერენას კანთან შეხვედრამდეც არაერთი საყვარელი ჰყოლია ცნობილ პიროვნებათა შორის, რომ ვერენამ არც კი იცის, უყვარს თუ არა კანი, მას, უბრალოდ, სიამოვნებს "ბაიერნის" ვარსკვლავთან დროსტარება, რომ 21 წლის "დისკო გერლი" ყოველთვის ახერხებს იმ მამაკაცთა "შებმას", ვინც მას მოსწონს... მოკლედ, დამალული ნამდვილად არაფერი დარჩენილა.

გერმანულ ყვითელ პრესას საქმე გაუჩნდა-"ბილდი" ლამის ყოველდღე წერს ამ თემაზე და სხვადასხვა პიროვნებებს სთხოვს კომენტარის გაკეთებას. უკვე დაიბეჭდა ხუთი ფეხმძიმე ქალის კომენტარი, რომლებიც კანის მეუღლე სიმონეს უცხადებენ თანაგრძნობას და "ბაიერნის" გოლკიპერს "ღორობად" უთვლიან ცხრა თვის ორსული სიმონესთვის ასეთი დიდი ტკივილის მიყენებას. ამჯერად "ბილდის" სტუმარი ლოტარ მატეუსის ექს-მეუღლე სილვია გახლავთ.

ამ ქერათმიანმა ძლიერმა ქალმა კარგად იცის, რასაც ნიშნავს სახელგანთქმული ფეხბურთელის ცოლობა. კანს რა უჭირს, 17 წლიდან 33 წლამდე ერთი ქალის გვერდით იყო და ყოველ წელს არ იცვლიდა საყვარლებს. ლოტარ მატეუსი კი მუდამ გამოუსწორებელ დონ ჟუანად ითვლებოდა და ახლაც ასეთია, სხვათაშორის... სილვიას და ლოტარს უკვე ორი შვილი ჰყავდათ, როცა "ბაიერნის" კაპიტანი მომხიბვლელმა ლოლიტა მორენამ გაიტაცა და ოჯახი მიატოვებინა. მატეუსი სილვიას გაშორდა და ლოლიტაზე იქორწინა, მაგრამ მათი ურთიერთობა მყარი ვერ აღმოჩნდა. დღეს მატეუსი ისევ თავისუფალია, ლოლიტა მორენა უკვე დიდი ხანია წარსულად იქცა...

სილვიას მატეუსისგან ორი გოგონა ჰყავს- ალისა ჩვიდმეტი წლისაა, ვიოლა კი თოთხმეტის. როცა მშობლები გაიყარნენ, გოგონები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ. სილვიამ ყველაფერი გააკეთა ბავშვების კეთილდღეობისთვის და ამასვე ურჩევს დღეს იგი ოლივერ კანის მეუღლეს. " რაკი კანმა ერთხელ უღალატა სიმონეს, ის შემდგომშიც იგივეს გაიმეორებს. სიმონემ ახლა მხოლოდ ბავშვებზე უნდა იფიქროს. ჩემი რჩევა იქნება, მოკიდოს ბავშვებს ხელი, წამოიწყოს გაყრის პროცესი, აიღოს ფული და კანს ჯანდაბაში უკრას თავი. როგორც არ უნდა ამტკიცოს "ოლიმ", რომ ოჯახის მიტოვებას არ აპირებს, სიმონემ მას ეს საშინელი ღალატი არ უნდა აპატიოს."-, ასეთი მკაცრი განაჩენი გამოაქვს მატეუსის ექს-მეუღლეს.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ სილვია მხოლოდ კანს ადანაშაულებს და ვერენას მიმართ არანაირი პრეტენზია არ გააჩნია. "მე არ მინდა გოგონას შეურაცხყოფა მივაყენო. მან, ალბათ, იცოდა, რომ კანი დაქორწინებული იყო, მაგრამ ეს არაფრად ჩაუგდია იმ მიზეზის გამო, რომ ახალგაზრდა და თავქარიანია და ცდილობს, ცხოვრებით დატკბეს და რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს. ყველაფერში მხოლოდ კანია დამნაშავე და ის საკადრისად უნდა დაისაჯოს კიდეც."– მიაჩნია სილვიას.

ჯერჯერობით არც კანს გაუკეთებია რაიმე კომენტარი და მითუმეტეს, არც სიმონეს. კანი მხოლოდ იმას ამბობს, რომ მძიმე წუთებში მეუღლის გვერდით იქნება და მას მარტოობას არ აგრძნობინებს, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება პატარა დანიელის დაბადების შემდეგ...

## მოკლედ

**ფეხბურთი.** კატალონიელებმა ლეგენდარულ იოჰან კრუიფს "ბარსელონას" პრეზიდენტობაზე კენჭისყრა შესთავაზეს, მაგრამ კრუიფმა უარი განაცხადა. ჰოლანდიელის თქმით, ეს მისთვის მეტისმეტია. "99,5 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებ, - განაცხადა კრუიფმა - მე ცუდი პრეზიდენტი და დიპლომატი გახლავართ, თანაც ამ საქმისთვის მოვხუცდი. მთავარი კი ის არის, რომ პრეზიდენტობა სულაც არ მხიბლავს, მე ეს აღარ მაინტერესებს."

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის "არსენალის" 33 წლის ფორვარდი დენის ბერგკამპი, რომელსაც ინგლისურ კლუბთან კონტრაქტი ზაფხულში უმთავრდება, პროფესიული კარიერის დასრულებას არ აპირებს. "იმ შემთხვევაშიც კი, თუ "არსენალი" ახალ კონტრაქტს არ შემომთავაზებს, ბუცებს ქანდარაზე მაინც არ ჩამოვკიდებ. მე ძალიან კარგ ფორმაში ვარ და ვგრძნობ, რომ უმაღლეს დონეზე თამაში კიდევ შემიძლია. ბოლოს და ბოლოს, რა არის იმაზე უკეთესი, ვიდრე ფეხბურთის თამაში?!" - ამბობს ბერგკამპი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "რომას" ფორვარდი ვინჩენჩო მონტელა აცხადებს, რომ გუნდში დარჩენით მოხარული იქნება, მაგრამ დარწმუნებით არაფრის თქმა არ შეუძლია. "ჩემთვის ადვილი იქნებოდა მეთქვა, რომ კლუბში თავს კარგად ვგრძნობ და აქედან არსად წასვლას არ ვაპირებ, - ამბობს ფეხბურთელი - ეს მართლაც ასეა, მაგრამ ვიცი, რომ ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება უცბად შეიცვალოს. მე არაფერი გამიკვირდება". "რომას" მეორე ფეხბურთელმა ბრაზილიელმა ალდაირმა კი განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ საფეხბურთო კარიერას დაამთავრებს. ამ განცხადებით ალდაირმა უარყო ხმები მისი "ბირმინგემში" ან "ბოლტონში" გადასვლის შესახებ. "მივდივარ. შევეცდები დარჩენილ ოთხ თვეში მაქსიმალურად წარმოვაჩინო ჩემი შესაძლებლობები," - დაასკვნა ბრაზილიელმა.

## ისტორიული ფოტო

### ეს იყო 44 წლის წინათ...



1959 წლის 27 სექტემბერი მილანი.
ურუგვაის ნაკრებისა და იტალიური "მილანის" ლეგენდარული ფეხბურთელი,
მსოფლიოს 1950 წლის ჩემპიონი
ხუან ალბერტო სკიაფინო.

# ომარ თეთრაძემ „ალანია" დაამარცხა

დიმიტრი ობოლაძე

*რუსეთის ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო ამბავი მოხდა - ყველასთვის კარგად ცნობილმა ფეხბურთელმა, ომარ თეთრაძემ, თავის კლუბს, ვლადიკავკაზის "ალანიას" "საქმის გარჩევა" მოუგო. ფეხბურთის ფედერაციის კონფლიქტების მოგვარების ახლად შექმნილმა პალატამ გადაწყვიტა, რომ დღეიდან თეთრაძე თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას შეუძლია, ნებისმიერ კლუბთან დამოუკიდებლად გააფორმოს კონტრაქტი. თუმცა, გასარკვევი რჩება ერთი, ფეხბურთელისთვის ძალზე პრინციპული საკითხი.*



*ომარ თეთრაძე*

"ვლადიკავკაზის კლუბი უღირსად მომექცა. სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო ხელმძღვანელობამ არ გადამიხადა ორი თვის ხელფასი, პრემია. კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ალტერნატიული ვარიანტი შევთავაზე – ვთხოვე, გუნდიდან თავისუფალი აგენტის სტატუსით გავეშვი, რის სანაცვლოდაც თანხაზე უარს ვამბობდი და კლუბს ვტოვებდი. "ალანიას" ხელმძღვანელობამ ამაზე უარი მითხრა. კლუბს არც თანხის გადახდა უნდოდა და არც ჩემი გათავისუფლება. პირიქით, ჩემს გაყიდვას და დამატებითი თანხის შოვნას ცდილობდა. იძულებული გავხდი, კონფლიქტების მოგვარების პალატისთვის მიმემართა", - თქვა თეთრაძემ "24 საათთან" სატელეფონო საუბარში.

**- რა ძალაუფლება აქვს პალატას და მტკიცეა თუ არა მისი გადაწყვეტილება?**

- კონფლიქტების მოგვარების პალატა არცთუ დიდი ხნის წინ შეიქმნა. ორგანიზაციის ხელმძღვანელია ცნობილი პიროვნება, ნიკოლაი ტოლსტიხი. პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და მას ყველა კლუბი უსიტყვოდ ემორჩილება. ჩემსა და "ალანიას" შორის კონფლიქტი თვენახევრის განმავლობაში გრძელდებოდა. მაქსიმალურად ვცდილობდი, მშვიდად, გართულებების გარეშე მომეგვარებინა პრობლემა... არ გამოვიდა. პალატის პირველი სხდომა წინა კვირის ბოლოს, პარასკევს გაიმართა. ტოლსტიხმა მოისმინა ჩემი არგუმენტები და საკითხის მოსაგვარებლად კიდევ 5 დღე მოგვცა. ამ ხნის განმავლობაში კლუბიდან არავინ შემხმიანებია. გუშინ კი გაიმართა სხდომა, რომელმაც ჩემთვის სასარგებლო განაჩენი გამოიტანა. მე თავისუფალი აგენტი ვარ და შემიძლია, ნებისმიერ კლუბთან გავაფორმო კონტრაქტი.

**- ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ თქვენ "ალანიას" თქვენი კუთვნილი ხელფასი და პრემია აჩუქეთ?**

არავითარ შემთხვევაში. ეს უკვე საქმის მომდევნო ეტაპია. არ მინდა, რომ ამ საქმის თუნდაც ერთი პუნქტი წავაგო. ჩემი ადვოკატები ამ თანხის ამოღების გზებს ეძებენ და, იმედია, იპოვიან კიდეც. აქ ფულზე არ არის საქმე. ეს პრინციპის, ღირსების საკითხია. მე ვითხოვ მხოლოდ იმას, რაც მეკუთვნის. უკვე ცნობილია დეტალებიც. არსებობს ორი ვარიანტი: სამოქალაქო სასამართლო და FIFA-ს სადისციპლინო კომიტეტი.

**- ცნობილია, რომ FIFA არ მიესალმება სამოქალაქო სასამართლოში საფეხბურთო საკითხების განხილვას...**

- სწორედ ამიტომ ვამზადებთ დოკუმენტს, რომელიც სულ მალე სწორედ FIFA-ში აღმოჩნდება. დარწმუნებული ვარ, ჩემთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას მიიღებენ. სხვათა შორის, აქ, რუსეთში, ჩემს პოზიციას ბევრი ფეხბურთელი იზიარებს. ეს კონკრეტული მაგალითი მაგალითად იქცევა იმ კლუბებისთვის, რომელთა ხელმძღვანელობა თავს არიდებს თავისი მოვალეობის შესრულებას.

*პირველი ეტაპი ომარ თეთრაძემ მოიგო და "ალანიას" ხელმძღვანელობას, შესაძლოა, თვალიც აეხილა. კლუბის ხელმძღვანელობის აზრით, უმნიშვნელო კონფლიქტი სერიოზულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ომარ თეთრაძე თავის ინტერესებს იცავს. ოსურ გუნდს კი ძვირად უჯდება ეს დაპირისპირება. რაც შეეხება ფეხბურთელის მომავალს - თითქმის ყველამ იცის, რომ მისთვის იბრძვის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბი, მახაჩკალის "ანჟი". დაბოლოს, დასანანია, რომ თეთრაძეს, უკვე არაერთხელ დასახელებული მიზეზების გამო, საბოლოოდ მაინც არ მიეცა საქართველოს სახელით თამაშის საშუალება – ქართველ ფეხბურთელს რუსეთის პრემიერ-ლიგაში უფრო აფასებენ.*

# "მშობლიური ტესტი" ზღვისპირელ თანაკლუბელებთან

მიხეილ აბაიშვილი

*საქართველოს თასის გათამაშება სერიოზულ, მერვედფინალურ ფაზაში შევიდა. გუშინ გაიმართა ამ ეტაპის ოთხი მატჩი, რომელთაგან ყველაზე საინტერესოს თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულმა სტადიონმა უმასპინძლა.*

**საქართველოს თასი,**
**1/8-ფინალის პირველი მატჩი**
*"დინამო" (თბილისი) - "დინამო" (ბათუმი)*
*2:0 (0:0)*

**"დინამო" (თბილისი):** გვარამაძე, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, ამისულაშვილი, კარლოსი, სახვაძე, ანჩაბაძე, გოგობერიშვილი, ახალაია, დარასელია (კვირკველია, 67`), ბობოხიძე (ბობოხიძე, 86`). მთ. მწვრთნელი ივო შუშაკი

**"დინამო" (ბათუმი):** ქვაჩახია, მახარაძე, გურეშიძე, გუშარაშვილი, თევდორაძე, კობიძე, ქაცარავა, შენგელია, დარჩიძე (სეფერთელაძე, 78`), ფირცხალაიშვილი, მოდებაძე (ფურცხვანიძე, 86`). მთ. მწვრთნელი ასლან ბალაძე.

**გოლები:** 1:0 ბობოხიძე (46`), 2:0 ანჩაბაძე (68`, პენ.).

**გაფრთხილებები:** ბობოხიძე, გოგობერიშვილი.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*დინამოელების ორთაბრძოლა*

მოგეხსენებათ, თბილისის "დინამომ" იანვარ-თებერვალში ორი სერიოზული და, როგორც მთავარი მწვრთნელი თვლის, ნაყოფიერი საწვრთნელი შეკრება გაიარა. თუ არ ჩავთვლით ქვედალიგელ "მცხეთასთან" მეთექვსმეტედფინალურ თამაშებს, რომლის დროსაც საქართველოს ჩემპიონატის ლიდერმა იოლად მოიპოვა შემდეგ ეტაპზე გასვლის უფლება (ორი მატჩის ჯამში - 10:0 "დინამოს" სასარგებლოდ), ბათუმელ თანაკლუბელებთან მატჩი "დინამოსთვის" პირველი სერიოზული მშობლიური ტესტი იყო 2003 წელს. ამ თამაშში უნდა გარკვეულიყო, რამდენად გულწრფელი იყო შუშაკი, როდესაც, ხორვატიის შეკრებიდან დაბრუნებულმა, პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისმა გუნდმა ყველა კომპონენტში 20 პროცენტით გააუმჯობესა თამაშის ხარისხი.

პირველმა ტაიმმა მწვრთნელის სიტყვებში ეჭვის შეტანის საბაბი მოგვცა. მასპინძელთა გუნდმა, რომელიც, ორ იძულებით შეცვლას თუ არ ჩავთვლით, ძირითადი, უცხოური შეკრებების დროს ტრადიციად ქცეული შემადგენლობით და ტაქტიკური მონახაზით თამაშობდა (3-4-3), ვერა და ვერ მოიპოვა უპირატესობა. ორი ცვლილება ვახსენე და აქვე ვიტყვი, რომ ავადმყოფობის გამო ვერ ითამაშა თბილისელთა ცენტფორვარდმა და შეტევების ლიდერმა რატი ალექსიძემ. ვერც ლადო ბურდულმა მოიშუშა ტრავმა - ისიც ტრიბუნიდან უყურებდა მატჩს. თუმცა, ორი, თუნდაც ასეთი ფეხბურთელის არყოფნა არ უნდა შეეტყოს ისეთი ამბიციების მქონე გუნდს, როგორიც თბილისის "დინამოა". არა, მასპინძლები კი ფლობდნენ საგრძნობ ტერიტორიულ უპირატესობას და საკუთარ ნახევარზე ზღვისპირელებს არც უშვებდნენ, მაგრამ სტუმრები ისე მწყობრად იცავდნენ თავს, რომ შუშაკის გუნდის ყველა მცდელობა ქვაჩახიას კარის საჯარიმოს მისადგომებთან წყდებოდა. პირველ 45 წუთში "დინამომ" მხოლოდ ერთი "ნახევარმომენტი" შექმნა, ისიც - ბათუმელთა მეკარის მიერ მირთმეული "ძღვნის" შემდეგ (მან ერთხელ ხელში აღებული ბურთი ძირს დააგდო და მერე ისევ ხელით შეეხო, რის გამოც მსაჯმა სამართლიანად დააფიქსირა წესის დარღვევა). სტანდარტული მდგომარეობიდან ბურთი დაუგორეს დარასელიას, რომლის ძლიერი დარტყმაც ქვაჩახიამ კარგად მოიგერია და თავისივე შეცდომა გამოასწორა.

და მაინც, მატჩის მეორე ნახევარში სათამაშო კლასში სხვაობა აშკარა გახდა. პირველი ექვსეულის ლიდერმა ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის საბრძოლველად მომართულ გუნდს წლეულს პირველი გაკვეთილი ჩაუტარა. თუმცა, "დინამომ", ალბათ, უფრო ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე, ერთი ფეხბურთელის ბრწყინვალე თამაშის წყალობით მოიგო. საუბარია ვიტალი დარასელიაზე, რომელიც ბათუმელთა კარში გატანილი ორი გოლიდან არც ერთის ავტორი არ არის, მაგრამ მის გარეშე არც ერთი არ გავიდოდა. 46-ე წუთზე მან, ფილიგრანული გადაცემით, მეკარესთან პირისპირ დატოვა ალექსიძის შემცვლელი ბობოხიძე, რომელმაც ლამაზი თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. 67-ე წუთზე შუშაკმა გადაწყვიტა, დარასელია შეეცვალა. კვირკველია, სათადარიგო მსაჯთან ერთად, მოედნის კიდეს მიუახლოვდა. მსაჯს შეცვლის მანიშნებელ ფირნიშზე ციფრი "6" ჰქონდა გამოსახული, რაც იმას ნიშნავდა, რომ დარასელიასთვის მატჩი მთავრდებოდა. თუმცა, ამისთვის თამაშში პაუზა იყო საჭირო. დარასელიამ ამ პაუზას არ დაუცადა, ანჩაბაძის შეტევა გააგრძელა, რამდენიმე მეტოქით გარშემორტყმულმა, ქვაჩახიას საჯარიმოში შეაღწია და თავისი აქტიურობით მცველები აიძულა, წესი დაერღვიათ. დაინიშნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო, რომელიც ანჩაბაძემ გოლად აქცია. ასე რომ, განმეორებითი მატჩის წინ, რომელიც 9 მარტს გაიმართება, შუშაკის გუნდმა სოლიდური ფორა მიიღო, რომლის აღმოფხვრაც ბალაძის შეგირდებს ძალიან გაუჭირდებათ.

**სხვა მერვედფინალების შედეგები:**
"ლოკომოტივი" - "მერანი-ოლიმპი" 2:0
"ვიტ ჯორჯია" - "მერცხალი" 2:0
"კოლხეთი" - "სიონი" 0:0
"ქობულეთი" - "დილა" 0:0
"გურია" - "მილანი" 1:0

განმეორებითი მატჩები 9 მარტს გაიმართება.

# სად ითამაშებს რეხვიაშვილი?

*საქართველოს ეროვნული ნაკრების ნახევარმცველის ალექსანდრე რეხვიაშვილის თავგადასავალი, როგორც ჩანს, გადამწყვეტ ფაზას უახლოვდება. ანუ, ფეხბურთელი ან ვლადიკავკაზის "სპარტაკ-ალანიაში" რევაზ ძოძუაშვილის ხელმძღვანელობით ითამაშებს, ან დისკვალიფიკაციას მიიღებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მკაცრი ვერდიქტით იმუქრება " ტორპედო-მეტალურგის" ხელმძღვანელობა.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ალექსანდრე რეხვიაშვილი (შუაში)*

ალექსანდრე რეხვიაშვილი წლევანდელ სეზონში რუსეთის "ტორპედო-მეტალურგთან" კონტრაქტის გაფორმებას დაყაბულდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ საქმე ვერ მოაგვარა რეხვიაშვილის ყოფილ გუნდთან, ლატვიის "სკონტოსთან". სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ რუსულმა კლუბმა რეხვიაშვილის განაცხადში შეყვანა დააგვიანა.

რეხვიაშვილი სამშაბათს "ტორპედო-მეტალურგის" განაცხადში მაინც შეიყვანეს, მაგრამ მთელი მარილიც ის არის, რომ იმავე დღეს ქართველმა ფეხბურთელმა "სპარტაკ-ალანიას" შემადგენლობაში, ყაზახეთის "ირტიშის" წინააღმდეგ, ამხანაგურ-საკონტროლო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. ეს მატჩი ფრედ დამთავრდა - 1:1 (ამჟამად საწვრთნელ შეკრებაზე ორივე კლუბი თურქეთში იმყოფება). ამან "ტორპედო-მეტალურგის" ხელმძღვანელობა უკიდურესად აღაშფოთა.

"რეხვიაშვილმა თხოვნით მომმართა გუნდის შეკრებიდან გამეთავისუფლებინა. თავისი გადაწყვეტილება მან მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობით ახსნა. მე რეკომენდაცია მივეცი, ამ საკითხზე კლუბის ხელმძღვანელობას მოთათბირებოდა",- განაცხადა "ტორპედო-მეტალურგის" მთავარმა მწვრთნელმა სერგეი ალეინიკოვმა.

ალეინიკოვზე უფრო რადიკალური იყო კლუბის გენერალური მენეჯერი იური ბელოუსი. "რეხვიაშვილმა საწვრთნელი შეკრება თვითნებურად დატოვა. ალბათ, "სპარტაკ-ალანიაში" მას უფრო სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს. ასეა თუ ისე, თუ რეხვიაშვილი ჩვენი კლუბის განკარგულებაში არ დაბრუნდება, მას დიდი პრობლემები შეექმნება. შევეცდებით მის დისკვალიფიკაციას მივაღწიოთ," - განაცხადა ბელოუსმა.

ამ საკითხის ირგვლივ თავისი მოსაზრება აქვს "სპარტაკ-ალანიას" მთავარ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს. "რეხვიაშვილს ამ სეზონში ჩვენთან სურს თამაში. ფეხბურთელი უკვე არაერთი სეზონია, რაც ჩემი ხელმძღვანელობით თამაშობს. მას შემდეგ, რაც "ტორპედო-მეტალურგმა" ორი ცენტრალური ნახევარმცველი - კაზაკოვი და კატიჩი შეიძინა - რეხვიაშვილს გუნდის შემადგენლობაში ადგილის დაკარგვა აშინებს, რაც ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებშიც პრობლემებს შეუქმნის. სწორედ ამიტომ სთხოვა მან კლუბს საწვრთნელი შეკრებიდან გათავისუფლება. ჩვენ კონფლიქტი არ გვსურს და მოლაპარაკებისთვის მზად ვართ. ვფიქრობ, საერთო ენას გამოვნახავთ. "ტორპედო-მეტალურგმა" ჩვენგან განსხვავებით, რეხვიაშვილის ყოფილ კლუბ "სკონტოსთან" შეთანხმებას ვერ მიაღწია," - ამბობს რევაზ ძოძუაშვილი.

თავის მხრივ, "სკონტოს" მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ სტარკოვმა განაცხადა: "ჩვენსა და რეხვიაშვილის ახალ კლუბს შორის, ფეხბურთელის ტრანსფერის დეტალებზე მოლაპარაკება მიმდინარეობს. საუბარია "სპარტაკ-ალანიაზე," - ადასტურებს სტარკოვი.

კრივი

# სადაც გიორგია, იქ ბომბებს რა უნდა?

## უზენაეს სასამართლოში გიორგი კანდელაკს განაჩენი გამოუტანეს

გიგა გურასაშვილი

*საქართველოს უზენაეს სასამართლოში გუშინ დიდი თავყრილობა იყო. თავყრილობის მიზეზი მოკრივე გიორგი კანდელაკი გახლდათ. სავსე სააქტო დარბაზში ქართველ მოკრივეს საგულდაგულო დაკითხვა მოუწყვეს. მართლმსაჯულების სასწორი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ლადო ჭანტურიას ეპყრა ხელთ. კანდელაკის "დაკითხვამ" ორ საათზე მეტ ხანს გასტანა და ამ ხნის განმავლობაში მათმა უმრავლესობამ კანდელაკს განაჩენი გამოუტანა – გიორგი მსოფლიო ჩემპიონია. ჩვენც არა ვთქვით... და შვებით ამოვისუნთქეთ. ისე კი, სადაც გიორგია, იქ ბომბებს რა უნდა? ეს ისე, ხუმრობით.*

სიმართლე გითხრათ, არც გვეგონა, თუ პირველ ქართველ მსოფლიო ჩემპიონს, როგორც მოყვარულებში, ისე პროფესიონალებში, ამდენი თაყვანისმცემელი თუ გულშემატკივარი ეყოლებოდა უზენაესი სასამართლოს კედლებში. თუმცა, ფაქტია: დარბაზი ცნობისმოყვარეებს ვერ იტევდა. ბევრს ფეხზე დგომაც არ დაზარებია. "სასამართლო" გახსნა თავყრილობის მასპინძელმა ლადო ჭანტურიამ. სალამ-ქალამის შემდეგ კი ცნობისმოყვარე პროკურორებმა თუ მოსამართლეებმა კანდელაკს კითხვები სეტყვასავით დააყარეს. აქტიურობდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეც. ფაქტობრივად, იგი პროკურორის როლს ასრულებდა და კითხვებსაც თავად ანაწილებდა. ზოგსაც თავად პასუხობდა. კითხვა კი უამრავი იყო. მაგალითად, აინტერესებდათ, როდის დაიწყო გიორგიმ კრივში ვარჯიში, პირველ წარმატებას როდის მიაღწია, ვინ მიაჩნია უდიდეს მოკრივედ, დღეს ვინ არის ყველაზე ძლიერი მოკრივე, რას აკეთებს კანდელაკი თავისუფალ დროს, რისგან შედგება მოკრივის ყოველდღიური რაციონი. ყველას აინტერესებდა, სვამენ თუ არა მოკრივეები ალკოჰოლიან სასმელს. კითხვას, რომელ მეტოქესთან ორთაბრძოლას არ ისურვებდა, კანდელაკმა ღიმილით უპასუხა: ასეთი არავინაა. თუ პროფესიონალად მიგაჩნია თავი, არავისი არ უნდა გეშინოდესო. ერთ შეკითხვაზე, რა არის რინგზე საჭირო, სიფიცხე თუ ცივი გონებაო, ლადო ჭანტურიამ კანდელაკს არ დააცადა და თავად უპასუხა: მუშტიო! ბევრს ისიც აინტერესებდა, შეხვდებოდა თუ არა გიორგი მაიკ ტაისონს (სხვათა შორის, ეს კითხვა არაერთხელ გაისმა). კანდელაკმა კი უპასუხა, რატომაც არა, მაგრამ მასთან საბრძოლველად არავინ გამიშვებს, რადგან არ წარმოვადგენ ისეთ საკრივო ქვეყანას, როგორიც ამერიკა ან ინგლისიაო. ესეც რომ არა, ყველაფრის თავიდათავი ფინანსები და რეკლამაოო. უფრო სწორად, მილიონები, რომელიც ტელევიზიიდან მოდისო. პატარა პაუზის შემდეგ ჭანტურიამ თქვა, თურმე, კორუფცია კრივშიც ყოფილაო. უზენაესი სასამართლოს სააქტო დარბაზში კიდევ ბევრი კითხვა დაისვა, მაგრამ მარტო მათ ჩამოსათვლელადაც არ გვეყოფა ერთი საგაზეთო გვერდი. თუმცა, უზენაესი სასამართლო ისე მაინც არ დაგვიტოვებია, ერთი-ორი კითხვა თავად ლადო ჭანტურიასთვის არ დაგვესვა.



*გიორგი კანდელაკი და ლადო ჭანტურია*

**- როდესაც აქ მოვდიოდით, ყველა გვეკითხებოდა, ასეთი რა დააშავა გიორგი კანდელაკმაო? მართლაც, რა დააშავა?**

- გიორგი კანდელაკის ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ იგი არის საქართველოს ყველაზე პოპულარული სპორტსმენი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე მიგვაჩნია. უზენაესი სასამართლოს თანამშრომლებმა, მოსამართლეებმა, ერთსულოვნად გადაწყვიტეს, რომ პირველი შეხვედრა კანდელაკისთვის მოგვეწყო. ასე რომ, ეს მარტო ჩემი ახირება არ არის. არჩევანში არ შევმცდარვართ.

**- გამოდის, რომ ტრადიციისთვის ჩაგიყრიათ საფუძველი. სხვა სპორტსმენებთანაც თუ აპირებთ შეხვედრებს?**

- ვაპირებთ. და არა მარტო სპორტსმენებთან, არამედ ხელოვნების წარმომადგენლებთან. ეს ტრადიცია უზენაეს სასამართლოში უკვე ჩამოყალიბდა. ცოტა ხნის წინ აქ გია გუგუშვილის გამოფენა გაიხსნა. ახლო მომავალში ჟანრი ლოლაშვილის ნახატებს გამოვფენთ.

**- კანდიდატურებს როგორ არჩევთ?**

- გამოკითხვით. ვინც მეტ ხმას მოაგროვებს, მას შევხვდებით. ასე იყო გიორგი კანდელაკის შემთხვევაშიც. უზენაესი სასამართლოს რეიტინგში კანდელაკი ერთპიროვნული ლიდერი იყო.

# "სუხია-2003"



საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია და კავშირი „სუხია" აწყობენ შეჯიბრს სამთო-სათხილამურო სპორტში - „სუხია - 2003". შეჯიბრის გენერალური სპონსორია კომპანია „ჯეოსელი". სპონსორები: მაკა ასათიანი და „ვულე ვუ". საინფორმაციო მხარდაჭერა - ტელეკომპანია მე-9 არხი, რადიო „ფორტუნა".

**სტარტი - გუდაურში, 8 მარტს 12 საათზე.**

## მოკლედ

**კალათბურთი.** "ტორონტოსთან" შეხვედრის დროს მაიკლ ჯორდანმა უეცრად ზურგის მკვეთრი ტკივილი იგრძნო და სათადარიგოთა სკამისკენ გაეშურა. იმ თამაშში ჯორდანი მოედანს აღარ დაბრუნებია. ჯერჯერობით უცნობია შეძლებს თუ არა "მფრინავი მაიკლი" მომდევნო შეხვედრაში თამაშს, რომელიც ვაშინგტონში "კლიპერსის" წინააღმდეგ გაიმართება. საბოლოო სიტყვა სამედიცინო შემოწმებაზეა. აღსანიშნავია, რომ ჯორდანს წლევანდელ სეზონში არცერთი მატჩი არ გამოუტოვებია. თავისი ლიდერის გარეშე დარჩენილი "ვაშინგტონ უიზარდსი" კი "ტორონტოსთან" შეხვედრაში დამარცხდა - 89:86.

■ ■ ■

**კრივი.** კრივის ორგანიზაციები WBC და WBA არ ცნობენ უკრაინელ ვიტალი კლიჩკოს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტად. "ბატონ კლიჩკოს არ ესმის, რომ WBC-ის წესების თანახმად რეიტინგის პირველ ნომერსა და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტს შორის დიდი განსხვავებაა, - განაცხადა WBC-ის პრეზიდენტმა ხოსე სულეიმანმა - ვიტალი კლიჩკო ოფიციალურ პრეტენდენტად არ გამოცხადებულა". WBC ვიტალი კლიჩკოსგან ითხოვს ევანდერ ჰოლიფილდთან შეხვედრას, რომელიც ოფიციალური პრეტენდენტის ვინაობას დაასახელებს და ლენოქს ლუისთან ჩხუბის უფლებას მოუპოვებს. რაც შეეხება WBA-ს, რომლის ჩემპიონიც როი ჯონსია, აქაც გაურკვეველი ვითარებაა. ორგანიზაციის წესების თანახმად ჯონსმა თავისი ტიტული უახლოესი 6 თვის განმავლობაში უნდა დაიცვას და მისი მეტოქე რეიტინგის პირველი ნომერი - ამ შემთხვევაში ვიტალი კლიჩკო უნდა იყოს. დონ კინგმა კი განაცხადა, რომ უკრაინელი არ შეიძლება WBA-ს პრეტენდენტი იყოს, ვინაიდან მან პრეტენდენტის შესატანი თანხა არ გადაიხადა, რაც წესების დარღვევაა.

■ ■ ■

**ოლიმპიზმი.** სამშაბათს გამოქვეყნდა ოლიმპიური ჩირაღდნის დეტალური მარშრუტი, რომელიც პირველად ისტორიაში დედამიწის ყველა კონტინენტს შემოივლის. ესტაფეტა 65 დღეს გაგრძელდება და სტარტს სიდნეიდან დაიწყებს. პირველი ქალაქები, რომელსაც ჩირაღდანი ეწვევა - მელბურნი, ტოკიო, სეული და პეკინი იქნება. შემდეგ ოლიმპიური ცეცხლი კეიპტაუნზე, რიო-დე-ჟანეიროზე და ნიუ-იორკის ჩათვლით ამერიკის რამდენიმე ქალაქზე გაივლის. მომდევნო ტურნე კი უკვე ევროპის უდიდეს ქალაქებზე გავრცელდება. ესტაფეტა პარიზის, რომის და ბერლინის ქუჩებში ჩაივლის. ევროპული ქვეყნის უკანასკნელი დედაქალაქი კი, სადაც ჩირაღდანს ჩამოატარებენ მოსკოვი იქნება. ბოლოს კი კვიპროსის გავლით ოლიმპიური ჩირაღდანი ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ ათენში დაიდებს ბინას.

რაგბი

# ალექსანდრ პერვუხინი: "რატომ ვერ უნდა შევძლოთ ქართველთა დამარცხება?"

პაატა თოთაძე

*რუსული პრესის ინფორმაციით იმ ხნის განმავლობაში, რაც რუსეთის მორაგბეთა ნაკრები ევროპის ერთა თასზე ასპარეზობს, ამ გუნდს ტურნირის მოგების ყველაზე დიდი შანსი წლეულს აქვს, თუმცა ტურნირის დასრულებამდე ჯერ დიდი დროა დარჩენილი და რუსებს უმთავრესი მატჩები წინ აქვთ.*

რატომ ჰგონიათ რუსებს, რომ ტურნირს მოიგებენ? ალბათ, იმიტომ, რომ ფავორიტებს - საქართველოსა და რუმინეთის ნაკრებებს თითო წაგება აქვთ. თუ რუსები მათ დაამარცხებენ და ზედ პორტუგალიასაც მიაყოლებენ, ჩემპიონები გახდებიან. ეს სათქმელად არის ადვილი, თორემ რუსები ყველაფერს ასე იოლად ვერ მიაღწევენ. ეს თქვა კიდეც რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა. სხვათა შორის, რუსეთის ნაკრების მწვრთნელთა შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. საქმე ის არის, რომ სამხრეთ აფრიკიდან არ დაბრუნებულა რუსეთის ნაკრების მწვრთნელი ჯეიმს შტოფბერგი. ამის გამო უმალ დადგა ნაკრებისთვის მეორე მწვრთნელის მოძებნის საკითხი. რუსული რაგბის ხელმძღვანელებს კანდიდატურის შესარჩევად დიდი დრო არ დასჭირვებიათ. პერვუხინის დახმარება რუსეთის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელს ბაღდასაროვს დაევალა. ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებამდე, რომელიც აპრილში, საფრანგეთში გაიმართება, ბაღდასაროვი ორივე პოსტზე იმუშავებს, შემდეგ კი ვნახოთო, უთქვამთ რუსეთის რაგბის კავშირში.



*რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი იური ნიკოლაევი და ალექსანდრ პერვუხინი*

ჯერჯერობით ცნობილი არ არის შტოფბერგის ჩამოუსვლელობის მიზეზი. მწვრთნელი არავის დაკავშირებია, ისე კი, საინტერესოა, რომ დაბრუნდეს, მერე რა მოხდება - ისევ აღადგენენ თანამდებობაზე, თუ სამუდამოდ დაემშვიდობებიან? ქართველებისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. რუსებისა არ ვიცით და, ტურნირის მოგების შანსი ბორჯღალოსნებსაც აქვთ. საამისოდ ქართველებმა შაბათს უთუოდ უნდა დაამარცხონ რუსები, შემდეგ კი, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

რუსებთან მატჩისთვის, ლევან ცაბაძის გარდა, საქართველოს ნაკრებს კიდევ ერთი მოთამაშე დააკლდა - ვასილ კაცაძემ ცხვირი გაიტეხა და თანაგუნდელებს კრასნოდარში ვერ დაეხმარება.

ჯერჯერობით უცნობია, არის თუ არა რაიმე ცვლილება რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში. პერვუხინი ამის შესახებ არაფერს ამბობს, თუმცა, აღნიშნავს, რომ ქართველებთან სათამაშოდ შეგულებული ყველა მოთამაშე ჯანმრთელადაა. "პროგნოზებისგან ყოველთვის თავს ვიკავებდი და ახლაც ასე მოვიქცევი. რუსეთისა და საქართველოს ნაკრებები თანაბარი ძალის არიან. ასე რომ, მატჩს მოიგებს ის, ვინც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს და კარგად დაურტყამს", - აღნიშნა პერვუხინმა. დამრტყმელთა სიზუსტეზე, მართლაც, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ასეთ დაძაბულ მატჩებში, შესაძლოა, ყველაფერი ერთმა ზუსტად შესრულებულმა საჯარიმომ თუ არეკნმა გადაწყვიტოს. მართალია, პერვუხინი პროგნოზებისგან თავს იკავებს, მაგრამ რუსეთისა და საქართველოს ნაკრებების შედარებაზე უარს არ ამბობს: "ქართველთა კოზირი შერკინებაა. ეს გუნდი მუდამ შერკინებაზე აკეთებდა აქცენტს. მართალია, დღეს მისი თამაშის სტილი, ფრანგი მწვრთნელის გამო, შეიცვალა, მაგრამ [illegible] მთავარ დამრტყმელ ძალად კვლავაც თავდასხმის ხაზი (მორკინალები) რჩება. ბოლო დროს ჩვენი შერკინებაც მომძლავრდა. ეს ესპანელებთან მატჩშიც გამოჩნდა, მაგრამ, ვფიქრობ, ამ მხრივ მცირე უპირატესობა მაინც ქართველთა მხარეს იქნება.

რაც შეეხება დაცვის ხაზს (უკანა ხაზი), ამ მხრივ, რუსები მეტოქეს არაფრით ჩამორჩებიან. სამწუხაროდ, წლეულს საქართველოს ნაკრების თამაში არ მინახავს, ამიტომ ვერ გეტყვით, ჩვენი ბოლო თამაშის შემდეგ განიცადა თუ არა გუნდმა რაიმე პროგრესი. ნებისმიერ შემთხვევაში, ქართველები ისე წინ ვერ წავიდოდნენ, რომ მათი დამარცხება რუსეთის ნაკრებისთვის შეუძლებელი იყოს. პორტუგალიამ მოგვცა ჩინებული შანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. დღეს ევროპაში ჩვენს შორის ფავორიტად საქართველოს ნაკრებს ასახელებენ, მაგრამ გაუგებარია, თუ პორტუგალიამ შეძლო ქართველთა დამარცხება, ჩვენ რატომ ვერ უნდა შევძლოთ იგივე?"

იმედია, რუსეთის ნაკრების მწვრთნელს ეს კითხვა შაბათის მატჩის შემდეგაც შეაწუხებს.

ფორმულა 1

# რალფ შუმახერს რბოლა ესიზმრება

ნინო პირველი

*შაბათს ავსტრალიაში "ფორმულა 1" სეზონს ხსნის. მსოფლიოს საუკეთესო პილოტები ერთმანეთს მწვანე კონტინენტის დიდი პრიზის დასაკუთრებისთვის ეცილებიან. ახალ სეზონს ყველა საჯინიბო ახალი იმედებით და გეგმებით ხვდება. გულში თითოეული პილოტი "ფერარის" და დაუმარცხებელი მიხაელ შუმახერის დაჯაბვნაზე ოცნებობს, თვით "შუმის" ძმა რალფიც კი...*

რალფი უკვე დიდი ხანია ძმის ჩრდილქვეშ ცხოვრობს. "უმცროს შუმის" დიდება და ფული არ აკლია, თაყვანისმცემელთა ყურადღებითაცაა განებივრებული, მაგრამ მიხაელის მსგავს წარმატებას მაინც ვერასოდეს აღწევს. ამქვეყნად მხოლოდ ერთი შუმახერია და მას მიხაელი ჰქვია, რალფი კი უბრალოდ, "შუმის" უმცროსი ძმაა... რალფი თავს დაჩაგრულად გრძნობს და პატარა ბავშვივით ხშირად ებუტება ძმას, მაგრამ არა დიდი ხნით.. ძმები ყოველთვის ახერხებენს საერთო ენის გამონახვას და



*რალფ შუმახერი*

უნდათ თუ არა, ერთმანეთს გამარჯვების მოპოვებასაც მუდამ ულოცავენ.

ახალ სეზონს რალფი იმედიანად იწყებს. "ულიამისის" საჯინიბოსთან დაკავშირებული პრობლემები უმცროსმა" შუმიმ" ასე თუ ისე მოაგვარა და "ტოიოტაში" წასვლის ნაცვლად ისევ ინგლისურ საჯინიბოში დარჩა. ახლა რალფმა შუმახერმა ფრენკ უილიამსს უნდა დაუმტკიცოს, რომ კოლუმბიელ ხუან პაბლო მონტოიას არაფრით ჩამოუვარდება და მასაც შეუძლია "უილიამსისთვის" წარმატების მოტანა.

უმცროსი "შუმი" სტარტამდე დარჩენილ წუთებს თითებზე ითვლის და მოუთმენლად ელოდება იმ დღეს, როცა ავსტრალიის ტრასებზე გადარეულივით გააქროლებს თავის ერთგულ "უილიამსს". მანამდე კი რალფი მელბრუნში იმყოფება და დღიურის წერით იქცევს თავს. უმცროსი შუმახერი იმდენად გაიწაფა წერაში, რომ თამამად მისცა გერმანულ "ბილდს" მისი დღიურიდან ფრაგმენტების გამოქვეყნების უფლება. რალფს არ რცხვენია იმის აღიარება, რომ დღე და ღამე ავსტრალიის "გრან პრის" მოგებაზე ოცნებობს და სიზმარშიც კი რბოლას ხედავს.

"გუშინ რბოლა დამესიზმრა. თავიდან ბოლომდე ვნახე ყველაფერი. რომელ ადგილზე გავედი? ამას ვერავის გავანდობ. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია, შედეგი ისეთი იყო, რომ მეტად კმაყოფილი დავრჩი",- ეშმაკურად დასძენს რალფი. ალბათ პირველი ადგილი თუ დაესიზმრა დიდებაზე მეოცნებე უმცროს "შუმის"..

"აღარ ვიცი, რითი გავერთო რბოლის დაწყებამდე. დღეს ნავით ზღვაში გასვლა და დელფინებთან ერთად ცურვა გვინდოდა, მაგრამ იმის გამო, რომ სასტიკად წვიმდა და მხოლოდ თოთხმეტი გრადუსი იყო სითბო, ამ ჩანაფიქრზე ხელი ავიღეთ. ზღვის ეგზოტიკით დატკბობის ნაცვლად საწამებელ ოთახში წავედით... ხომ ხვდებით სადაც? ფიტნის-ტრეინინგის ცენტრში. იმდენი ვივარჯიშე, რომ ველარ ვინძრეოდი, მაგრამ დასვენების მაგივრად დანიელმა - ჩემმა მწვრთნელმა, ქალაქში სასეირნოდ წამიყვანა. სანაპიროზე გავედით და ათი კილომეტრი გავიარეთ ფეხით... როგორც იქნა, დავბრუნდით სასტუმროში, სადაც მოულოდნელად ჩემს ძამიკოს გადავაწყდი. თურმე მასაც იმავე "შერატონ ჰოტელში" ჰქონია ნომერი დაჯავშნული და ახალი ჩამოსული იყო მელბურნში. ნამგზავრს და დაღლილს, ალბათ, დასვენება უნდოდა, მაგრამ ვინ აცალა! საღამოს ერთად წავედით სავახშმოდ. თევზი მიხაელსაც უყვარს და ამიტომ ჩვენს ვახშამში სწორედ თევზისაგან მომზადებული კერძები დომინირებდა. შესანიშნავ რესტორანში ვიყავით, პირდაპირ ოკეანს გადაყურებდა... გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, იმ საღამოს არც კი გვილაპარაკია ფორმულა 1-ზე. ერთი სიტყვითაც კი არ გვიხსენებია კარს მომდგარი რბოლა... უცნაურია არა? ორი პილოტი ძმა და არც ერთი არ ამბობს რამეს რბოლის შესახებ.... ლაპარაკის ნაცვლად მე სიზმარში ვხედავ ავსტრალიის "გრან პრის". ეს, ალბათ, კარგის ნიშანია...", - ჩაწერა რალფმა თავის მელბურნულ დღიურში იმ დღეს.

მაშ ასე, ძმები შუმახერები რბოლაზე არ ლაპარაკობენ, ისინი ამ დიდი მოვლენისთვის თავგამოდებით ემზადებიან.... მიხაელი თავისი მეექვსე ტიტულისთვის იწყებს ბრძოლას, რალფს კი "უილიამსისთვის" ავსტრალიის გრან-პრის მოტანა უნდა. რამდენად აუხდება უმცროს შუმახერს თავისი ოპტიმისტური სიზმარი, ამას სულ მალე გავიგებთ...

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ა ც ხ ა დ ე ბ ს

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.

ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.

საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742




## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება კეთილმოწყობილი 100 კვ.მ. კერძო სახლი ბაღით ბაგებში. ფასი 30 000. 23 59 18

იყიდება 500 კვ.მ. ფართობის საკუთარი სახლი ავეჯით და ავტომობილით ნავთლუღში. 8(99) 14 68 25

იყიდება ოთხოთახიანი ბინა მიცკევიჩზე, ახალაშენებულ კორპუსში, მე-9 სართ. 93-91-91, 899 19-55-19.

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

ქირავდება 3-ოთახიანი ბინა ავეჯით. აბასთუმნის ქ. № 8, ბინა 64. ფასი 200 $. 34 13 65

ქირავდება 1-ოთახიანი ავეჯით, ბ/აირით, ტელეფონით ვაჟა-ფშაველას VI კვარტალში. 30 70 18, 8(99) 11 98 88

ვიქირავებ იზოლირებულ ბინას დიდუბის ან დ/მასივის ტერიტორიაზე ტ: 34-27-84, 899 977975.

ვიგირავებ ბინას 1000 $-ის ფარგლებში. 60 66 28, 8(93) 24 19 24 ვახო, 8(77) 74 58 70 ელისო

## მანქანები

**იყიდება !**

**ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$**

**ტელ: 899 16 28 68**

## სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

მოვამზადებ ინგლისურ ენაში სკოლის მოსწავლეებს ბინაზე მისვლით. 60 69 11

მოვამზადებ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ფიზიკასა და მათემატიკაში შეღავათიან ფასში. 32 59 62

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

შეგასწავლით კომპიუტერზე მუშაობას. ფასი 15 ლარი. მეცადინეობა ინდივიდუალური მეთოდით. 98 80 23 ნიკო

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

იყიდება ახალი ოცტონიანი კონტეინერი თავის ადგილიანად დეზერტირის ბაზრის გვერდით. 39 75 68

იყიდება კომპიუტერი ხელისგულზე, ფერადი ეკრანი, ვინდოუსი, ვორდი, ექსელი, ლექსიკონი. 8(93) 32 09 64

ვარ 24 წლის, პროფესიით ჟურნალისტი. ვფლობ კომპიუტერის საოფისე პროგრამებსაც. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 76 26 43, 8(99) 15 69 02 ნანა

საშუამავლო ფირმა „კახი-98“ დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90

საშუამავლო ფირმა „კახი-98“ დაგეხმარებათ თანხების სესხება-გასესხებაში დაბალი საპროცენტო განაკვეთით. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 94 66 24, 8(77) 71 05 90

ორხევის N16-ში, პროფილაქტიკაში აწარმოებენ ყველა სახის ინპორტული მიკროავტობუსების ჭერის ამაღლებას. 899 292358, 76727 რობერტი.

გვესაჭიროება ტრაქტორისტი, რომელიც შეასრულებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს წალკის რაიონში და აგრეთვე პროფესიონალი მეფუტკრე. 79 62 34, 8(99) 98 17 43

გეპატიჟებათ
კაფე-რესტორანი
„იმედი“

გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.

სანდრო ეულის ქ. 1.
8(93) 21 76 12

**სავენახე რკინა-ბეტონის ახალი ბოძები და ღუზები. მოთუთიებული და სპეციალურად ქიმიურად მდგრადი პოლიმერით დაფარული მავთულები.**

ტ/ფაქსი 94 27 15, 94 26 47

**სიახლე!**

**გთავაზობთ ყველა უცხოური ავტომობილის სამუხრუჭე ხუნდების (კალოტკების) აღდგენას ქარხნული წესით (გარანტიით) ადგილზე მომსახურებით. დაზოგეთ დრო და ფული**
**9.00-2.00-სთ-მდე**
**მის: დიღომი, კინოსტუდიის ავტოფარეხი.**

# აფიშა

## თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
“და სიმღერით ვკვდები”, რეჟ. მურმან ჯინორია
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
“ვენეციელი ვაჭარი”, რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია “თაგვი”, რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**TMS**
ლევან ჭიჭინაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**უნივერსი**
მამუკა მიქელაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ორიენტი**
“კოლექციიდან კოლექციამდე 3”, წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

**ქარვასლა**
შვეიცარელ მხატვართა ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
დავით იაკობაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
“ზამთარი ქართველი მხატვრების შემოქმედებაში”

**ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

## კინოთეატრები

**"ამირანი"**
“სიმონა”
დას: 19:00; 21:30; ფასი 8,9 ლარი

**"ელისო"**
“შპიონი ბავშვები 2”
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
“სოლარისი”
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
“მოატყუე ყველა”
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**"რუსთაველი"**
“მოატყუე ყველა”
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5,7 ლარი
“სოლარისი”
21:30 სთ; ფასი 10 ლარი

**კინოს სახლი**
“პუსარი სახურავზე”, რეჟ. ჟან პოლ რაპნო, მთავარ როლში, ჟულიეტ ბინოში
დას: 16:00 სთ; ფასი 2 ლარი

# TV პროგრამა 6 მარტი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა“
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა“
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „ფანტომასი სკოტლენდ-იარდის წინააღმდეგ“
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ბელფეგორი“
10.15 მხ. ფილმი „ორმაგი სიცოცხლე“
11.45 დოკ. სერიალი „მოდა ყველასათვის“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 „ნაშუადღევს“
14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 დოკ. სერიალი „წყვილები და დუეტები“
15.15 მხ. ფილმი „ქალები და მამაკაცები“
16.40 ფილმი-ბალეტი „კარმენი“
17.25 რამპა
17.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო“
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საგნების ისტორია“
18.30 გასტი-გუგუ
18.50 „ჯანმრთელობა“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.50 „საქართველო არის ესე“
22.10 „სატელევიზიო ჟურნალის ისტორია“
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „დღის ბოლოს“
00.00 მხ. ფილმი „დედოფალი მარგო“
02.15 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 გართ. ქართულ-უცხოური მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 მუსათეული მიქსი
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 სველი ხაზი
00.00 ფილმი გრავო „დიდი უსიამოვნებანი“ მთ. როლ-ში ტიმ ალენი, რენე რუსო
01.45 ფილმი ღამურა „ვამპირები 2“ მთ. როლში ჯონ ბონ ჯოვი

03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „საგანგებო მდგომარეობა 2“

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.35 მხ. ფილმი „როგორ გახდე პრინცესა“
12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10 მხ.ფ. „გვირაბი“
14.30 დოკ. ფილმი
15.20, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია“
16.20 მულტფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.30 კონცერტი
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით)
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „მზის დევნაში“
00.55 მხ.ფ. „ჰადსკერის ხელქვეითი“
02.10 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.00 რუსული ენის გაკვეთილი
11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 მუსიკალური კოლაჟი
12.30, 22.00 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „ერთი ერთზე“
20.30 მულტფილმი
21.00 მსოფლიო სპორტი
23.30 მხ. ფილმი „რობინ ჰუდი. ქურდების პრინცი“

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „შეთქმულების საიდუმლო“
14.30 მხ. ფილმი „სიჩქარე“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „რეალობა იკბინება“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „გოძილა“

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი“
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა“
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი.“
12.45 მხ. ფილმი „უსახო“
14.15 „ტელემეტრი“
14.45 „ევროპის სტადიონებზე“
15.15 დოკ. სერიალი „ცხოვრებისეული გამოცდილება“
15.45 მხ. ფილმი „ჩაშლილი საქმე“
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა“
18.40 მულტსერიალი „ალექსი“
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
20.00 დოკ. ფილმი „მე რომ თქვენ მიყვარდეთ მარტო ეს არ მინდა“ 1-ლი ნ.
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი.“
22.00 „ჩემი ქვეყანა“
22.15 მხ. ფილმი „კოლეჯი“
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი“
00.45 მხ. ფილმი „დარტყმის ზონა“

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 დოკუმენტური ფილმი
10.00 საბავშვო ფილმი „ოქროს კულულები“
11.25 დოკუმენტური ფილმი
12.20 თრილერი „ვენდეტა“
14.20 ისტორიული ფილმი „დაკები“
16.15 მულტფილმი
17.20 კომედია „იტალიელების არაჩვეულებრივი თავგადასავლები რუსეთში“
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.15, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“
19.20, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.30 „პირისპირ“ საავტორო გადაცემა
20.30 მელოდრამა „წარმატების ფასი“
22.45, 00.45 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.00 დოკუმენტური ფილმი
01.00 ფანტასტიკური თრილერი „სასიკვდილო კავშირი“
03.30 მხატვრული ფილმი „სამოქალაქო სარჩელი“

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.45 მობილურები
10.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
12.10 „ბიორითმი“ - ოლეგ გაზმანოვი .
12.30 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 კომპიუტერული თამაშები
13.40 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა“
19.40 აუდიო-ვიდეო-ტელე
20.20 კომპიუტერული თამაშები
20.25 ღამის კაპრიზი“ - თემა: „სირცხვილია“.
21.25 მობილურები
22.10 რაგბი - ზე12 - ბრიზბენი - კანბერა
23.40 „კინოკლუბი „ - „ოცნება არ ვნებს“. საფრანგეთი
1990 წელი. ტრაგიკომედია. რეჟისორი: პიერ რიშარი. როლებში- პიერ რიშარი ედიტ სკობი
01.05 კომპიუტერული ტექნიკა

01.35 „ბიორითმი“ - ოლეგ გაზმანოვი

### ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.10 Худ.фильм „Следующий“ („Next 2“)
12.05 „Смехопанорама“
12.35 „Базз и его команда“
13.15 Боевик „На острие меча“
15.00 „Новый день“. „Русский экстрим“
15.30 „Новый день“. „Сканер“
16.15 Док.сериал „Дикие штучки“
16.50 Сериал „Ключи от смерти“
18.00 „Большая стирка“
19.30 Памяти В. Мулявина
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
21.00 Большая премьера
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Следующий“ („Next 2“)
23.40 Человек и закон
01.00 „Новый день“. „Короли смеха“. Леонид Енгибаров
01.30 „Новый день“. „Таинство обета“
02.00 „Апология“
03.05 Сериал „Беглец“

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Леди Мэр“
10.40 Сериал „Кобра. Груз“
11.40, 18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Приключения итальянского аристократа“
13.20 Сериал „Титаны“
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 „Вся Россия“
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Трое против всех“
17.15 Сериал „Простые истины“
18.50, 04.25 Дорожный патруль
19.05 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Мэр“
22.55 Сериал „Кобра“. „Замороженный транзит“
23.50 „Вести +“
00.20 Худ.фильм „Унесенные ветром“

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 7“
11.00 Сегодня утром
11.25 Чистосердечное признание
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Квартирный вопрос“. „Шары в интерьере“
13.05 Сериал „Вечный зов“, 3 с.
14.35 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство“
16.35 „Принцип „Домино“
18.10 Сериал „Бандитский Петербург“
19.20 „Очная ставка“. „Чучело“
20.40 Сериал „Тайны следствия 2“
21.45 Сериал „Бандитский Петербург“. „Адвокат“, 6 с.
23.00 „Страна и мир“
23.40 Сериал „Секс в большом городе“
00.20 Сериал „Тайны следствия 2“
01.25 Гордон
02.20 Сериал „Доктор“
03.20 Кома
03.55 Ночь



# Je Suis Fantomas

- ფანტომასი
- რა თქვი?
- ფანტომასი-მეთქი.
- მერე ეგ რას ნიშნავს?
- არაფერს... მაგრამ ამ დროს ყველაფერსაც.
- მაგრამ ვინ არის ის?
- არავინაც არ არის და ამ დროს ვიღაცაა!
- და რას აკეთებს მერე ეგ ვიღაც?
- ავრცელებს ტერორს!

ეს დიალოგი ყველას ახსოვს, ვისაც "ფანტომასის" სერიები უყვარს. ასე იწყება "ფანტომასის" წიგნის პირველი თავი. ანუ, ასე იწყება ისტორია, რომელიც ლუი დე ფიუნესისა და ჟან მარეს მიერ შექმნილი სახეების წყალობით 60-80-იანი წლების მასკულტურის განუყრელი ნაწილი გახდა.

თუმცა, იყო დრო, როდესაც "ფანტომასს" გაცილებით უფრო დიდი დამსახურებები ჰქონდა, ვიდრე მასკულტურაში ადგილის მოპოვებაა. მეოცე საუკუნის დასაწყისში სუვესტრისა და ალენის საშინელებათა ჟანრის წიგნები მართლაც ავრცელებდნენ ტერორს. ასე იქმნებოდა ერთი დიდი, სრულიად დამოუკიდებელი მიმდინარეობა "ფანტომასოლოგია", რომელსაც სიურეალისტი მხატვრები, კინო-რეჟისორები და მწერლები უდგნენ სათავეში. ხულიო კორტასარი, ჯეიმს ჯოისი, რობერტ დესნო, ჟან კოკტო, რენე მაგრიტი... - "ფანტომასით" გატაცებულ და შთაგონებულ ხელოვანთა რიცხვი საკმაოდ სოლიდურია. მათთვის სუვესტრისა და ალანის ფანტაზიის ნაყოფი – იდუმალი კრიმინალისა და ტერორისტის თავგადასავლები იაფფასიანი, ბულვარული ლიტერატურის ნაწილი კი არ იყო, არამედ რაღაც მისტიკური ფილოსოფიის სათავე. ის ხელოვანებს აქმნევინებდა დღეს უკვე ძვირადღირებულ ტილოებს, ცნობილ ტექსტებსა და პირველ, მუნჯ კინო-სურათებს, რომლებიც, თავის მხრივ, კინემატოგრაფის საწყისი დღეების მოწმეებადაც გამოდგებიან.

ასე რომ, სანამ დღეს საღამოს ტელეეკრანს მიუჯდებოდეთ და ლუი დე ფიუნესის კომიკური ისტორიებით თავის შექცევას გადაწყვეტდეთ, გაიხსენეთ, რომ ამ უთმო, ნიღბიან უცნობს გართობის გარდა, სხვა, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციებიც ჰქონდა. ის ხელოვნებას ქმნიდა. სიურეალისტებს შთაგონებით ავსებდა. ყველაფერი კი ასე დაიწყო:





რენე მაგრიტის ტილო Le Barbare, 1928წ.



ფრანგული ფილმის პლაკატი

## როგორ დაიბადა "ტერორის ლორდი"

პიერ სუვესტრმა, ხელმოცარულმა იურისტმა გადაწყვიტა, ბედი ჟურნალისტიკაში ესინჯა. მალე მას ათი წლით უმცროსი მარსელ ალენი შეუერთდა. წყვილი სხვადასხვა ჟურნალისთვის წერდა. ძირითადად, დეტექტიური ჟანრის სერიალები ეყიდებოდათ, რომლებიც ხან ავტო-ჟურნალებში ქვეყნდებოდა, ხანაც – თეატრალურ ალმანახებში. ერთხელაც მათ პოპულარული წიგნების გამომცემლის, არტემ ფეიარის ყურადღება მიიპყრეს. ფეიარმა – გაქნილმა პარიზელმა საქმოსანმა სუვესტრი-ალანის მოთხრობებით გამდიდრება განიზრახა. მანამდე ის, ძირითადად, 19-ე საუკუნის რომანებს გამოსცემდა (ავტორებისთვის ჰონორარი რომ არ ეხადა) და რბილყდიან წიგნებს ზედმიწევნით იაფი წესით სტამბავდა. ეს უბრალო გამოცემები სულ 65 სანტიმი ღირდა – ფასი, რომელსაც მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებული პარიზელი ვერ შეწვდებოდა. შესაბამისად, ფეიარის საქმეს მოგება მართლაც მოჰქონდა. მან სუვესტრსა და ალენს ფანტასტიკური ჟანრის რომანების წერა შეუკვეთა. მოგვიანებით ალენი იხსენებდა: "პიერთან ერთად მეტროთი ვგმზავრობდი. მთავარი პერსონაჟის სახელი მატარებლის ვაგონში ერთად მოვიფიქრეთ. Fantomus – ასე გვინდოდა, რქმეოდა ჩვენს გმირს, მაგრამ ფაიარმა სახელი ზუსტად ვერ ამოიკითხა და მის ნაცვლად ფანტომასი დაწერა". ავტორებმა კი შეცდომის გამოსწორებაზე თავი აღარ შეიწუხეს. ასე დაიბადა საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და იდუმალი პერსონაჟი.

სუვესტრსა და ალენს ასეთი დავალება ჰქონდათ: მათ გამომცემლისთვის თვეში ერთხელ უნდა ჩაებარებინათ ვრცელი რომანი. ავტორებმა მუშაობის მოხერხებული ხერხი აირჩიეს. პირველ კვირას ნაწარმოების ზოგადი შინაარსი ჩამოაყალიბეს, შემდეგ კი ურცხვად იპარავდნენ სიუჟეტებს თავიანთი ძველი


ხუან გრისის ნატურმორტი "ფანტომასი"

წერილებიდან და სხვა ავტორებისგან. როგორც კრიტიკოსები ირწმუნებიან, სუვესტრი-ალენის საშინელებათა ჟანრის სერიალში აშკარად იგრძნობდა მორის ლებლანის, ემილი გაბოროსა და გასტონ ლერუას კვალი. კონტრაქტი ითვალისწინებდა 2 ათას ფრანკს თითო რომანზე და ასევე 50 ათასი გაყიდული წიგნიდან 3 სანტიმს, თითო ეგზემპლარზე.

პირველი წიგნი 1911 წლის თებერვალში გამოიცა და მაშინვე დიდი მითქმამოთქმის მიზეზი გახდა. მთელი პარიზი ლაპარაკობდა იდუმალ გმირზე, რომელიც ადამიანებს უმოწყალოდ ხოცავდა. ამ სტერეოტიპის შექმნას ხელი შეუწყო ქალაქში გავრცელებულმა პლაკატმაც. მასზე გამოსახული იყო უზარმაზარი, ნიღბიანი მამაკაცი, რომელსაც ხელთ დაშნა ეპყრა და პარიზის ცენტრისკენ მიიწევდა. ეს პლაკატი, რომელიც წიგნის პროპაგანდის მიზნით დაიბეჭდა, ზუსტად გადმოსცემდა იმ ემოციას, რაც "ფანტომასს" მკითხველში უნდა გამოეწვია.

ფეიარმა "ფანტომასის" კიდევ ხუთი მილიონი ეგზემპლარი დაბეჭდა და ბოლომდე გაყიდა. არნახულად პოპულარული წიგნი ორ ფრანგულ კინო-სტუდიას შორის დავის მიზეზიც გახდა. საბოლოოდ გადაღებებზე უფლება "გომონმა" მოიპოვა და 1913-14 წლებში რეჟისორმა ლუი ფოიადმა "ფანტომასის" ხუთი ფილმი გადაიღო. ამ კინო-სურათებმაც დიდი წარმატება მოიპოვა. თუმცა, მალე საფრანგეთი პირველ მსოფლიო ომში ჩაება და "ფანტომასიც" საზოგადოებამ დროებით მიივიწყა. ომის დამთავრების დროს კი სუვესტრი უკვე გარდაცვლილი იყო, ფოლი – დაჭრილი. ის "ფანტომასს" აღარ მიბრუნებია. ალენმა კი, რომელმაც სუვესტრის ქვრივი შეირთო ცოლად, "ფანტომასის" კიდევ სამი წიგნი დამოუკიდებლად დაწერა. შემდეგ თემას ამერიკელებმაც მიაგნეს და 20-ეპიზოდიანი მუნჯი სერიალი შექმნეს, საფრანგეთში კი გადაიღეს ექვსი სრულმეტრაჟიანი ფილმი და ოთხეპიზოდიანი ტელე-სერიალი. თითოეულმა მათგანმა საკუთარი მაყურებელი შეიძინა. თუმცა, არც ერთ მათგანს არ გამოუწვევია იმხელა რეზონანსი, როგორიც სუვესტრი-ალენის პირველ წიგნს ჰქონდა. 1911 წელს მთელ პარიზს ისე ეშინოდა ამ ხუთ სანტიმად ნაყიდი წიგნის პერსონაჟის გამოჩენისა, თითქოს, ნიღბიანი და ბოროტი ფანტომასი მართლაც დაძრწოდა პარიზის ქუჩებში და განურჩევლად ხოცავდა ყველას.

## ფანტომასი და ფრანგული ავანგარდი

"ტერორის ლორდი", "დანაშაულის იმპერატორი" – ეს მხატვრული სახე, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად გონებაში ხელოვანებს ჩარჩათ. პარიზული ავანგარდის წარმომადგენლებმა ფანტომასი თავიანთ ავანგარდულ იდეებს ჩაუყენეს სათავეში და 1913 წელს გიიომ აპოლინერის ინიციატივით "ფანტომასის მეგობრების საზოგადოებაც" შექმნეს. იმ ეპოქის ფრანგულ ტექსტებში და პერიოდიკაში ფანტომასის შესახებ მრავალი ცნობის მოძიება შეიძლება:

1914 წელს ლიტერატურულ მიმოხილვაში Mercure de France-ში აპოლინერი წერდა, რომ "ფანტომასის" გამოგონილ სიმდიდრეს ანალოგი არ ჰქონდა. იმავე თვის მიმოხილვაში მორის რაინალი ფოიადის "ფანტომასს", გენიით გაჟღენთილს უწოდებდა.

შემდეგ და შემდეგ ფანტომასის მოტივებს თავიანთ შემოქმედებაში იყენებდნენ ისეთი პოეტები, როგორებიც არიან: მაქს ჟაკობი, ჟან კოკტო, რობერტ დესნო და მხატვრები: ხუან გრისი, რენე მაგრიტი. მეტიც, პიერ პრევერის 1928 წლის სურათში Paris la Belle გამოყენებულია "ფანტომასის" წიგნის ყდა, "ტერორის ლორდი" კი 1936 წელს გადაღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის ერნ მორმანმა დაამუშავა.

ფანტომასი ჟან კოკტოს განმარტებით იყო: "აბსურდი და შესანიშნავი ლირიზმი", ჯეფრი ო`ბრაიენის აზრით კი – "უწყვეტი სენსაციურობის უტოპია. ეს წიგნი არის არა თავსატეხი, არამედ ინტოქსიკატორი". პოეტმა ბლეზ სენდრარმა 1914 წელს ლექსიც კი დაწერა, სახელად "ფანტომასი", მის კვალს დაადგა რობერტ დესნოც. ეს ტრადიცია უფრო გვიანი ხანის ლიტერატურაშიც წარმატებით გაგრძელდა. ცნობილმა არგენტინელმა მწერალმა ხულიო კორტასარმა 70-იან წლებში ფანტომასის მექსიკელი პროტოტიპის შთაგონებით ნოველა დაწერა. "ტერორის ლორდის" სახელი სათაურშიც კი ფიგურირებდა: Fantomas contra los vampiros multinacionales.

შესაძლოა, აქამდე ყურადღება არც მიგიქცევიათ, მაგრამ ცნობილი კუბისტი მხატვრის, ხუან გრისის 1915 წლით დათარიღებულ ტილოზე კი სხვა ყოველდღიურ ნივთებთან ერთად "ფანტომასის" რომანიც დევს.

რენე მაგრიტიც ფანტომასის თემას წლების განმავლობაში უბრუნდებოდა. 1926 წელს შექმნილი ტილოს L'Assassin Menace-ის კომპოზიცია ლუი ფოიადის მესამე ფილმიდან არის აღებული. იმავე წლის სხვა ნამუშევრისთვის L`homme du large-ისთვის კი მან ფოიადის მეორე ფილმში იპოვა შთაგონება. თუმცა, მაგრიტის ფანტომასის ვარიაციებიდან ყველაზე ცნობილია 1928 წლის ტილო Le barbare, რომელიც ფანტომასის პორტრეტს წარმოადგენს: აგურის კედელში ძლივს ჩანს იდუმალი გმირი.

ზემოთჩამოთვლილი ხელოვანების გარდა "ფანტომასის მეგობრების საზოგადოების" წევრებად ფანტომასის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჯეიმს ჯოისი, პაბლო ნერუდა, რეიმონდ კენო, ანდრე მალრო არიან მოხსენიებულნი.

როგორც ხედავთ, ფანტომასი მართლაც იქცა მრავალი ცნობილი ნამუშევრის შთაგონების წყაროდ. მართალია, 60-იან წლებში შექმნილმა ფრანგულმა სერიებმა, ლუი დე ფიუნესისა და ჟან მარეს მონაწილეობით, ფანტომასი უფრო მსუბუქად დაგვანახა, მაგრამ ეს ისტორიული გმირი შემდეგაც გვევლინებოდა ლიტერატურულ მუზად. მაიკ პატონი, რომელიც ცნობილი ჯგუფის Faith No More-ის მომღერალი გახლდათ, 1998 წელს ჩამოაყალიბა ახალი ბენდი, რომელსაც "ფანტომასი" დაარქვა. 1999 წლის დასაწყისში მათ პირველი სადებიუტო ალბომიც გამოუშვეს, რომელსაც ასევე "ფანტომასი" ერქვა.

— კალეიდოსკოპი —

### ოპოზიციონერი მოდელიორები

დომენიკო დოლჩეს და სტეფანო გაბანას ყველაზე ექსტრავაგანტულ დიზაინერთა დუეტად იცნობენ. მათი უკანასკნელი კოლექციაც ძალიან ხატოვანი და უჩვეულოა – გადაწყვიტეს, რომ მომავალ შემოდგომასა და ზამთარში ქალებს მამაკაცის პერანგებს ჩააცვამენ და გალაქულ შარვლებს მოარგებენ.

მათი ჩვენების კულმინაცია სამშვიდობო ხასიათს ატარებდა: ყველაზე სახელგანთქმული მოდელების მაისურებს წარწერა "მშვიდობა" ამშვენებდა, კაბები კი ქრისტიანული და მუსულმანური სიუჟეტების აპლიკაციებით იყო დაფარული.

### საბავშვო ლიტერატურა მადონასგან

44 წლის ასაკში პოპ-ვარსკვლავი მადონა საბავშვო წიგნების წერას შეუდგა. მან უკვე გააფორმა ხელშეკრულება გამომცემლობა "პინგვინთან", რომლის თანახმადაც ხუთი წიგნი უნდა დაწეროს. მისი ყოველი წიგნისთვის ილუსტრაციებს ცნობილი მხატვრები დახატავენ.

პირველი წიგნის, "ინგლისური ვარდების" პრეზენტაცია სექტემბერში შედგება. მასში მელაკუდასა და პატარა უფლისწულის თავგადასავალია მოთხრობილი.

მწერლობა მადონასთვის უკვე ნაცნობი ასპარეზია: 90-იანი წლების დასაწყისში მისი "სექსი" ბესტსელერი იყო.

### ინდოეთში რერიხის გამოფენა გაიხსნა

ბანგალორში, ინდოეთის სამხრეთ შტატის, კარნატაკას დედაქალაქში, ცნობილი რუსი მხატვრის, ნიკოლაი რერიხის უნიკალური ნახატების გამოფენა, "ჰიმალაური საგა" გაიხსნა.

ბანგალორის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ხელოვნების კომპლექსში პირველად გამოიფინა 95 ნამუშევარი მხატვრის "ჰიმალაების ციკლიდან" – რერიხის ასეთი სრული კოლექცია ინდოეთში პირველადაა წარმოდგენილი. ამ გამოფენისთვის ექსპონატები ქვეყნის ყველაზე დიდი მუზეუმებიდან წამოიღეს.

გამოფენა, რომელიც ინდოეთის ტურიზმისა და კულტურის სამინისტროს და "რერიხების საერთაშორისო მემორიალური ფონდის" მიერაა ორგანიზებული, 16 მარტამდე გასტანს.

### დღეს
ხუთშაბათს, 6 მარტს

1987 წელი: ბელგიაში ბორანის დაღუპვის შედეგად 200 ადამიანი დაიღუპა.



1899 წელი: ფელიქს ჰოფმანმა დააპატენტა თავის ტკივილის გამაყუჩებელი წამალი "ასპირინი".

1937 წელი: დაიბადა რუსი კოსმონავტი ვალენტინა ტერეშკოვა - პირველი ქალი, რომელიც კოსმოსში გაფრინდა.

1967 წელი: სტალინის ქალიშვილმა სვეტლანა ალილუევამ დელიში, აშშ-ს საელჩოში თავშესაფარი ითხოვა.

1994 წელი: ბერძენი მსახიობი ქალი მელინა მერკური, რომელიც მოგვიანებით პოლიტიკაში ჩაერთო, ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა.

2002 წელი: ირლანდიელებმა ხმათა მცირე განსხვავებით უარი თქვეს კონსტიტუციაში ცვლილების განხორციელებაზე, რომელიც ეხებოდა ორსული ქალების ნაყოფის ხელოვნურად მოცილებას.

© GRAPHIC NEWS



# მშვიდობა ყველას!

## რიოს კარნავალი დამთავრდა



სამბას მოცეკვავე



დედოფალი

მას-მედიის შეფასებით, რიო დე ჟანეიროს წლევანდელი კარნავალი "ბევრი პოლიტიკითა და მწირი სექსით" გამოირჩეოდა. შიშველი მკერდების რაოდენობა საგრძნობლად იყო შემცირებული, სამაგიეროდ, პოლიტიკური და სოციალური თემების მოზღვავება იგრძნობოდა: "ჩვენ სამბათი და დიდი მხიარულებით ვიღწვით მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისთვის."

ტრადიციული სრული თავისუფლება, ანუ, როგორც მას მკაცრი მორალისტები და კარნავალის მოწინააღმდეგეები უწოდებენ, აღვირახსნილობა, წელს შედარებით შეზღუდული იყო. რიოსა და რესიფიში, კარნავალის მთელი ისტორიის განმავლობაში, პირველად იყო აკრძალული ე.წ. "იძულებითი კოცნა" – მამაკაცებს აკრძალული ჰქონდათ, ქუჩაში უცნობ ქალებს დატაკებოდნენ და გაფრთხილებისა და მათი თანხმობის გარეშე ეკოცნათ. კარნავალის მონაწილეებს, მათი კულტურულობის იმედით, 9 მილიონი პრეზერვატივი უფასოდ დაურიგდათ და სწორედ კარნავალის დროს წამოიწყო ბრაზილიის ხელისუფლებამ ფართომასშტაბიანი კამპანია ბავშვთა პროსტიტუციის წინააღმდეგ.

რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნებებიც ბევრი იყო: წლევანდელმა კარნავალმა 140 ადამიანი შეიწირა. მხოლოდ რიო დე ჟანეიროში შაბათ-კვირას 72 ადამიანი იყო მოკლული, მიუხედავად იმისა, რომ წელს მოქალაქეთა სიმშვიდეს არნახულად ბევრი პოლიციელი და სამხედრო იცავდა.

მიუხედავად ამისა, ბრაზილიელები ძალიან კმაყოფილნი არიან: ტურისტული სამმართველოს, "რიოტურის" მონაცემებით, წლევანდელ კარნავალს სტუმრების რეკორდული რაოდენობა ჰყავდა, და მათი წყალობით მოგებაც რეკორდულია – 125 მილიონი ევრო. "სამბოდრომის" 70 ათას მაყურებელს შორის მილიონერი ათინა ონასისიც იყო. "ყველაზე მაგარი შოუა", განაცხადა მილიონერის მემკვიდრემ. ბაიაში გამართულ კარნავალზე მთელი არსებით ილხენდა ცნობილი ბრაზილიელი სუპერ-მოდელი ჟიზელ ბუშენი. რიოში შეკრებილი ფოტო-რეპორტიორები კი სხვადასხვა რაკურსით აფიქსირებდნენ ფირზე საყვარელი ფეხბურთელის, რონალდოს დედას. მსოფლიოში სახელგანთქმული შვილით გაამაყებული ქალბატონი სონია წელს განსაკუთრებული ენერგიითა და უშუალობით ცეკვავდა.

მართლაც, ფრიად შთამბეჭდავი ყოფილა მოსედ გადაცმული მოცეკვავის, კალინოს დე იესუსის ლევიტაცია. თან კარნავალზე თავისი ოსტატობა 14-მა სამბას სკოლამ გამოავლინა და თითოეული სკოლის წარმომადგენელთა რიცხვი 700-ს აღწევდა.

რიოს გარდა, ასობით ათასი ტურისტი სხვა ქალაქებსაც ეწვია – სალვადორსა და რესიფის, სადაც, რიოსგან განსხვავებით, კარნავალი ქუჩებში მსვლელობის დროს აღწევს ხოლმე აპოთეოზს. დღესასწაული ამ ქალაქებშიც პარასკევიდან სამშაბათამდე გრძელდებოდა.

საყოველთაო მხიარულება მხოლოდ გამთენიისას, დილის შვიდი საათისთვის შეწყდა: რიო დე ჟანეიროს კარნავალი, "წელიწადის მეხუთე დრო" გუშინ, "ფერფლის ოთხშაბათს" დამთავრდა.

## სკანდინავიური კროსვორდი



თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში